

სარჩევი

სარჩევი.....	3
წინათქმა	5
ზოგადი ცნობები.....	5
ბუნება.....	7
სახელმწიფო წესწმობილება	8
თურქეთის დიდი ეროვნული კრება.....	8
პრეზიდენტი	8
პრემიერ-მინისტრი და მინისტრთა საბჭო	8
ადგილობრივი მმართველობა	9
ეროვნული უშიშროების საბჭო	9
მოსახლეობა	9
მოკლე ისტორიული ნარკვევი	12
ათათურქი და ქემალიზმი	15
პოლიტიკური კარტიები	16
ANAP	16
DYP	17
CHP	17
MHP	18
DSP	18
DTP	18
BBP	18
FP	19
პოლიტიკური და სამხედრო ისტაბლიშმენტი	19
55-ე მთავრობა	19
56-ე მთავრობა	23
სხვა პოლიტიკოსები	24
სამხედროები	26
90-იანი წლების შიდა პოლიტიკური სიტუაცია	26
საბარეო პოლიტიკა	31
ურთიერთობა დასავლეთთან	31
ურთიერთობა შუა აზიასთან	31
ურთიერთობა კავკასიასთან	31
ურთიერთობა ისლამურ სამყაროსთან	31
ურთიერთობა რუსეთთან	32
ურთიერთობა საბერძნეთთან და კვიპროსის საკითხი	32
ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან	32
თურქეთის გეოპოლიტიკური მდებარეობა	32
მიკრომდებარეობა	33
მეზომდებარეობა	36
მაკრომდებარეობა	41
დასკვნა	44
შეიარაღებული ძალები	44
ეკონომიკის ზოგადი დახასიათება	45
სოფლის მეურნეობა	45
მრეწველობა	46
ტრანსპორტი	46
ტურიზმი	46
საგარეო ეკონომიკური კავშირები	46
GAP (სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის პროექტი)	47
ბანკები	47
თავისუფალი ეკონომიკური ზონები	47
TİKA (თურქეთის თანამშრომლობისა და აღორძინების სააგენტო)	49

მას-მეღია	50
ტელევიზია	50
მას-მედიის მსხვილი მფლობელები	51
რადიო	51
გაზეთები	51
ჟურნალები	52
საინფორმაციო სააგენტოები	52
ბანათლება და მიცნობა	52
თურქული ენა	53
კულტურა	53
ზეპირსიტყვიერება და ლიტერატურა	53
არქიტექტურა	55
მხატვრობა	56
მუსიკა	56
დრამატული თეატრი	57
კინო	58
თურქეთ-საქართველოს ურთიერთობა თანამედროვე ეტაპზე	58
ბამოყვებულ ლიტერატურა და წყაროები	62

მსოფლიო თურქეთზე

■ ზურაბ ბატიაშვილი

წინათქმა

საქართველოს მთელი ისტორია გადარჩენისა და მსოფლიო თანამეგობრობაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებისათვის ბრძოლაა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეს ბრძოლა სრულიად ახალ ფაზაში შევიდა. საქართველო ნელ-ნელა იძენს საკაცობრიო მნიშვნელობის ისტორიულ ფუნქციასა და მისიას.

ასეთი როლის ზრდის ფონზე გამოიკვეთა თურქეთ-საქართველო-აზერბაიჯანის დაახლოების პროცესი, რომელიც მოიაზრება, როგორც ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის, ისე „ტრასეკას“ პროექტის უსაფრთხოების ერთ-ერთ ძირითად წინაპირობად და გარანტიად.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ასეთი კავშირები არაა მიმართული რომელიმე სხვა ქვეყნისა თუ ქვეყნების წინააღმდეგ. პირიქით, ასეთი ურთიერთობანი რეგიონში მშვიდობიანი თანაარსებობის საწინდარია. ძნელი წარმოსადგენია, აგრეთვე, რომ ამან გამოიწვიოს რომელიმე ქვეყნის სუვერენიტეტის შეზღუდვა რაიმე ფორმით, რადგან ჩვენს ქვეყნებს შორის დღევანდელი თანამშრომლობის დონე თავისუფლად თავსდება მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების საზღვრებში.

თუ ჩვენში რუსეთს, აზერბაიჯანსა და სომხეთს ასე თუ ისე იცნობენ საერთო სივრცეში ცხოვრებიდან მოყოლებული, სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვით თურქეთის შესახებ. იგი ჩვენთვის ათნეულელების განმავლობაში „აკრძალულ ქვეყანათა“ რიგს მიეკუთვნებოდა. ასეთი დამოკიდებულება ინერციით დღესაც გრძელდება და ამიტომაც თურქეთს ხშირად განიხილავენ ე.წ. „შორეულ უცხოეთად“. არადა ეს ქვეყანა ჩვენი უშუალო და უახლოესი მეზობელია.

თურქეთი დიდი ქვეყანაა თავისი კულტურით, გეოგრაფიით, მოსახლეობით, სახელმწიფოებრიობით, ისტორიული წარსულითა და დღევანდელი დღით. კიდევ უფრო ნათელ მომავალს უწინასწარმეტყველებენ მას სპეციალისტები. ჩვენმა მეზობელმა ბოლო ათი წლის განმავლობაში გატარებული რეფორმებით ისე წამოსწია საკუთარი ეკონომიკა, რომ სერიოზულობას არაა მოკლებული გამოთქმა: „თურქეთი აპირებს გახდეს XXI საუკუნის იაპონია.“

ბოლო პერიოდში განვითარებულმა

მოვლენებმა კიდევ უფრო ნათელყო თურქეთის მზარდი როლი რეგიონალურ პოლიტიკაში.

ამ ფონზე შეუძლებელია საქართველო გულგრილი იყოს და, უფრო მეტიც, არაფერი იცოდეს იმ ქვეყნის შესახებ, რომელზედაც არაერთ ექსპერტს გამოუთქვამს აზრი, რომ იგი სულ უახლოეს ხანში შეიძლება იქცეს რეგიონალურ სუპერძალად.

თურქეთის ფაქტორის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში ძნელდება არათუ ახალი საქართველოს მშენებლობის საქმე, არამედ ამ საკითხზე სერიოზული ფიქრიც კი. რაიმე ფაქტორის გასათვალისწინებლად კი საჭიროა მასზე შესაბამისი ინფორმაციის ქონა.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ მოკლე ინფორმაცია მოგვეწოდებინა თურქეთის შესახებ. ისე კი ამ ქვეყანაზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი.

ზოგადი ცნობები

თურქეთის რესპუბლიკა (Türkiye Cumhuriyeti) მდებარეობს დასავლეთ აზიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. ტერიტორიის დაახლოებით 97% მდებარეობს მცირე აზიის ნახევარკუნძულზე (ანატოლია), დაახლოებით 3% — ევროპაში (აღმოსავლეთ თრაკია). ფართობი 779 452 კმ²-ია. აქედან 755 688 კმ². აზიური და 23 764 კმ². ევროპული ნაწილი.


თურქეთის სახმელეთო საზღვრის საერთო სიგრძე 2 753 კმ-ია. მას ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება საქართველო (საზღვრის სიგრძე 288 კმ), აღმოსავლეთით — სომხეთი (312 კმ), აზერბაიჯანი (10 კმ) და ირანი (454 კმ), სამხრეთ-აღმოსავლეთით — ერაყი (331 კმ) და სირია (877 კმ), ჩრდილო-დასავლეთით — საბერძნეთი (212 კმ) და ბულგარეთი (269 კმ).

ქვეყნის სანაპირო ხაზის საერთო სიგრძე 8 333 კმ-ია. ჩრდილოეთით აკრავს შავი ზღვა (1 695 კმ), დასავლეთით — ეგეოსის ზღვა (2 805 კმ), სამხრეთით — ხმელთაშუა ზღვა (1 577 კმ).

ბოსფორის (სიგრძე 29,9 კმ) და დარდანელის (62 კმ) სრუტეები, აგრეთვე მარმარილოს ზღვა (სანაპირო ხაზის სიგრძე 927 კმ) თურქეთის ევროპულ ნაწილს გამოყოფს აზიურისაგან. (8,3)

თურქეთს ეგეოსის ზღვაში ეკუთვნის კუნძულები გოქჩეადა (იმროზი), ბოზჯაადა,

TÜRKİYE HARİTASI



უზუნადა და ალიბეი. მარმარილოს ზღვაში — ავშას(ექინიქი, ქოიუნი და ფაშალიმანი) და პრინცის (ბუიუქადა, ჰეიბელიადა, ბურგაზი, კინალი და სედეფი) კუნძულები, ხმელთაშუა ზღვაში — კუნძულები კარაადა, სალიპი და ქექოვა.

ქვეყანაში არის 7 გეოგრაფიული რეგიონი: მარმარილოს, ეგეოსის, ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღვის, შიდა, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის.(93)

უდიდესი სიგრძე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ 1600 კმ-ია, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ — 500-600 კმ.

ძირითადი მონაცემები:

მოსახლეობა — 62 810 111 (1997 წლის 30 ნოემბრის აღწერის შედეგებით);

დედაქალაქი — ანკარა (Ankara) — 3 147 231 მცხ.;

ადმინისტრაციული დაყოფა — 80 ილი; (ვილაიეთი). ილებში შედის ილჩეები(რაიონი), ილჩეში-ბუჯაქი(თემი), ქასაბა(დაბა) და ქოი (სოფელი). დიდი ქალაქები იყოფა ბოლგეებად(რეგიონი) და მაჰალეებად(უბანი).

სახელმწიფო ენა — თურქული

დროშა — წითელ ფონზე თეთრი ნახევარმთვარე და ხუთქიმიანი ვარსკვლავი

ფულის ერთეული — თურქული ლირა(TL). 10 000TL = 0, 0488 ლარს(1998წლის ოქტომბრის მდგომარეობით).(28)

ეროვნული დღესასწაული — 29 ოქტომბერი — რესპუბლიკის გამოცხადების დღე(1923წ.)

დასვენების დღეები — 1 იანვარი(ახალი წელი), შექერ ბაირამი(რამადანის თვის დასასრული, მოძრავია), ყურბან ბაირამი(მსხვერპლშენიერვის დღესასწაული, მოძრავია), 23 აპრილი(ეროვნული სუვერენიტეტისა და ბავშვთა დღესასწაული), 19 მაისი (ახალგაზრდობისა და სპორტის დღესასწაული). 30 აგვისტო (გამარჯვებისა და შეიარაღებული ძალების დღესასწაული), 29 ოქტომბერი (რესპუბლიკის დღესასწაული).(96)

ბუნება

თურქეთი მთიანი ქვეყანაა. ძირითადად მდებარეობს მცირე აზიის მთიანეთის ფარგლებში. უმაღლესი მთებია დიდი არარატი(5,165 მ), კაჩკარი (3,932 მ), ერჯიესი(3,917მ), ბ. ჰასანი(3,268 მ), ნემრუთი (2,828 მ), ულუდალი (2,543 მ).

მცირე აზიის ჩრდილოეთ ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ გადაჭიმულია პონტოს მთები, სამხრეთით- ტოროსის მთათა სისტემა. მათ შორის არის ვრცელი ანატოლიის ზეგანი. ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ჯეზირეს პლატოა (სიმაღლე 500-1000 მ). თურქეთის ევროპულ ნაწილში ჭარბობს ბორცვიანი ვაკეები, მის ჩრდილოეთით

ისტრანჯის ქედია (სიმაღლე 1,030 მ).

ქვეყანაში დაბლობები ცოტაა. ყველაზე დიდია ჩოკუროვის დაბლობი სამხრეთში და ქვემო თრაკიისა — დასავლეთით, მდინარე მარიცის აუზში.

თურქეთის მთავარი სასარგებლო წიაღისეულია ქრომიტები, ბარიტები, ბოქსიტები, ვოლფრამი, ვერცხლისწყალი, სტიბიუმი, სპილენძი, ქვანახშირი. სამრეწველო მნიშვნელობა აქვს ნავთობის, მანგანუმის, რკინის, ტყვიის, თუთიის, მურა ნახშირის, მაგნეტიტის, ბარიტის, აზბესტის, გოგირდის, ქვამარილის და სხვა საბადოებს.

ზღვისპირეთში ჰავა სუბტროპიკულია, ახსიათებს ტემპერატურისა და სინოტივის დიდი კონტრასტები ადგილის, სიმაღლისა და ზღვიდან დაშორების მიხედვით. სამხრეთ და დასავლეთ სანაპირო რაიონებში ხმელთაშუა ზღვის ჰავაა, ზაფხული მშრალია, ჩრდილო-აღმოსავლეთით თანაბრად ნოტიო, შიდა რაიონებში — კონტინენტური, იანვრის საშუალო ტემპერატურა იცვლება დაბლობზე 5 °C-იდან (ჩრდილოეთით) 10°C-მდე(სამხრეთით). შიდა ზეგნებზე 0-დან — 5°C-მდე (დასავლეთით) და — 15°C-მდე (აღმოსავლეთით). მთებში ყინვები — 35°C-მდე აღწევს. ივლისის საშუალო ტემპერატურა შავი და მარმარილოს ზღვების სანაპიროებზე 22-24°C-ია, ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვების სანაპიროებზე 25-დან 32°C-მდე, ჯეზირეს პლატოზე 30°C-ზე მეტია (ზოგიერთ დღეებში 40°C-ზე მეტი), შიდა ზეგნებზე — 15-დან 22°C-მდე. ნალექები პონტოსა და ტოროსის მთების ზღვისაკენ მიმართულ კალთებზე 1000-2000 მმ-ია წელიწადში (პონტოს მთების აღმოსავლეთ ნაწილში 3000 მმ-მდე), ანატოლიის ზეგნის შიდა რაიონებში — 200-350 მმ.

თურქეთის თითქმის ყველა მდინარე მთის ტიპისაა, სპარსეთის ყურის აუზს განეკუთვნება მდინარეები ევფრათი (971 კმ. თურქეთში) და ტიგრი (523 კმ. თურქეთში). კასპიის ზღვის აუზს — მტკვარი და არაქსი (548 კმ. თურქეთში), შავ ზღვაში ჩაედინება ქიზილ-ირმაქი (1 355 კმ) საქარია (824 კმ), იეშილ-ირმაქი (519 კმ) და ჭოროხი (442 კმ). ხმელთაშუა ზღვაში — სეიჰანი (560 კმ) და ჯეიჰანი (509 კმ), ეგეოსის ზღვაში — ბუიუქ მენდერესი (584 კმ) და გედიზი (401 კმ). ქვეყნის ევროპულ ნაწილშია მდინარე მარიცის (ერთვის ეგეოსის ზღვას) ქვემოთი.

თურქეთის შიდა ზეგნებზე უმთავრესად ნახევარუდაბნოს რუხი და ღია მურა, აგრეთვე მშრალი სტეპის წაბლა ნიადაგებია, ჯეზირეს პლატოზე — უდაბნოს რუხი, სანაპირო რაიონებში — ყავისფერი, ნოტიო სუბტროპიკებში — წითელმიწა და მთა-ტყის მურა, 2000-2100 მ-ზე მაღლა მთა-მდელოს ნიადაგებია.

სანაპირო მთებში ჭარბობს ნახევრად მშრალი

სუბტროპიკების მცენარეულობა. მთების ზღვისკენ მიმართული კალთების ქვემო ნაწილში ხმელთაშუა ზღვის მცენარეულობაა (ხეშეშფოთლიანი ტყე და ბუჩქნარი). მალა, ტოროსის მთებში, ზოგან წინწარია, აღმოსავლეთ პონტოს მთებში — ფოთოლცვენია ტყე მარადმწვანე ქვეტყით და წინწარი.

განაპირა მთების შიდა კალთებზე და ზეგნებზე გაბატონებულია ფრიგანის ქსეროფიტული ფორმაციები, შიბლიაკი, მშრალი სტეპი და ნახევარუდაბნო. აღმოსავლეთის მთიანეთში მთის ტყესა და მთის სტეპს ზემოთ სუბალპური და ალპური მდელოები ენაცვლება. ჯეზირეს დაბლობზე ქარბობს აბზინდიან-მარცვლოვანი ნახევარუდაბნო.

მთაში გვხვდება ნიამორი, ტყეში — ირემი, შველი, გარეული ღორი, მტაცებლებიდან — მგელი, ტურა, ზოლებიანი აფთარი; ჯეზირეს პლატოზე — კანჯარი, ქურციკი და სხვა. მრავალფეროვანია ფრინველთა სამყარო. სანაპირო წყლები მდიდარია თევზით.

თურქეთში 12 ეროვნული პარკია. (36)

სახელმწიფო წესწყობილება

თურქეთში რესპუბლიკური მმართველობის ფორმაა. მოქმედებს 1982 წლის 7 ნოემბრის კონსტიტუცია ცვლილებებითა და დამატებებით.

თურქეთის დიდი ეროვნული კრება

ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა დიდი ეროვნული კრება (პარლამენტი), რომლის 550 წევრს მოსახლეობა ირჩევს 5 წლის ვადით. მის ძირითად მოვალეობაში შედის კანონების მიღება, შეცვლა და გაუქმება, პრეზიდენტის არჩევა, მთავრობის კონტროლი, ბიუჯეტის დამტკიცება, გარკვეულ საკითხებში მინისტრთა საბჭოსათვის გადაწყვეტილებების გამოტანის უფლებების მინიჭება, ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაცია და ა.შ. (55)

დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნას თურქეთის ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 30 წელი. პოლიტიკური პარტიები, რომლებიც პარლამენტში წარმოდგენილნი არიან სულ ცოტა ოცი დეპუტატით მაინც, ქმნიან საკუთარ ფრაქციებს.

თურქეთის დიდ ეროვნულ კრებაში მოქმედებს შემდეგი კომიტეტები: საკონსტიტუციო, იურიდიული, ეროვნული თავდაცვის, შინაგან საქმეთა, საგარეო საქმეთა, ეროვნული განათლების, მრეწველობის, ტექნოლოგიისა და ვაჭრობის, განსახლების, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტურიზმის, სოფლისა და სატყეო მეურნეობის და სასოფლო საქმეების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საქმეთა, საპარლამენტო ანგარიშების შემსწავლელი პეტიციების, ადამიანის უფლებების დაცვის, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი ეკონომიკური

ინიციატივების, დაგეგმარების და საბიუჯეტო. (78)

პრეზიდენტი

სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელიც ირჩევა დიდი ეროვნული კრების მიერ (მისი წევრების შემადგენლობიდან) 7 წლის ვადით. პრეზიდენტად არჩევისათვის საჭიროა პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის 2/3-ის მხარდაჭერა. თუ არჩევნების პირველ და მეორე ტურში ხმების ეს რაოდენობა არ მოგროვდა, მესამე კენჭისყრისათვის უპირატესობა ენიჭება კანდიდატს, რომელიც ხმების უბრალო უმრავლესობას მოიპოვებს.

პრეზიდენტი არ უნდა იყოს არცერთი პარტიის წევრი და მხოლოდ ერთხელ შეუძლია ამ თანამდებობის დაკავება.

მის უფლებამოსილებაში კონსტიტუციის შესაბამისად შედის: პრემიერ-მინისტრის დანიშვნა და მისი გადადგომის მიღება, პრემიერის წარდგინებით მინისტრების დანიშვნა და გადაყენება, საჭიროების შემთხვევაში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობა, საერთაშორისო ხელშეკრულებების ხელმოწერა, სხვადასხვა ქვეყნებში თურქეთის ელჩების დანიშვნა, უცხოელი ელჩებისაგან რწმუნებათა სიგელის მიღება, საჭიროების შემთხვევაში თურქეთის დიდი ეროვნული კრების მოწვევა, მისი თავმჯდომარეობით შეკრებილ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით სააღყო და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და ამ პერიოდში კანონების გამოცემა.

პრეზიდენტს უფლება აქვს, მიღებული კანონები (გარდა კანონისა ბიუჯეტის შესახებ) 10 დღის განმავლობაში ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნოს პარლამენტს. მაგრამ, თუ პარლამენტმა იგი კვლავ წინააღმდეგობით მიიღო, პრეზიდენტი ვალდებულია დაემორჩილოს პარლამენტის გადაწყვეტილებას.

პრეზიდენტი ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს, სახელმწიფო საბჭოს ერთმეოთხედს, სახელმწიფო კონტროლის პალატის წევრებს, უმაღლესი სამხედრო-საკასაციო სასამართლოს წევრებს, რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს და მის მოადგილეს, უმაღლესი განათლების საბჭოს წევრებსა და უნივერსიტეტების რექტორებს. პრეზიდენტის ავადმყოფობის, დროებითი არყოფნის ან სიკვდილის შემთხვევაში სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობას დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარე ასრულებს. (8,3)

პრემიერ-მინისტრი და მინისტრთა საბჭო

აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მინისტრთა კაბინეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი. პრემიერი ინიშნება პარლამენტის წევრთაგან. იგი მუშაობას

შეუდგება თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ ნდობის მანდატის მინიჭების შემდეგ.

მის მოვალეობებში შედის მინისტრთა საბჭოს წევრთა შერჩევა და მათ შორის თანამშრომლობისათვის ხელის შეწყობა. თითოეული მინისტრი პასუხისმგებელია პრემიერის, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ პარლამენტის წინაშე. (55)

ადგილობრივი მმართველობა

ადგილობრივ მმართველობას ვილაიეთებში ახორციელებენ ცენტრალური ხელისუფლების მიერ დანიშნული ვალები (გუბერნატორი). ქალაქის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარეს (მერი) და საბჭოს ირჩევს მოსახლეობა.

ეროვნული უშიშროების საბჭო

თურქეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობრივად შედიან: პრეზიდენტი (საბჭოს თავმჯდომარე), პრემიერ-მინისტრი, გენშტაბის უფროსი, ეროვნული თავდაცვის, შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა მინისტრები, სახმელეთო ჯარების, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალებისა და ჟანდარმერიის მეთაურები. საბჭოს ათი წევრიდან ხუთი სამოქალაქო და ხუთი სამხედრო პირია. საბჭოს შეკრებაში, მის წევრთა გარდა, დღის წესრიგის თავისებურებებიდან გამომდინარე, შეიძლება მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა მინისტრებმა და პირებმა. საბჭოს მუშაობაში ხმის უფლების გარეშე მონაწილეობას ღებულობს ეროვნული უშიშროების საბჭოს გენერალური მდივანი. პრეზიდენტი პრემიერისა და გენშტაბის უფროსის წინადადებების გათვალისწინებით ადგენს დღის წესრიგს.

საბჭო იკრიბება სულ მცირე თვეში ერთხელ, მაგრამ იგი შეიძლება შეიკრიბოს პრეზიდენტის გადანიშნულებითაც ან პრემიერ-მინისტრისა და გენშტაბის უფროსის წინადადებების გათვალისწინებით.

ეროვნული უშიშროების საბჭოში გადანიშნულებების მიღება ხდება ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება იმ მხარეს, რომელსაც თავმჯდომარე დაუჭერს მხარს.

საბჭოს მოვალეობებია:

ა) სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრასა და გატარებასთან დაკავშირებული გადანიშნულებების მიღება და საჭირო კოორდინაციის განწევა;

ბ) სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის განმტკიცებისათვის აუცილებელი გეგმების განსაზღვრა;

გ) სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკაზე გავლენის მქონე ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და ტექნოლოგიური სიტუაციასა და

მოვლენების განვითარებაზე მუდმივი თვალყურის მიდევნება და შეფასება;

დ) სახელმწიფოს არსებობის, დამოუკიდებლობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და ერთობის, საზოგადოებრივი სიმშვიდისა და უსაფრთხოების დაცვისთვის საჭირო ზომების მიღება;

ე) ეროვნული მიზნების განსახორციელებლად კონსტიტუციური წყობისა და ეროვნული ერთობის დამცველი, ქემალისტური და ეროვნული იდეების გარშემო თურქი ერის გამაერთიანებელი საჭირო ზომების განსაზღვრა. საშინაო და საგარეო საფრთხისაგან თავდაცვის სტრატეგიის შემუშავებისა და გამოყენებისათვის აუცილებელი ღონისძიებების მიღება;

ვ) არაორდინალურ სიტუაციებში სააღყო მდგომარეობის, მობილიზაციის ან ომის გამოცხადება;

ზ) ჩვეულებრივ, საომარ, ომისათვის მოსამზადებელ ან ომის შემდგომ სიტუაციებში სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებებისა და მოქალაქეების დაცვა, საყოველთაო მობილიზაციის და სხვა საკითხების ორგანიზაცია და გეგმების მომზადება;

თ) სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად საკითხებში, თავდაცვისათვის საჭირო ფინანსური, სოციალ-ეკონომიკური, კულტურული და სხვა ზომების მიღება. აღორძინების გეგმის პროგრამის წლიურ ბიუჯეტში ჩასმა;

ი) ეროვნული უსაფრთხოების სფეროში შემავალი ხელმოწერილი ან ხელმოსაწერი საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ თვალსაზრისის გამოთქმა და დამტკიცება.

კონსტიტუციის შესაბამის მუხლებში ნაჩვენებია ეროვნული უშიშროების საბჭოს შეხედულებებისა და გადანიშნულებების მინისტრთა საბჭოსათვის მიწოდების იურიდიული მექანიზმი. (66,136-137)

მოსახლეობა

თურქეთის მოსახლეობა 1985-1997 წლებში 50.7 მილიონიდან 62.8 მილიონამდე გაიზარდა. 1990 წლის აღწერით 56 473 035 კაცი იყო. ბოლო 1997 წლის აღწერით თურქეთში ცხოვრობს 62 800 111 კაცი. (68)

მოსახლეობის ზრდის ტემპმა საგრძნობლად იკლო. ახლა იგი 1.5%-ს შეადგენს.

მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 90-იანი წლების დამდეგს 1კვ.კმ-ზე 75.5 კაცი იყო. უფრო მჭიდროდ არის დასახლებული ქვეყნის დასავლეთი ნაწილი. განსაკუთრებით მარმარილოს ზღვის რეგიონი, აგრეთვე ეგეოსის ზღვის მიმდებარე ტერიტორია. სიმჭიდროვეა შავი ზღვისპირეთშიც. აღმოსავლეთით, განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში მოსახლეობის

მოსახლეობა რეგიონებისა და ვილაიეთების მიხედვით

ვილაიეთის დასახელება	1990 წლის აღწერით		1997 წლის აღწერით	
	ცენტრი	ვილაიეთი	ცენტრი	ვილაიეთი
მარშარილოს რეგიონი	სულ - 15.445.193			
ედირნე	102.347	404.599	114.256	398.978
კირკლარელი	77.175	309.512	76.847	313.515
თეჯირდაღი	80.442	468.842	98.746	55.340
ჩანაკალე	53.961	431.392	68.156	442.020
ბურსა	901.860	1.603.137	1.160.307	1.995.295
კოჯაელი	377.377	936.163	427.765	1.175.190
სტამბოლი		7.309.190		9.159.615
ბალიქესირი	170.589	973.314	190.998	1.050.000
იალოვა	64.090		83.164	164.090
ბილევჯიქი	23.270	175.326	30.925	191.150

სმელთაშუაზღვის რეგიონი	სულ - 8.100.932			
ადანა	916.150	1.934.907	1.011.742	1.648.251
ოსმანიე	122.000		188.955	428.349
ჰათაი	123.871	1.093.691	134.508	1.219.847
კაჰრამანმარაში	228.129	892.950	289.656	1.013.364
ანთალია	378.208	1.132.211	600.000	1.529.876
ბურდური	56.432	254.499	60.200	249.600
ისპარტა	135.092	434.771	158.480	461.645
იჩელი	422.357	1.266.695	500.000	1.550.000

ეგეოსის რეგიონი	სულ - 8.618.065			
აფიონი	95.643	739.223	113.847	794.340
იზმირი	1.956.273	2.170.275	2.694.770	3.162.101
აიდინი	107.011	824.816	1333.597	917.000
მანისა	158.928	1.154.418	201.000	1.300.000
მულლა	35.605	562.809	41.822	610.000
დენიზლი	271.346	750.882	347.378	879.075
უშაქი	105.270	290.283	122.795	305.549
ქუთაჰია	130.944	578.210	160.000	650.000

შიდა ანატოლიის რეგიონი	სულ - 10.729.462			
ანკარა	2.836.719	3.236.626	3.147.231	3.643.510
ჩანკირი	45.496	279.129	56.000	269.000
ესკიშეჰირი	413.082	641.057	451.000	695.000
სივასი	221.512	761.481	233.153	695.163
კონია	515.322	1.750.303	650.000	2.100.000
კირიკალე	185.500		205.000	370.000
იოზგათი	93.424	579.150	95.700	587.400
კაისერი	490.143	943.484	562.910	970.170
ნევშეჰირი	52.719	289.509	60.316	285.978
აკსარაი	92.100		102.996	339.608
ნიღდე	55.200	305.000	66.100	313.587
კარამანი	76.525		95.784	218.484
კირშეჰირი	73.538	256.862	76.500	241.562

სამს.-ალმ. ანატოლიის რეგიონი	სულ - 5.687.610			
ადიამანი	100.045	513.131	207.455	640.000
გაზიანთეფი	604.000	1.010.000	726.000	1.135.000
მანლიურფა	276.500	1.070.000	380.000	1.230.000
დიარბექირი	381.144	1.094.996	750.000	1.344.000
ბათმანი	147.347		211.401	392.900
მარდინი	53.000	557.727	57.261	598.140
სიირთი	68.320	133.296	91.246	239.730
ქილისი	84.077		67.380	107.820

ალმოსავლეთ ანატოლიის რეგიონი	სულ - 5.323.140			
ალრი	58.038	437.093	69.937	459.970
ბინგოლი	42.167	258.000	67.000	300.000
ბითლისი	38.130	330.115	52.639	343.370
ელაზილი	204.603	498.225	251.254	514.450
ერზინჯანი	91.772	299.251	103.390	278.225
ერზრუმი	242.391	848.201	280.325	835.750
მალათია	281.776	702.055	379.737	795.207
ჰაკარი	30.407	71.098	57.731	130.090
ყარსი	78.455	349.834	99.565	335.700
თუნჯელი	24.513	133.140	29.104	86.048
ვანი	153.111	637.433	214.995	753.160
მუში	44.019	376.543	67.483	310.999
შირნაკი	25.100		52.060	290.000
ილდირი	35.855		45.006	142.010
არდაჰანი	16.761		15.815	27.761

შავი ზღვის რეგიონი	სულ - 8.556.997			
ამასია	57.000	357.000	70.480	343.279
ართვინი	20.306	212.833	20.605	182.918
ბოლუ	61.509	536.869	80.523	539.000
ჩორუმი	116.810	609.863	150.133	578.828
გირესუნი	102.294	499.087	104.862	461.679
გუმუშჰანე	26.010	169.163	23.215	154.588
კასტამონუ	94.279	423.611	97.020	362.788
ორდუ	102.200	843.300	103.500	813.756
რიზე	52.031	348.776	69.410	313.055
საქარია	171.225	683.061	184.203	736.014
სამსუნი	303.979	1.158.400	341.300	1.155.556
სინოპი	25.537	265.153	28.135	217.757
თოქათი	83.058	719.251	96.124	686.623
ტრაპიზონი	146.000	735.000	183.000	792.000
ზონგულდაქი	116.725	1.073.560	216.751	609.194
ბაიბურთი	33.677		7.947	99.798
კარაბუქი	107.860		103.605	224.296
ბართინი	31.000		130.950	186.061

სიმჭიდროვე ნაკლებია.

1997 წლის მონაცემებით ეკონომიკურად

აქტიური მოსახლეობა 22 მილიონ კაცს შეადგენდა (მათგან 15.5 მილიონი მამაკაცი, 6.5 მილიონი ქალი).

ოფიციალურად უმუშევარი იყო 1.3 მილიონი კაცი, დასაქმებული კი — 20.7 მილიონი (14.2 მილიონი მამაკაცი და 6.5 მილიონი ქალი). მათგან სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია დაახლოებით 50%, სამთამადნო მრეწველობაში — 145 ათასი (1%-ზე ნაკლები), სამრეწველო წარმოებაში — 32 მილიონი (15%), მშენებლობაში — 1.2 მილიონი (4.5%), ვაჭრობასა და მომსახურების სფეროში — 2.7 მილიონი (12%), ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში — 844 ათასი (4%), საზოგადოებრივ და კერძო სამსახურში — 2.9 მილიონი კაცი (14%).

68%-მდე იმატა შობადობაში სიცოცხლისუნარიანობამ. ათასში 40-მდე იკლო ერთ წლამდე ბავშვების სიკვდილიანობამ.

ასი ათასობით თურქეთის მოქალაქე ცხოვრობს უცხოეთში: გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, ნიდერლანდებში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, საუდის არაბეთში, ლიბიაში, ავსტრალიაში და ა.შ. საზღვარგარეთ მომუშავე მოქალაქეებიდან თურქეთის ხაზინა ყოველწლიურად დაახლოებით 3-3.5 მლრდ. აშშ დოლარს იღებს.

თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით ქვეყნის ყველა მოქალაქე თურქია. მოსახლეობის 99%-ზე მეტი მუსლიმია. მათგან უდიდესი უმრავლესობა — სუნიტი.

თურქეთისათვის დამახასიათებელია ურბანიზაციის მაღალი ტემპი. 1980 წელს ქალაქად ცხოვრობდა მოსახლეობის 43.9%. 1990 წელს ეს მაჩვენებელი 59%-მდე გაიზარდა. 1997 წელს კი ქალაქად ცხოვრობდა მოსახლეობის საერთო რაოდენობის 64.7% (40 630 435 კაცი), სოფლად — 35.3% (22 179 676 კაცი).

თურქეთის ათი უდიდესი ქალაქი (1997 წლის 30 ნოემბრის აღწერის მიხედვით):

- სტამბოლი-9 159 615
- ანკარა-3 147 231
- იზმირი-2 694 770
- ბურსა-1 160 307
- ადანა-1 011 742
- დიარბექირი-750 000
- გაზიანთეფი-726 000
- კონია-650 000
- ანთალია-600 000
- კაისერი-562 910 (8)

მოკლე ისტორიული ნარკვევები

თურქებმა მცირე აზიაში მოსვლამდე დიდი და მძიმე გზა განვლეს. თურქული სახელმწიფოები შექმნეს ჰუნებმა, გოქთურქებმა, უიღურებმა, ყარახანიდებმა და ლაზნევიდებმა. (36)

პირველი თურქული სახელმწიფო კი ანატოლიაში სელჩუკებმა ჩამოაყალიბეს. მართალია სელჩუკების სახელმწიფოს დამაარსებლად სელჩუკი ითვლება, მაგრამ

რეალურად დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს დანდანაქანის ველზე ლაზნევიდებთან სელჩუკების გამარჯვების შემდეგ ჩაეყარა საფუძველი. მისი პირველი სულთანი თოღრულ-ბეგი (1038-1063 წწ) იყო.

ალფ-არსლანისა (1063-72 წწ) და მელიქ-შაჰის (1072-92 წწ) სულთნობის წლებში დამპყრობლური ომების შედეგად შეიქმნა დიდ სელჩუკთა იმპერია (1040-1194 წწ), რომლის შემადგენლობაში მოექცა მრავალი ქვეყანა შუა აზიიდან პალესტინამდე. სელჩუკთა იმპერია ძირითადად ერაყისა და ირანის ტერიტორიას მოიცავდა.

XI საუკუნის შუა წლებიდან სელჩუკთა სახელმწიფოს ფეოდალიზაციის შედეგად წარმოიქმნა რამდენიმე ცალკეული პოლიტიკური ერთეული სირიაში (1078-1117 წწ), ქირმანში (1041-1186 წწ) და ანატოლიაში (1077-1307 წწ). გარდა ამისა, ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები დიარბექირში ართუკიდების დინასტიის სახით (1102-1408 წწ), მარდინსა და მაიაფარიკინში (1104-1408 წწ), ზენგიდების დინასტია შეიქმნა ელ-ჯაზირასა და სირიაში (1127-1222 წწ), ილდელიზიდების დინასტია — აზერბაიჯანში (1137-1225 წწ), სალღურიდებისა — ფარსში (1148-1270 წწ), ისმაილიტებისა (ასასინებისა) — ირანსა (1090-1256 წწ) და სირიაში (1100-1273 წწ), დანიშმენდებისა — ცენტრალურსა და აღმოსავლეთ ანთალიაში (1071-1174 წწ), მათი შტო დამკვიდრდა მალათიაში (1142-1178 წწ). ცალკეულ სელჩუკურ პოლიტიკურ ერთეულებს შორის ყველაზე მეტ ხანს იარსება ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფომ. (36)

XIII საუკუნის მეორე ნახევარში ოღუზთა ერთ-ერთი მომთაბარე ტომის ქაის ბეგმა ერთულრულმა რუმის სულთნისაგან მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთში მიიღო ტერიტორია — უჯი. მისმა შვილმა ოსმან I-მა (აქედან მომდინარეობს სახელწოდება ოსმალები და ოსმალეთის იმპერია) 1299 წელს შექმნა დამოუკიდებელი ფეოდალური სამთავრო — ბეილიქი. XIV-XV საუკუნეებში ოსმალთა ფეოდალებმა შეიერთეს მცირე აზიის თურქული ბეილიქები. XIV საუკუნის მეორე ნახევარში გადალახეს დარდანელის სრუტე და დაიმორჩილეს ბალკანეთის ქვეყნების უმრავლესობა.

1453 წლის 29 მაისს კონსტანტინეპოლის აღებით სულთანმა მეჰმედ II-მ, იგივე „ფათიჰმა“ (დამპყრობელი) ბოლო მოუღო ბიზანტიის იმპერიას. ამიერიდან ამ ქალაქს ეწოდა სტამბოლი (თურქულად Istanbul) და გახდა ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქი.

ოსმალეთმა განაგრძო დამპყრობლური ომები. 1461 წელს მოსპო ტრაპიზონის იმპერია. 1475 წელს კი დაიმორჩილა ყირიმის ნახევარკუნძული, მდინარეების შესართავები (დონიდან დუნაიმდე). XV საუკუნის დასასრულს შავი ზღვა ოსმალეთის „დახურულ ტბად“ იქცა.

XVI საუკუნეში ოსმალეთი კიდევ უფრო გაძლიერდა. 1516-17 წლებში დაიპყრო სირია, პალესტინა და ეგვიპტე. ამავე პერიოდში არაბეთის ნახევარკუნძულმა აღიარა სულთნის უზენაესი ხელისუფლება. 1534-46 წლებში ერაყის დაპყრობით ოსმალეთი გავიდა სპარსეთის ყურეზე. 1526 წელს უნგრეთის დაპყრობის შემდეგ ოსმალეთი ჩაება გამუდმებულ ომებში ჰაბსბურგების იმპერიასთან. XVI საუკუნის დამდეგს, სეფიანთა სახელმწიფოს წარმოქმნის შემდეგ, ირანსა და ოსმალეთს შორის დაიწყო ხანგრძლივი ომები ახლო აღმოსავლეთში ბატონობისათვის.

მალესამხედრო-ლენური კრიზისის შედეგად დაეცა დისციპლინა იენიჩარებს შორის და დაქვეითდა ოსმალეთის სამხედრო ძლიერება.

XVI საუკუნის II ნახევარში ოსმალებმა სერიოზული სამხედრო დამარცხებები განიცადეს — 1569 წელს რუსეთთან ომში და 1517 წელს ლეპანტოსთან ესპანეთ-ვენეციის ფლოტის წინააღმდეგ ბრძოლაში. (36)

XVII საუკუნის დასასრული ოსმალეთისათვის ახალ სამხედრო დამარცხებათა წლები იყო. ავსტრიის, ვენეციის, პოლონეთისა და რუსეთის კოალიციამ, რომელიც „საღვთო ლიგის“ სახელს ატარებდა, გაიმარჯვა ოსმალეთზე და ეს უკანასკნელი იძულებული გახდა კარლოვიცასა და სტამბოლში დადებული ზავების ძალით, გამარჯვებული სახელმწიფოებისათვის ევროპაში მდებარე თავისი სამფლობელოები დაეთმო. (10)

ეს პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა XIX საუკუნეში, რის შედეგადაც თავისუფლება მოიპოვეს საბერძნეთმა, სერბიამ, რუმინეთმა და ბულგარეთმა. (84)

ომებში მარცხისა და ტერიტორიების დაკარგვის შემდეგ ოსმალებმა დაიწყეს რეფორმების გატარება. სულთან სელიმ III-მ (მართავდა 1789-1807 წწ) შემოიღო „ნიზამი ჯედიდი“ („ახალი სისტემა“), რაც ითვალისწინებდა ფეოდალური ინსტიტუტების მოწესრიგებას. მაგრამ ეს ცდა მარცხით დამთავრდა.

სულთან მაჰმუდ II-მ (მართავდა 1808-39 წწ) განაგრძო სელიმ III-ის პოლიტიკა, მოსპო იენიჩართა ჯარი და შეეცადა გაეტარებინა სხვა რეფორმები, მაგრამ შედეგი უმნიშვნელო იყო. პროგრესული გარდაქმნის ყველაზე სერიოზული ცდები დაიწყო 1839 წლიდან, როდესაც ჩატარდა არმიის, სახელმწიფო აპარატისა და ფინანსების რეორგანიზაცია.

1876 წელს გამოქვეყნდა კონსტიტუცია, მაგრამ ორი წლის შემდეგ სულთან აბდულჰამიდ II-მ (მართავდა 1876-1909 წწ) შეწყვიტა მისი მოქმედება.

XIX საუკუნის ბოლოს ოსმალეთში დაიწყო „ახალგაზრდა თურქთა“ მოძრაობა. 1908 წელს არმიის მიერ მაკედონიაში მოწყობილი აჯანყების

შედეგად აღადგინეს 1876 წლის კონსტიტუცია და მოიწვიეს პარლამენტი.

1914 წელს ოსმალეთში ხელისუფლება „ახალგაზრდა თურქების“ ხელმძღვანელების ენვერ-ფაშას, თალათ-ფაშასა და ჯემალ-ფაშას ხელში აღმოჩნდა.

I მსოფლიო ომში ოსმალეთი გერმანიის მხარეზე გამოვიდა. მარცხის შემდეგ 1918 წლის ოქტომბერში მან ანტანტის წინაშე კაპიტულაცია გამოაცხადა. 1918 წლის მუდროსის დაზავებით ოსმალეთი სახელმწიფოებრიობის სრული დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. (85) ანტანტის სახელმწიფოებმა მიიტაცეს ოსმალეთის იმპერიაში შემავალი ქვეყნები და თვით ანატოლიის დანაწილებისთვისაც ემზადებოდნენ. ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ და საბერძნეთმა დაიწყეს ოსმალეთის სამხედრო ოკუპაცია. 1920 წლის ივნისში საბერძნეთის არმია ინგლისის დახმარებით შეტევაზე გადავიდა და ღრმად შეიჭრა ანატოლიაში, დაიკავა თრაკია. 1920 წლის 10 აგვისტოს ანტანტის სახელმწიფოებმა სულთნის მთავრობას თავს მოახვიეს კაბალური სევრის საზავო ხელშეკრულება. (36)

ასეთ პირობებში თურქმა ხალხმა შეიარაღებული ბრძოლა დაიწყო დამოუკიდებლობისათვის. ამ ბრძოლას ხელმძღვანელობდა მუსტაფა ქემალ ათათურქი, რომელმაც გაათავისუფლა ერი, გამოაცხადა რესპუბლიკა და გაატარა მრავალი რეფორმა (უფრო დანვრილებით იხილეთ ქვემოთ).

ათათურქის გარდაცვალების შემდეგ ქვეყნის პრეზიდენტი გახდა მისი მარჯვენა ხელი — ისმეთ ინონუ (მართავდა 1938-50 წწ).

მეორე მსოფლიო ომში თურქეთმა შეინარჩუნა ნეიტრალიტეტი. 1945 წლის თებერვალში მან ომი გამოუცხადა გერმანიასა და იაპონიას.

1945 წელს მმართველ CHP -ში (სახალხო-რესპუბლიკური პარტია) მოხდა განხეთქილება. მისგან გამოყოფილმა ოპოზიციურმა ჯგუფმა ჯელალ ბაიარისა და ადანან მენდერესის მეთაურობით დააარსა ახალი მემარჯვენე მიმართულების ორგანიზაცია DP (დემოკრატიული პარტია).

1950 წელს საპარლამენტო არჩევნებში CHP -მ მარცხი განიცადა. ხელისუფლებაში მოვიდა DP. იმავე წლის 22 მაისს ქვეყნის პრეზიდენტი გახდა მათი ლიდერი ჯელალ ბაიარი, პრემიერ-მინისტრი — ადანან მენდერესი. ახალი მთავრობა აგრძელებდა აშშ-სთან დაახლოების პროცესს. მან ვაშინგტონთან დადო შეთანხმება ამერიკისაგან დახმარების მიღების შესახებ. თურქეთმა მიიღო სუბსიდიები და კრედიტები შეიარაღებისა და სამხედრო-სტრატეგიული მშენებლობისათვის. თავის მხრივ თურქეთმა აშშ-ს თავის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების შექმნის

უფლება მისცა. 1950-52 წლებში თურქეთი მონაწილეობდა კორეის ომში. 1952 წელს ანკარა გახდა ნატოს წევრი, 1955 წელს კი — ბალდადის პაქტის (1959 წლიდან-სენტო) წევრი.

1960 წლის 27 მაისს თურქეთის არმიამ მოახდინა გადატრიალება — მენდერესის მთავრობა დაემხო. შეიქმნა ახალი მთავრობა გენერალი ჯემალ გურსელის — ეროვნული ერთობის კომიტეტის თავმჯდომარის მეთაურობით. გურსელივე გახდა ქვეყნის პრეზიდენტი (მართავდა 1960-66წწ). მთავრობამ გამოაცხადა თავისი განზრახვა — დაბრუნებოდა ათათურქის ტრადიციულ პოლიტიკას.

1961 წელს თურქეთში მიიღეს ახალი კონსტიტუცია. 1966 წლის 29 მარტს ქვეყნის პრეზიდენტი გახდა ჯევდეთსუნაი (მართავდა 1973 წლამდე).

1971 წლის 12 მარტს არმიის მთავრობამ გადააყენა სულეიმან დემირელის მესამე მთავრობა. ანკარაში, სტამბოლსა და სხვა ქალაქებში შემოიღეს საგანგებო წესები. გაასამართლეს და დააპატიმრეს მრავალი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. გამწვავდა წინააღმდეგობანი პოლიტიკურ პარტიებში, ამ პარტიებისა და არმიის ხელმძღვანელობას შორის. პარტიებში მომხდარი განხეთქილებების შედეგად შეიქმნა ახალი პარტიები. პარლამენტი ფაქტიურად პარალიზებული აღმოჩნდა.

შიდაპოლიტიკური კრიზისი განსაკუთრებით გამწვავდა 1973 წლის გაზაფხულზე ჯევდეთსუნაის საპრეზიდენტო უფლებამოსილებათა ვადის გასვლასთან დაკავშირებით. ახალ პრეზიდენტად 1973 წლის 6 აპრილს კენჭისყრის 14 ტურის შემდეგ აირჩიეს ფაჰრი ქორუთურქი (მართავდა 1980 წლამდე). პოლიტიკური ცხოვრების ერთგვარი სტაბილიზაციის შედეგად 1973 წლის შემოდგომაზე შესაძლებელი გახდა საპარლამენტო არჩევნების ჩატარება, რომელზეც დიდი წარმატება ხვდა CHP -ს. პარტიამ დასძლია მისი რიგებიდან უხუცესი ლიდერის ისმეთ ინონუს გასვლითა და შიდა განხეთქილებით წარმოქმნილი კრიზისი, სათავეში მოვიდა ახალი ხელმძღვანელობა ბულენტ ეჯევითის მეთაურობით (1972 წლის მაისში აირჩიეს პარტიის გენერალურ თავმჯდომარედ). CHP -მ საარჩევნო პროგრამაში შეიტანა მოთხოვნები: მინის რეფორმის ჩატარება, უცხო კაპიტალის პოზიციების შესუსტება, სახელმწიფო სექტორის გაძლიერება, მუშათა და ახალგაზრდობის უფლებების დაცვა, პოლიტპატიმართა ამნისტია და სხვ. მაგრამ პარტიამ პარლამენტში აბსოლუტური უმრავლესობა ვერ მოიპოვა. ეჯევითის მიერ 1974 წლის იანვარში შექმნილმა კოალიციურმა მთავრობამ, რომელშიც შედიოდნენ CHP -სა და MSP -ს (ეროვნული ხსნის პარტია) დეპუტატები, მხოლოდ იმავე წლის სექტემბრამდე იარსება. (36)

1974 წლის 20 ივლისს კვიპროსის მთავრობის წინააღმდეგო ამბოხებასთან დაკავშირებით თურქეთმა თავისი ჯარი გადასხა კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში. მკვეთრად გაუარესდა ათენ-ანკარის ურთიერთობანი. საბერძნეთმა საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა და თავისი ჯარების თურქეთის საზღვრებისაკენ გადასროლა დაიწყო. თურქეთმაც 14 ვილაიეთში სასწრაფოდ სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა. დაიხურა აეროპორტები და ჯარები სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იქნა მოყვანილი. გართულდა ურთიერთობა ნატოს ზოგიერთ პარტნიორთან, მათ შორის აშს-სთან, რომელმაც 1974 წლის დეკემბერში ანკარას დროებით შეუწყვიტა სამხედრო დახმარება. (90)

1974 წლის ნოემბრიდან 1975 წლის მარტამდე თურქეთში მოქმედებდა უპარტიო საფუძველზე შექმნილი ე.წ. „მოსამსახურე მთავრობა.“

1975 წლის 31 მარტს AP -ის (სამართლიანობის პარტია) ლიდერმა სულეიმან დემირელმა შექმნა ახალი კოალიციური მთავრობა, რომელშიც შევიდნენ MSP -ს (ეროვნული ხსნის პარტია), CGP -ს (ნდობის რესპუბლიკური პარტია) და MHP -ს (ნაციონალისტური მოძრაობის პარტია) წარმომადგენლები. CHP ოპოზიციაში გადავიდა.

1977 წელი აღინიშნა ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი დაქვეითებით, ინფლაციისა და უმუშევრობის მკვეთრი ზრდით. იმავე წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულმა CHP -მ ბულენტ ეჯევითის მეთაურობით 1978 წლის 5 იანვარს შექმნა ერთპარტიული მთავრობა, რომელმაც გამოაცხადა მემარცხენე ცენტრისტული კურსი. (36) მაგრამ მათი მმართველობა დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან სენატის 1/3-ის გასაახლებელ არჩევნებში CHP -ს დამარცხების შემდეგ მთავრობა გადადგა.

1979 წლის 12 ნოემბერს დემირელმა ჩამოაყალიბა უმცირესობის მთავრობა, რომელმაც მიიღო ეკონომიკის ლიბერალიზაციისა და დასავლეთთან კიდევ უფრო დაახლოების გადაწყვეტილებები. ამავე პერიოდში ქვეყანაში მიმდინარე არეულობების დროს მოკლულ იქნა მრავალი ადამიანი. ქვეყანა რეალურად დადგა ანარქიისა და მასობრივი ტერორის საფრთხის წინაშე. ამიტომ 1980 წლის 12 სექტემბერს ძალაუფლება ხელში აიღეს სამხედროებმა. მათ დაითხოვეს პარლამენტი და მთავრობა. მთელს ქვეყანაში აიკრძალა ქუჩაში გამოსვლა. პარლამენტის წევრებს მოეხსნათ ხელშეუხებლობა. პრეზიდენტი გახდა გენშტაბის უფროსი, არმიის გენერალი ქენან ევრენი (მართავდა 1989 წლამდე).

1980 წლის 20 სექტემბერს ყოფილმა ადმირალმა ბულენტ ულუსუმ ჩამოაყალიბა ახალი მთავრობა. მისი მოადგილე გახდა თურგუთ ოზალი.

1981 წლის 16 ოქტომბერს ეროვნული

უშიშროების საბჭომ აკრძალა ყველა პარტია და მათი ქონება სახელმწიფო ხაზინას გადასცა. სამართალში იქნა მიცემული მრავალი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე.

1982 წლის 7 ნოემბერს სახალხო რეფერენდუმზე დამტკიცდა ახალი კონსტიტუცია. იმავე პლენისციტზე ქენან ევრენმაც მიიღო ნდობის მანდატი.

1983 წლის 24 აპრილს მოიხსნა პოლიტიკური აკრძალვა და დაფუძნდა მრავალი ახალი პარტია.

იმავე წლის 6 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა მემარჯვენე ცენტრისტულმა ANAP-მა (დედასამშობლოს პარტია) და მისმა ლიდერმა თურგუთ ოზალმა ჩამოაყალიბა ახალი მთავრობა. ოზალმა დაიწყო პრივატიზაციისა და მრავალი სხვა ეკონომიკური რეფორმის გატარება. მალე ის ქვეყნის პრეზიდენტაც გახდა. (45)

ათათურქი და ქემალიზმი

თურქეთის გუშინდელი, დღევანდელი და ხვალისდელი დღე წარმოუდგენელია მუსტაფა ქემალ ათათურქის პიროვნების გარეშე. იგი ყველაზე მძიმე წლებში ჩაუდგა სათავეში თურქი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას და სამართლიანად ითვლება თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებლად.

მუსტაფა ქემალი (შემდგომში ათათურქად წოდებული) დაიბადა 1881 წელს ქ. სალონიკში მოხელის ოჯახში. 1905 წელს დაამთავრა სტამბოლის გენერალური შტაბის აკადემია. უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში ყოფნისას გაიტაცა თანზიმათის პერიოდის თურქ ნაციონალისტთა იდეებმა. დაუკავშირდასულთან აბდულჰამიდ II-ის მიმართ ოპოზიციურად განწყობილ ახალგაზრდა ოფიცრებს.

აკადემიის დამთავრების შემდეგ მუსტაფა ქემალმა 1906 წელს ქ. დამასკოში, შემდეგ კი სხვა ქალაქებში თანამოაზრებებთან ერთად დააარსა „სამშობლოსა და თავისუფლების საზოგადოება“, რომელიც შემდეგ შეუერთდა „ერთიანობისა და პროგრესის“ ორგანიზაციას. მალე იგი დანიშნეს „ახალგაზრდა თურქთა“ მიერ შექმნილი „მოქმედების არმიის“ შტაბის უფროსად. მონაწილეობდა იტალია-ოსმალეთის (1911-12) და ბალკანეთის მეორე (1913) ომებში. 1913-14 წლებში იყო ოსმალეთის სამხედრო ატაშე ბულგარეთში, საიდანაც მოქმედ არმიაში გადაიყვანეს. (83)

I მსოფლიო ომში (1914-18) იბრძოდა სხვადასხვა ფრონტზე. აქ მან მიიღო ფაშის ანუ გენერლის ტიტული. I მსოფლიო ომში ოსმალეთის დამარცხებისა და ანტანტის ქვეყნების მიერ მისი ტერიტორიის დიდი ნაწილის ოკუპაციის შემდეგ ქემალ-ფაშა ამოდ მოუწოდებდასულთან მეჰმედ V-ს ოკუპანტთა წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისაკენ.

1919 წლის 19 მაისს მან ქ. სამსუნდან წამოიწყო

თურქი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა. იმავე წელს გახდა რევოლუციური „უფლებათა დაცვის საზოგადოების“ სივასის კონგრესის მიერ არჩეული წარმომადგენლობითი კომიტეტის თავმჯდომარე. ინგლისელების მიერ სტამბოლში დეპუტატთა პალატის გარეკვის შემდეგ მუსტაფა ქემალმა 1920 წლის 23 აპრილს ანკარაში მოიწვია დიდი ეროვნული კრება (პარლამენტი), რომელმაც იგი აირჩია პარლამენტის და მთავრობის თავმჯდომარედ. იმავე დროს იგი სათავეში ჩაუდგა შეიარაღებულ ძალებს.

1921 წელს თურქებმა მდ. საქარიასთან ქემალ-ფაშას სარდლობით დაამარცხეს საბერძნეთის ჯარი, რის გამოც თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მას მარშლის წოდება და გაზის ტიტული მიანიჭა. 1922 წელს ინტერვენტებზე საბოლოო გამარჯვების შემდეგ მთელი რეალური ძალაუფლება მუსტაფა ქემალის ხელში აღმოჩნდა და ამ უკანასკნელმა განახორციელა სახელმწიფო სისტემის შეცვლა, რაც ისტორიაში ქემალისტური რევოლუციის სახელით შევიდა.

მუსტაფა ქემალის ხელმძღვანელობით გატარდა ბევრი პროგრესული რეფორმა. 1922 წლის 1 ნოემბერს გაუქმდა სასულთნო, ხოლო 1924 წლის 3 მარტს — სახალიფო. 1923 წის 29 ოქტომბერს თურქეთი რესპუბლიკად გამოცხადდა. იმავე დღეს ქემალ-ფაშა აირჩიეს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად. 1926 წელს შემოიღეს ახალი სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსი. რელიგია გამოეყო სახელმწიფოს. 1928 წელს არაბული ანბანი შეიცვალა ლათინურით.

1934 წელს თურქეთში გვარების შემოღებასთან დაკავშირებით დიდმა ეროვნულმა კრებამ მუსტაფა ქემალს ათათურქის („თურქთა მამა“) გვარი მიანიჭა.

ათათურქი გარდაიცვალა 1938 წლის 10 ნოემბერს ქ. სტამბოლში. (36) თურქმა ხალხმა ათათურქს დაუფასა ტიტანური შრომა, რომელიც მან გასწია ქვეყნისა და ერის გადასარჩენად. იგი დაკრძალულია ანკარაში სპეციალურად მისთვის აგებულ მავზოლეუმში.

ათათურქი თურქეთისთვის არა მარტო გუშინდელი დღეა. ამ პიროვნებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა განსაზღვრა ქვეყნის დღევანდელი და მომავალი. მის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპები, რომელიც ქემალიზმის სახელითაა ცნობილი, საფუძვლად უდევს თანამედროვე თურქეთის სახელმწიფოებრიობას.

ქემალიზმის პრინციპებია: რესპუბლიკანიზმი, ნაციონალიზმი, ხალხოსნობა, ეტატიზმი, ლაიციზმი და რევოლუციონიზმი.

ა) რესპუბლიკანიზმი. 1924, 1961 და 1982 წლების კონსტიტუციების მიხედვით თურქეთში რესპუბლიკური მმართველობის ფორმაა. მისი

შეცვლა და თვით შეცვლის საკითხის დაყენებაც კი კანონით დაუშვებელია. ათათურქი ქვეყნის მართვის ყველაზე მისაღებ და მოსახერხებელ მოდელად რესპუბლიკური მმართველობის ფორმას მიიჩნევდა.

ბ) ნაციონალიზმი. ათათურქი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ პრინციპს, რადგან მისი საშუალებით ხდებოდა თურქი ერის ერთიანობის დაცვა. იგი ამბობდა „ჩვენი ნაციონალიზმი არავითარ შემთხვევაში არ არის ეგოისტური და ამპარტავნული ნაციონალიზმი“. (76, 308) ამასთანავე მკვეთრად ასხვავებდა ერთმანეთისაგან ნაციონალიზმსა და ნაციზმს. (54) თანახმად ათათურქის განმარტებისა, ბუნებრივი და ისტორიული ფაქტორები, რომლებიც ქმნის ერის, ეს არის: 1. პოლიტიკური ერთიანობა; 2. საერთო ენა; 3. საერთო სამშობლო; 4. საერთო წარმოშობა და რასობრივი ერთიანობა; 5. ისტორიული ერთიანობა; 6. ზნეობრივი საფუძვლების ერთიანობა. (62)

გ) ხალხოსნობა. იგი ახლოს დგას წინა პრინციპთან. ზოგიერთი მკვლევარის აზრით ხალხოსნობა ნაციონალიზმიდან მომდინარეობს და მისი შედეგია. ათათურქის მიხედვით ხალხოსნობა:

„ — დემოკრატიულობაა.

— არ ცნობს პიროვნებებს შორის პრივილეგიებს.

— არ ეთანხმება კლასობრივ ბრძოლას“. (39, 116)

დ) ეტატიზმი (წარმოდგება ფრანგული სიტყვიდან „etat“ — სახელმწიფო). ამ პრინციპს ორი განმარტება გააჩნია. ფართო გაგებით იგი ნიშნავს ეკონომიკისა და სოციალ-კულტურული აღორძინების პოლიტიკის გატარებას, ვინრო გაგებით კი — სახელმწიფოს წარმმართველ როლს ეკონომიკაში. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერს სახელმწიფო აწარმოებს.

ე) ლაიციზმი (წარმოდგება ფრანგული სიტყვიდან „laicite“, რაც ნიშნავს საერო ხასიათს). იგი გულისხმობს რელიგიის გამოყოფას სახელმწიფოსაგან. თურქეთის 1921 და 1924 წლების კონსტიტუციებში ჩადებული დებულება „სახელმწიფო რელიგია ისლამია“. გაუქმდა 1928 წლის 10 აპრილის № 1222 კანონით. ათათურქი ამბობდა: „ჩვენ პატივს ვცემთ რელიგიას. არ ვენიანააღმდეგებით არავის აზრებს და აზროვნების წესს. ჩვენ მხოლოდ ვცდილობთ, რომ რელიგიური და სახელმწიფო საქმეები არ აირიოს ერთმანეთში“. (62, 193)

ვ) რევოლუციონიზმი. იგი ერთის მხრივ გულისხმობს საზოგადოების მუდმივ განვითარებას და მეორეს მხრივ ქემალისტური რევოლუციის სახელით აერთიანებს ყველა ზემოთჩამოთვლილ პრინციპს.

ქემალიზმის ექვსივე დებულება ერთნაირად

მნიშვნელოვანია. ყოველი მათგანი სრულიად დამოუკიდებელია და ეხება ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების გარკვეულ დარგს. ამავე დროს ექვსივე დებულება მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთმანეთიდან გამომდინარეობს. მაგრამ მიუხედავად დებულებათა ურთიერთშორის მჭიდრო კავშირისა, ზოგიერთი მკვლევარი მაინც თვლის, რომ არ შეიძლება ქემალიზმის მწყობრ თეორიულ სისტემად გამოცხადება, ვინაიდან იგი წარმოადგენს ევროპული მატერიალისტური და იდეალისტური თეორიებიდან აღებული დებულებათა კომპილაციას. ამავე დროს ბევრი რამ ამ თეორიებიდან აღებულია არა უშუალოდ ევროპიდან, სადაც ისინი შეიქმნა, არამედ მათი თურქული სინამდვილის პრიზმაში გარდატეხის შემდეგ. ქემალისტურ რევოლუციასთან დაკავშირებით ადგილი არ ჰქონია ასეთ თანმიმდევრობას: ჯერ რევოლუციური თეორია, შემდეგ რევოლუცია. თურქეთში მოხდა პირიქით: ჯერ რევოლუცია და მხოლოდ შემდეგ, უკვე რევოლუციის მსვლელობაში შეიქმნა ქემალიზმი. ეს ქემალიზმის დამახასიათებელი თავისებურებაა. როდესაც მუსტაფა ქემალ-ფაშა სათავეში ჩაუდგა ბრძოლას ანტანტელი ინტერვენტების წინააღმდეგ, მას პროგრამა არ ჰქონდა შემუშავებული. ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ სახალხო-რესპუბლიკური პარტიის 6 დებულების თანდათანობითი ჩამოყალიბების პროცესი ამავე დროს არის ქემალიზმის, როგორც იდეოლოგიის ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც მოიცავს არა მარტო ანტანტელ ინტერვენტებთან ბრძოლის, არამედ რესპუბლიკური რეფორმების პერიოდსაც. (11)

ქემალიზმმა უდიდესი როლი შეასრულა ქვეყნის გათავისუფლებისა და რესპუბლიკური თურქეთის შექმნის საქმეში. იგი დღესაც გადამწყვეტ როლს თამაშობს ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ქემალიზმის სწორედ გაგების გარეშე შეუძლებელია თანამედროვე თურქეთში მიმდინარე პროცესების ობიექტური აღქმა.

პოლიტიკური პარტიები

თურქეთის ძირითადი პოლიტიკური ორგანიზაციებია:

ANAVATAN PART ISI (ANAP) (დედასამშობლოს პარტია) — დაფუძნდა 1983 წლის 20 მაისს. პირველი გენერალური თავმჯდომარე იყო ბოლო წლების თურქეთის ეკონომიკის არქიტექტორი, რეფორმების სულისჩამდგმელი და შემდგომში რესპუბლიკის პრეზიდენტი თურგუთ ოზალი. მართალია, იგი ერთ დროს იზმირის ვილაიეთის დეპუტატობის კანდიდატი იყო ნეჯმეთინ ერბაქანის ისლამისტური MSP- დან(ეროვნული

ხსნის პარტია), მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია სახელმწიფო სტრუქტურებში წარმატებული კარიერისათვის. იგი 1982 წლის 14 ივლისამდე იყო ვიცე-პრემიერი. გადადგომის შემდეგ ჩამოაყალიბა დედასამშობლოს პარტია.(63) პარტიის გენერალური თავმჯდომარის მოადგილეები იყვნენ: ვეისელ ათასოი, მესუთ ილმაზი, ჰალილ შივგინი, მეჰმეთ ალთინსოი, გენერალური მდივანი — მუსტაფა თაშარი.(44,115)

ANAP მემარჯვენე-ცენტრისტული მიმართულების პარტიაა. 1986 წელს შეიერთა თავისუფალი დემოკრატიული პარტია. ANAP -ის ახლანდელი გენერალური თავმჯდომარეა მესუთ ილმაზი.(6)

პარტიის ძირითადი პროგრამა:

ეკონომიკა: პრივატიზაცია, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, ინფლაციის შეჩერება, საგარეო ვაჭრობაზე სახელმწიფო კონტროლის გაუქმება.

საგარეო პოლიტიკა: მჭიდრო კავშირი ნატოსთან, მეგობრული ურთიერთობების განვითარება ახლო აღმოსავლეთისა და მუსლიმურ ქვეყნებთან.

ძირითადი უფლებები და თავისუფლებები: ნებისმიერი პიროვნების უფლება და თავისუფლება ხელშეუხებელია.

პროფკავშირები — ხელფასები: პროფკავშირების დაფუძნებისა და გაფიცვის უფლებები სამუშაო ცხოვრების მომწესრიგებელი ძირითადი ელემენტებია. ანაზღაურება უნდა შეესაბამებოდეს შესრულებულ სამუშაოს.

უცხოური კაპიტალი: საჭიროა უცხოური კაპიტალის მოზიდვა და წახალისება.

გადასახადები: გადასახადები უნდა იყოს მცირე, ადვილი გასაგებად და გადასახდელად.

სოფლის მეურნეობა: საჭიროა ტექნოლოგიის განვითარება და რეფორმების გატარება.

განათლება: განათლების მთავარი მოვალეობაა ისეთი ადამიანის გამოზრდა, რომელსაც გათავისებულები ექნება ათათურქის პრინციპები, თანამედროვე და წინმავალი თურქეთის იდეალი, ეროვნული და მორალური ფასეულობები. განათლების მიცემა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობაა, მაგრამ შესაძლებელი უნდა იყოს კერძო განათლების მიღებაც.(76)

DO ĞRU YOL PART İSİ (DYP) (ქეშმარიტი გზის პარტია) — დაფუძნდა 1983 წლის 23 ივნისს. პირველი გენერალური თავმჯდომარე იყო ყოფილი AP (სამართლიანობის პარტია)-ს სენატორი და თავმჯდომარე აჰმედ ნუსრეთ თუნა, მოადგილეები — ალი რიზა იარადანაქული, თურგაი უჩოზი და გალიფ ონურსალი, გენერალური მდივანი — ისმაილ ჰერალი.(44,120)

შემდეგი ლიდერი იყო ილდიმირ ავჯი. მის

დროს პარტიას შეუერთდა დახურული BTP -ს (დიდი თურქეთის პარტია) უდიდესი ნაწილი და ასევე აკრძალული სამართლიანობის პარტიის 128 წევრი.

DYP მემარჯვენე-ცენტრისტული მიმართულების ორგანიზაციაა. ითვლება სამართლიანობის პარტიის (მოქმედებდა 1961-1981 წლებში) მემკვიდრედ.

DYP -ს შემდეგი ლიდერი იყო ახლანდელი პრეზიდენტი სულეიმან დემირელი.

ახლანდელი გენერალური თავმჯდომარეა თანსუჩილერი.

პარტიის ძირითადი პროგრამა:

ეკონომიკა: ეკონომიკური წყობა თავისუფალ და დემოკრატიულ რეჟიმს უნდა აძლიერებდეს.

საგარეო პოლიტიკა: საგარეო პოლიტიკის მიზანი ქვეყნის უსაფრთხოებისა და მშვიდობის შენარჩუნებაა. ასეთი პოლიტიკა გაეროს ძირითად პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ურთიერთობა ახლო მეზობლებთან.

ძირითადი უფლებები და თავისუფლებები: დაცულ უნდა იქნას ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციაში განცხადებული პიროვნების უფლებები და ძირითადი თავისუფლებები.

პროფკავშირები — ხელფასები: ყველას აქვს პროფკავშირების შექმნის უფლება. სამუშაოს მიმცემი და შემსრულებელი თვითონ უნდა შეთანხმდნენ ანაზღაურების რაოდენობაზე.

უცხოური კაპიტალი: უცხოური კაპიტალის წახალისება მარტო იმით კი არ არის მომგებიანი, რომ ქვეყანაში ვალუტა შემოდის, არამედ იმითაც, რომ ვითარდება საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები.

გადასახადები: საგადასახადო სისტემა მოქალაქის ფინანსურ შესაძლებლობებს უნდა შეესაბამებოდეს, და რაც, მთავარია უნდა იყოს სამართლიანი.

სოფლის მეურნეობა: ხელი უნდა შეეწყოს ფერმერობა-გლეხობის და საერთოდ სოფლის მეურნეობის აღორძინებას. ამ მხრივ თურქეთი უნდა გაუტოლდეს ევროკავშირის ქვეყნებს.

განათლება: განათლების მთავარი მიზანია თავისუფალი, სწორად მოაზროვნე, ეროვნული საკითხებით დაინტერესებული, იდეალისტი, ფიზიკურად და სულიერად ჯანმრთელი, ეროვნულ ტრადიციებზე დამოკიდებული და მორწმუნე თაობის აღზრდა.(76)

CUMHUR İYET HALK PART İSİ (CHP) (სახალხო-რესპუბლიკური პარტია) — დაფუძნდა 1923 წლის 11 სექტემბერს. პირველი და უცვლელი გენერალური თავმჯდომარე იყო თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებელი მუსტაფა ქემალ ათათურქი. მისი მოადგილე გახდა ისმეთ ინონუ, გენერალური მდივანი კი — რეჯეფ ფექერი.

პარტიის შემდეგი ლიდერები იყვნენ ისმეთ ინონუ და ბულენტ ეჯევიტი.

CHP მემარცხენე-ცენტრისტული ორიენტაციის პარტიაა. მას გააჩნია „ექვსი ისრის პრინციპი“, რომელიც ქვეალიზმის სახელითაცაა ცნობილი.

CHP დაიხურა 1981 წლის 16 ოქტომბერს ეროვნული უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით. 1983 წლიდან სხვა სახელით აგრძელებს მოქმედებას. 1992 წლის 9 სექტემბრიდან დაიბრუნა ძველი სახელი. 1994 წელს გაერთიანდა SHP -სთან (სოციალ-დემოკრატიული სახალხო პარტია). პარტიის ლიდერი გახდა ჰიქმეთ ჩეთინი. ახლანდელი გენერალური თავმჯდომარეა დენიზ ბაიკალი.(8)

პარტიის ძირითადი პროგრამა:

ეკონომიკა: ტრადიციული სახელმწიფო მონოპოლიების გარდა, ყურადღებას მოითხოვს მძიმე მრეწველობა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები.

საგარეო პოლიტიკა: საგარეო პოლიტიკა განუყოფელია თავდაცვითი პოლიტიკისაგან. აქედან გამომდინარე, რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთკავშირები ნდობის ფაქტორს უნდა ეფუძნებოდეს.

ძირითადი უფლებები და თავისუფლებები: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიხედვით უნდა განისაზღვროს ნებისმიერი პიროვნების უფლება.

პროფკავშირები — ხელფასები: მუშებს აქვთ გაფიცვის და პროფკავშირების შექმნის ხელშეუხებელი უფლება.

უცხოური კაპიტალი: საჭიროა ურთიერთმომგებიანი კავშირების დამყარება და იურიდიული ბაზის მოწესრიგება.

გადასახადები: გადასახადები სახელმწიფოსათვის არა მარტო შემოსავლის წყაროა, არამედ დაგეგმილი სამუშაოების, წარმოებისა და მოწესრიგებული ურბანიზაციის განხორციელების საშუალებაცაა.

სოფლის მეურნეობა: ტექნოლოგიის განვითარებით პროდუქციის რაოდენობის ზრდა და ამ მიზნით წვრილი და საშუალო გლეხობის ნახალისებაა საჭირო.

განათლება: თავისუფლად უნდა განვითარდეს ნებისმიერი პიროვნების ნიჭი და შესაძლებლობები. განათლების მიზანია გაამდიდროს ადამიანის ცხოვრების სულიერი მხარე, მან ხელი უნდა შეუწყოს დამოუკიდებელი პიროვნების ჩამოყალიბებას და ეროვნული ერთობის გრძნობის გაძლიერებას.(76)

MİLLİYET Çİ HAREKET PART İSİ (MHP) (ნაციონალისტური მოძრაობის პარტია) — დაფუძნდა 1969 წელს CKMP -ს (რესპუბლიკურ-გლეხური ეროვნული პარტია) საფუძველზე. ეროვნული უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით დაიხურა 1981 წელს. განახლდა

1983 წლის 7 ივლისს. პარტიის ლიდერი დღიდან დაარსებისა 1997 წლის 4 აპრილამდე (გარდაცვალებამდე) იყო ალფარსლან თურქეში. ახლანდელი გენერალური თავმჯდომარეა დევლეთ ბაჰჩელი.

პარტიის მიზანია „ახალი სახელმწიფო წესრიგის დამყარება. ეს წესრიგი ვერ განხორციელდება ვერც კაპიტალიზმით და ვერც კომუნიზმით. მისთვის საჭიროა „მესამე გზა“, იგივე „იდეალისტური გზა“.

MHP -ს გააჩნია 9 პრინციპი, რომელიც „ცხრა სხივის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ესენია: ნაციონალიზმი, იდეალიზმი, ზნეობრიობა, ცოდნა, საზოგადოებრიობა, გლეხობა, თავისუფლება და ინდივიდუალიზმი, პროგრესულობა და ხალხოსნობა, ინდუსტრიალიზაცია და ტექნიკურობა.

MHP -ს ძირითადი პრინციპი მაინც ნაციონალიზმი და ისლამიზმია. რაც ხშირად ულტრანაციონალიზმსა და ულტრაკონსერვატიზმში გადაიზრდება.

ოფიციალურად პარტიის სტრუქტურებს გარეთ დგას ძლიერი ორგანიზაცია Ülkü Ocaklar ı („იდეალისტური კერები“), ცნობილი „რუხი მგლების“ მემკვიდრე. იგი ფაქტიურად MHP -ს ახალგაზრდული ფრთაა.(8,8).

DEMOKRAT İK SOL PART İSİ (DSP) (მემარცხენე-დემოკრატიული პარტია) — დაფუძნდა 1985 წლის 14 ნოემბერს. პირველი გენერალური თავმჯდომარე იყო რაჰშან ეჯევიტი, მოადგილეები — მურთაზა ჩელიქელი და ოზდაღგა, გენერალური მდივანი — ნური ქორქმაზი.

DSP მემარცხენე-ცენტრისტული მიმართულების ორგანიზაციაა. მხარს უჭერს სოციალიზმის შვედურ მოდელს.(65)

1987 წლიდან დღემდე პარტიის გენერალური თავმჯდომარეა CHP -ს ყოფილი ლიდერი ბულენტ ეჯევიტი.

DEMOKRAT • TÜRK İYE PART İSİ (DTP) (დემოკრატიული თურქეთის პარტია) — დაფუძნდა 1997 წელს. მემარჯვენე-ცენტრისტული ორიენტაციის ორგანიზაციაა. გამოეყო DYP -ს. გენერალური თავმჯდომარეა თურქეთის დიდი ეროვნული კრების ყოფილი თავმჯდომარე ჰუსამეთინ ჯინდორუქი.(8)

BÜYÜK BİRLİK PART İSİ (BBP) (დიდი ერთობის პარტია) — დაფუძნდა 1993 წლის 29 იანვარს. 1991 წელს პარლამენტში გასულ 20-ზე მეტ MHP -ელს შორის წარმოიშვა ლიდერობის საკითხი. ალფარსლან თურქეშის წინააღმდეგ გამოვიდა ჯგუფი „აღმოსავლეთის ლიდერის“ სახელით ცნობილი მუჰსინ იაზიჯიოღლუს ხელმძღვანელობით. დარწმუნდნენ რა, რომ ისინი

ვერ სძლევდნენ თურქულს, გამოეყვნენ მას და ჩამოაყალიბეს ახალი პარტია.

BBP მემარჯვენე-ნაციონალისტურ და ისლამურ ფასეულობებზე ორიენტირებული ორგანიზაციაა. მისი ახალგაზრდული ფრთაა Nizam-ı Alem Ocakları („მსოფლიო წესრიგის კერები“)

1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში BBP -ს 8 წევრი გახდა დეპუტატი ANAP -ის სიიდან.

პარტიის გენერალური თავმჯდომარეა მუჰსინ იაზიჯიოღლუ.(8,8)

FAZİLET PART İSİ (FP) (სათნოების პარტია) დაფუძნდა 1998 წლის გაზაფხულზე აკრძალული RP -ს ბაზაზე. დიდ ეროვნულ კრებაში გააჩნია ყველაზე დიდი ფრაქცია (14,5 დეპუტატი). ორიენტირებულია ისლამურ ფასეულობებზე. მისი ახალგაზრდული ფრთაა Milli Gençlik Vakfı („ეროვნული ახალგაზრდობის ფონდი“).

პარტიის გენერალური თავმჯდომარეა რეჯაი ქუთანი.

პოლიტიკური და სამხედრო ისტებლიშმენტი

პრეზიდენტის ულეიმან დემირელი

დაიბადა 1924 წლის 1 ნოემბერს ქ. ისპარტაში. 1949 წელს დაამთავრა სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი. 1954 წელს მუშაობდა აშშ-ში. 1955-60 წლებში იყო თურქეთის ჰიდრავლიკური სამსახურის გენერალური დირექტორი. 1962-64 წლებში ლექციებს კითხულობდა ახლო აღმოსავლეთის ტექნიკურ უნივერსიტეტში. 1962 წელს შევიდა AP -ში (სამართლიანობის პარტია). 1964 წლის 29 ნოემბერს აირჩიეს ამ პარტიის გენერალურ თავმჯდომარედ. 1965 წლის 13 თებერვალს გახდა ვიცე-პრემიერი, ხოლო იმავე წლის 27 ოქტომბერს — პრემიერ-მინისტრი. ამავე დროს იგი ისპარტის ვილაიეთის დეპუტატია. გადადგა 1971 წელს. 1977-78, 1979-80 წლებში კვლავ დეპუტატია.

1980 წელს ათი წლის ვადით აეკრძალა პოლიტიკური საქმიანობა. მიუხედავად ამისა, იგი მხარს უჭერდა და თანაუგრძნობდა BTP -ს (დიდი თურქეთის პარტია), რომელიც მალე აიკრძალა და დემირელი 1983 წელს ოთხი თვით გადაასახალეს ზინჯირბოზანზე. 1987 წელს აირჩიეს DYP -ს (ქვემარატივი გზის პარტია) გენერალურ თავმჯდომარედ. 1991-93 წლებში კვლავ მთავრობის მეთაურია. თურგუთ ოზალის გარდაცვალების (1993 წლის 17 აპრილი) შემდეგ თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ (პარლამენტი) 1993 წლის 16 მაისს სულეიმან დემირელი 7 წლის ვადით აირჩია ქვეყნის პრეზიდენტად.(97)

55-ე მთავრობა

პრემიერ-მინისტრი მესუთილმაზი

დაიბადა 1947 წლის 6 ნოემბერს ქ. სტამბოლში. დაამთავრა სტამბოლის ვაჟთა უმაღლესი სკოლა, ანკარის, კიოლნისა და ლონდონის უნივერსიტეტების პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. 1983 წლიდან რიზეს ვალაიეთის უცვლელი დეპუტატია. თავიდანვე აქტიურ როლს ასრულებდა ANAP -ში (დედასამშობლოს პარტია). 1986-87 წლებში იყო სახელმწიფო მინისტრი, კულტურისა და ტურიზმის მინისტრი. 1987-90 წლებში საგარეო საქმეთა მინისტრია. ოზალის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ხდება ANAP -ის გენერალური თავმჯდომარე. 1991 წელს სამი თვის განმავლობაში იყო პრემიერ-მინისტრი. იგი შეცვალა დემირელის მთავრობამ. 1995 წლის 24 დეკემბრის არჩევნების შემდეგ DYP -სთან ერთად აყალიბებს კოალიციურ მთავრობას, სადაც მთავრობის თავმჯდომარის პოსტი უკავია. პრემიერობამ კვლავ სამ თვეს გასტანა. გადადგა 1996 წლის 7 ივნისს. ზუსტად ერთი წლის შემდეგ კვლავ ჩამოაყალიბა ახალი მთავრობა.

ფლობს გერმანულ და ინგლისურ ენებს. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.(69)

ვიცე-პრემიერი მუსტაფა ბულენთ ეჯევიტი

დაიბადა 1925 წლის 28 მაისს ქ. სტამბოლში. დაამთავრა პრესტიჟული ინგლისურენოვანი რობერტ კოლეჯი (ახლანდელი ბოსფორის უნივერსიტეტი). ცოდნა გაიღრმავა სტამბოლის, ანკარის, ლონდონის და პარვარდის უნივერსიტეტებში. 1946-50 წლებში მსახურობდა ლონდონში. პოლიტიკაშია 60-იანი წლებიდან. 1961-65 წლებში შრომის მინისტრია. 1966-71 წლებში CHP -ს (სახალხო-რესპუბლიკური პარტია) გენერალური მდივანია, ხოლო 1972-80 წლებში ამავე პარტიის ლიდერია. 1974, 1977, 1978-79 წლებში იყო თურქეთის პრემიერ-მინისტრი.

80-იან წლებში სამხედრო გადატრიალების შემდეგ რამდენიმეჯერ იქნა დაპატიმრებული და აეკრძალა პოლიტიკური მოღვაწეობა. 1987 წელს აკრძალვა მოეხსნა და ორი წლის შემდეგ სათავეში ჩაუდგა DSP -ს (მემარცხენე-დემოკრატიული პარტია). სხვადასხვა დროს იყო ანკარისა და ზოგნულდაქის ვილაიეთების დეპუტატი. 1997 წლიდან ვიცე-პრემიერია.

არის მრავალი ნაშრომის ავტორი. ფლობს ინგლისურ ენას. ჰყავს მეუღლე.(97)

ვიცე-პრემიერი, ეროვნული თავდაცვის მინისტრი ისმეთაფთულასეზგინი

დაიბადა 1928 წელს ქ. აიდინში. დაამთავრა იზმირის ეკონომიკისა და ვაჭრობის უმაღლესი სკოლა. პოლიტიკაშია 60-იანი წლებიდან. იყო ქ. აიდინის მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარე (მერი). სხვადასხვა დროს დემირელის მთავრობაში ეკავა ახალგაზრდობის საქმეთა, სპორტის,

ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტები. იყო AP (სამართლიანობის პარტია)-ის და DYP -ს (ქრემარტი გზის პარტია) ერთ-ერთი აქტიური წევრი. 1993 წელს DYP -ს კონგრესზე თანსუ ჩილერის წინააღმდეგ წამოყენებულ იქნა მისი კანდიდატურა ამ პარტიის გენერალური თავმჯდომარის პოსტზე. მცირე ხნით ასრულებდა თურქეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარის მოვალეობასაც. წლების განმავლობაში აიღინის ვილაიეთის დეპუტატია. 1997 წელს ჰუსამეთინ ჯინდორუქთან ერთად დააფუძნა DTP (დემოკრატიული თურქეთის პარტია).

ფლობს ფრანგულ ენას.
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.(69)

სახელმწიფო მინისტრი იშინ ჩელები

დაიბადა 1950 წელს ქ. კარამანში. დაამთავრა აზლო აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის მეტალურგიის განყოფილება. დოქტორის ხარისხი დაიცვა სტამბოლის ტექნიკურ უნივერსიტეტში. 1980 წლამდე იყო ეჯევიეთის მრჩეველი. ოზალის მთავრობაშიც ასრულებდა ეკონომიკაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო მინისტრის მოვალეობას. 1987 წლიდან იზმირის ვილაიეთის დეპუტატია. არის ANAP -ის (დედასამშობლოს პარტია) წევრი.

ფლობს ინგლისურ ენას.
ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.(8,9)

სახელმწიფო მინისტრი იშილაი საიგინი

დაიბადა 1946 წელს ქ. ანკარაში. დაამთავრა იზმირის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტი. იყო MDP -ს (ნაციონალისტური დემოკრატიული პარტია) და DYP -ში (ქრემარტი გზის პარტია). სხვადასხვა მთავრობებში ასრულებდა გარემოს დაცვისა და ტურიზმის მინისტრი მოვალეობას. იყო ქალთა და ოჯახის საქმეებზე პასუხისმგებელი სახელმწიფო მინისტრი. არის იზმირის ვილაიეთის დეპუტატი. ANAP -ის წევრია.

ფლობს ინგლისურ ენას.
გაუთხოვარია.(69)

სახელმწიფო მინისტრი გუნეშ თანერი

დაიბადა 1949 წელს სტამბოლში. დაამთავრა ილდიზის უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის სამშენებლო განყოფილება და სტამბოლის უნივერსიტეტის ლიტერატურის ფაკულტეტი. სწავლა განაგრძო ნიუ-იორკის უნივერსიტეტში. აქვე დაიცვა სამეცნიერო ხარისხი. არის ANAP -ის ერთ-ერთი დამაარსებელი. 1983 წლიდან სტამბოლის ვილაიეთის დეპუტატია. ოზალის მთავრობაში იყო ეკონომიკაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო მინისტრი. ვერ

შეენყო მესუთ ილმაზს და მცირე ხნით ჩილერის მთავრობაშიც იმსახურა. შემდეგ კვლავ ANAP -ში დაბრუნდა.

ფლობს ინგლისურ და ფრანგულ ენებს.
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.(8,9)

სახელმწიფო მინისტრი ბურჰან კარა

დაიბადა 1949 წელს ქ. გორელეში (გირესუნის ვილაიეთი). დაამთავრა სტამბოლის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. 1987 წლიდან გირესუნის ვილაიეთის დეპუტატია. არის ANAP -ის წევრი.

ფლობს ინგლისურ ენას.
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.(69)

სახელმწიფო მინისტრი მეჰმეთ სალიჰ ილდირიმი

დაიბადა 1943 წელს ქ. შირნაკში. დაამთავრა ანკარის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. 1995 წლიდან შირნაკის ვილაიეთის დეპუტატია. არის ANAP -ის წევრი.

ფლობს ინგლისურ ენას.
ჰყავს მეუღლე და ხუთი შვილი.(8,9)

სახელმწიფო მინისტრი მეჰმეთ ბათალი

დაიბადა 1944 წელს ქ. გაზიანთეფში. დაამთავრა გალათასარაის ქიმიურ-საინჟინრო უმაღლესი სკოლა. 1991 წლიდან DYP -ს დეპუტატია გაზიანთეფის ვილაიეთიდან. სახელმწიფო მინისტრი იყო დემირელის მთავრობაში. ჩილერთან უთანხმოების გამო გამოვიდა DYP -დან და გახდა DTP -ს ერთ-ერთი დამაარსებელი.

ფლობს ინგლისურ და ფრანგულ ენებს.
ჰყავს მეუღლე და ხუთი შვილი.(69)

სახელმწიფო მინისტრი რიფათ სერდაროღლუ

დაიბადა 1948 წელს ქ. ბერგამაში (იზმირის ვილაიეთი). დაამთავრა იზმირის ეკონომიკისა და ვაჭრობის აკადემია. იყო ქ. ბერგამას მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარე (მერი). დემირელის მთავრობაში ასრულებდა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოვალეობას. 1991 წლიდან იზმირის ვილაიეთის დეპუტატია. DYP -დან წასვლის შემდეგ გახდა DTP -ს ერთ-ერთი დამფუძნებელი.

ფლობს ინგლისურ ენას.
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.(8)

სახელმწიფო მინისტრი მეთინ გუნდერე

დაიბადა 1944 წელს ქ. თოქათში. დაამთავრა სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი. 1987 წლიდან თოქათის ვილაიეთის დეპუტატია. ოზალის დროს იყო ANAP -

ის გენერალური თავმჯდომარის მოადგილე-ახლაც ამ პარტიის ერთ-ერთი აქტიური წევრია.

ფლობს ინგლისურ ენას.
ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.(69)

სახელმწიფო მინისტრი მეჰმედ ჯავით კავაკი
დაიბადა 1949 წელს ქ.სტამბოლში. დაამთავრა სტამბოლის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, ილინგის ტექნიკური კოლეჯი და მინესოტას უნივერსიტეტი. ANAP -ის ერთ-ერთი დამაარსებელია. 1983 წლიდან ANAP -ის დეპუტატია სტამბოლის ვილაიეთიდან.

ფლობს ინგლისურ და არაბულ ენებს.
ჰყავს მეუღლე.(8,10)

სახელმწიფო მინისტრი იუჯელ სეჩქინერი
დაიბადა 1936 წელს ქ. გაზიანთეფში. დაამთავრა კადედთა სკოლა და კიოლის სპორტის აკადემია. იყო თურქეთის მოჭიდავეთა ფედერაციის პრეზიდენტი. 1991 წლიდან ANAP -ის დეპუტატია ანკარის ვილაიეთიდან.

ფლობს ინგლისურ ენას.
ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.(69)

სახელმწიფო მინისტრი მუსტაფა ილმაზი
დაიბადა 1949 წელს ქ.ოლუხელში. დაამთავრა ტრაპიზონის შავი ზღვის ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი. 1987 წლიდან SHP -ს (სოციალ-დემოკრატიული სახალხო პარტია) დეპუტატია გაზიანთეფის ვილაიეთიდან. კარაილჩინის კაბინეტში იყო მშენებლობისა და განსახლების მინისტრი. შემდეგ გადავიდა DSP -ში (მემარცხენე-დემოკრატიული პარტია).

ფლობს ინგლისურ ენას.
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.(8,10)

სახელმწიფო მინისტრი ჰასან ჰუსამეთინ
ოზკანი

დაიბადა 1950 წელს ქ. დეველიში (კაისერის ვილაიეთი). დაამთავრა გალათასარაის ეკონომიკისა და სამეურნეო საქმის უმაღლესი სკოლა. იყო ეჯევითის მრჩეველი. არის DSP -ს დეპუტატი სტამბოლის ვილაიეთიდან.

ფლობს ინგლისურ ენას.
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.(69)

სახელმწიფო მინისტრი ჰიქმეთ სამი თურქი
დაიბადა 1935 წელს ქ. ოფში (ტრაპიზონის ვილაიეთი). დაამთავრა სტამბოლის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. დოქტორის ხარისხი დაიცვა კიოლის უნივერსიტეტში. არის ანკარის უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს წევრი. DSP -ს დეპუტატია ტრაპიზონის ვილაიეთიდან.

ფლობს გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ და იტალიურ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.(8)

სახელმწიფო მინისტრი ჰასან გემიჯი
დაიბადა 1953 წელს ქ. ჩაიჯუმაში (ზონგულდაქის ვილაიეთი). დაამთავრა სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი. DSP -ს დეპუტატია ზონგულდაქის ვილაიეთიდან.

ფლობს ფრანგულ ენას.
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.(69)

სახელმწიფო მინისტრი რუშეთ კაზიმ
იუჯელენი

დაიბადა 1948 წელს ქ. ანამურში (იჩელის ვილაიეთი). დაამთავრა სტამბოლის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი. იყო AP -ს (სამართლიანობის პარტია) წევრი. შემდეგ გადავიდა ANAP -ში. ოზალის პერიოდში იყო მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი. ANAP -ის დეპუტატია იჩელის ვილაიეთიდან.

ფლობს ინგლისურ და ფრანგულ ენებს.
ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.(8)

სახელმწიფო მინისტრი შუქრუ სინა გურელი
დაიბადა 1950 წელს ქ. იზმირში. დაამთავრა

ანკარის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება. იქვე დაიცვა დოქტორის ხარისხი. არის მრავალი უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს წევრი. წლების განმავლობაში ეჯევითის მრჩეველია საგარეო პოლიტიკის საკითხებში. DSP -ს დეპუტატია იზმირის ვილაიეთიდან.

ფლობს ინგლისურ და ფრანგულ ენებს.
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.(69)

სახელმწიფო მინისტრი აბდულ აჰათ
ანდიჯანი

დაიბადა 1950 წელს ავღანეთში. დაამთავრა სტამბოლის უნივერსიტეტის ჯერაჰფაშას სახელობის სამედიცინო ფაკულტეტი. 1995 წლიდან ANAP -ის დეპუტატია სტამბოლის ვილაიეთიდან. იგი ე. წ. „თურქ-მესხებზე“ პასუხისმგებელი სახელმწიფო მინისტრია.

ფლობს ინგლისურ, ფრანგულ და უზბეკურ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.(8,10)

საგარეო საქმეთა მინისტრი ისმაილ ჯემი
დაიბადა 1940 წელს ქ.სტამბოლში. დაამთავრა

ლოზანის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სამეცნიერო ხარისხი დაიცვა პარიზში. 70-იან წლებში იყო TRT -ს (თურქეთის ტელე-რადიო კორპორაცია) დირექტორი. სხვადასხვა დროს იყო HP -სა (სახალხო პარტია) და SHP -ში (სოციალ-დემოკრატიული სახალხო პარტია). მცირე ხნით ასრულებდა კულტურის

მინისტრის მოვალეობას. ორჯერ იყო სტამბოლის ვილაიეთის დეპუტატი. 1995 წლიდან DSP -ს დეპუტატია კაისერის ვილაიეთიდან.

ფლობს ინგლისურ და ფრანგულ ენებს.
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.(69)

ფინანსთა მინისტრი ზექერია თემიჯელი
დაიბადა 1948 წელს ქ. თოქათში. დაამთავრა ანკარის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. სამეცნიერო ხარისხი დაიცვა სტრასბურგის ლუი პასტერის სახელობის უნივერსიტეტში. DSP -ს დეპუტატია სტამბოლის ვილაიეთიდან.

ფლობს ფრანგულ და გერმანულ ენებს.
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.(8,10)

ეროვნული განათლების მინისტრი ჰიქმეთ ულუბაი

დაიბადა 1939 წელს ქ. ისპარტაში. დაამთავრა ანკარის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. სამეცნიერო ხარისხი დაიცვა სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტში. ფინანსთა სამინისტროს მიერ წარგზავნილ იქნა ტოკიოში. იყო მუდმივი წარმომადგენელი ნატოში. ვაშინგტონის საელჩოში მუშაობდა მთავარ მრჩეველად ეკონომიკისა და ვაჭრობის საკითხებში და იყო ხაზინის გენერალური დირექტორი. არის DSP -ს დეპუტატი ანკარის ვილაიეთიდან.

ფლობს ინგლისურ ენას.
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. (69)

მშენებლობისა და განსახლების მინისტრი იაშარ თოფჩუ

დაიბადა 1941 წელს ქ. ბოიაბათში (სინოპის ვილაიეთი). დაამთავრა ანკარის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1991 წელს იყო ტრანსპორტის მინისტრი DYP -დან. შემდეგ ეს პარტია მიატოვა და გადავიდა ANAP -ში. ახლა ამ პარტიის დეპუტატია სინოპის ვილაიეთიდან.

ფლობს ფრანგულ ენას.
ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.(8,11)

ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ჰალილ იბრაჰიმოზსოი

დაიბადა 1938 წელს ქ. ბოლვადინში (აფიონის ვილაიეთი).

დაამთავრა იზმირის ეგეოსის ზღვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. არის ANAP -ის დეპუტატი აფიონის ვილაიეთიდან.

ფლობს ინგლისურ და ფრანგულ ენებს.
ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.(69)

სოფლის მეურნეობისა და სასოფლო საქმეების მინისტრი მუსტაფა რუშთუთაშარი

დაიბადა 1951 წელს ქ. გაზიანთეფში.

დაამთავრა ანკარის ეკონომიკისა და ვაჭრობის აკადემია. 1983 წლიდან გაზიანთეფის ვილაიეთის დეპუტატია. ANAP -ის ერთ-ერთი დამფუძნებელია. ოზალის პერიოდში იყო ANAP -ის გენერალური მდივანი და სახელმწიფო მინისტრი. მუშაობდა მესუთ ილმაზის მიერ ჩამოყალიბებულ მთავრობებში გარემოს დაცვის მინისტრად. ANAP -ის დეპუტატია ანკარის ვილაიეთიდან.

ფლობს ინგლისურ ენას.
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.(8,11)

შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრი იბრაჰიმ ნამი ჩალანი

დაიბადა 1947 წელს ქ. ამასიაში. დაამთავრა ანკარის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. არის ამსტერდამისა და ანკარის უნივერსიტეტების დოქტორი, მრავალი სასწავლო დაწესებულების მმართველი საბჭოს წევრი. DSP -ს დეპუტატია სტამბოლის ვილაიეთიდან.

ფლობს ინგლისურ და გერმანულ ენებს.
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.(69)

მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი ენის იალიმერეზი

დაიბადა 1944 წელს ქ. ვანში. დიდ როლს ასრულებდა DYP -ში, მაგრამ შემდეგ პარტიიდანაც გამოვიდა და მინისტრობიდანაც გადადგა. ახალ მთავრობაში იგივე პოსტს დაუბრუნდა. დამოუკიდებელი დეპუტატია მუღლას ვილაიეთიდან.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.(8,11)

ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი მუსტაფა ჯუმშურ ერსუმერი

დაიბადა 1952 წელს ქ. ჩანაკალეში. დაამთავრა სტამბოლის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ოზალის პერიოდში იყო ANAP -ის გენერალური თავმჯდომარის მოადგილე. 1995 წლიდან პარლამენტში ამავე პარტიის ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეა. ANAP -ის დეპუტატია ჩანაკალეს ვილაიეთიდან.

ფლობს ინგლისურ ენას.
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.(69)

კულტურის მინისტრი მუსტაფა ისთემიჰან თალაი

დაიბადა 1945 წელს ქ. თარსუსში (იჩელის ვილაიეთი). დაამთავრა ანკარის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. აქვე დაიცვა სამეცნიერო ხარისხი. პასუხისმგებელ თანამდებობებზე მსახურობდა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პრემიერ-მინისტრის აპარატებში. პარლამენტის წევრია 1987 წლიდან. იყო SHP -სა (სოციალ-დემოკრატიული სახალხო პარტია) და CHP -ში (სახალხო-რესპუბლიკური პარტია). ახლა DSP -ს დეპუტატია იჩელის ვილაიეთიდან.

ფლობს ინგლისურ ენას.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.(8,11)

ტურიზმის მინისტრი იბრაჰიმ გურდალი

დაიბადა 1950 წელს ქ. ისპარტაში. დაამთავრა ანკარის ინჟინერიისა და არქიტექტურის სახელმწიფო აკადემია. პოლიტიკაში DYP -დან მოვიდა. შემდეგ ხმა არ მისცა უმცირესობის მთავრობას და ANAP -ში გადავიდა. სხვადასხვა დროს იყო ისპარტისა და ბურსას ვილაიეთის დეპუტატია. ახლა ANAP -ის დეპუტატია ანთალიის ვილაიეთიდან.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.(69)

სატყეო მეურნეობის მინისტრი ერსინ თარანოღლუ

დაიბადა 1953 წელს ქ. კონიაში. დაამთავრა საქარის ინჟინერიისა და არქიტექტურის სახელმწიფო აკადემიის სამშენებლო განყოფილება. ორჯერ იყო სახელმწიფო მინისტრი. 1987 წლიდან ANAP -ის დეპუტატია საქარის ვილაიეთიდან.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი(8,11)

გარემოს დაცვის მინისტრი იმრენაიქუთი

დაიბადა 1940 წელს ბ. თარსუსში (იჩელის ვილაიეთი). დაამთავრა სტამბოლის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი. სწავლა განაგრძო ოქსფორდში. აქვე დაიცვა დოქტორის ხარისხი. იგი იყო პირველი ქალი დეპუტატი, რომელიც მინისტრადაც აირჩიეს. მსახურობდა მრავალ მთავრობაში სახელმწიფო მინისტრად და შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრად. სამჯერ იყო სტამბოლის ვილაიეთის დეპუტატი. ახლა ANAP -ის დეპუტატია ადანის ვილაიეთიდან.

ფლობს ინგლისურ ენას.

გაუთხოვარია.(69)

მთავრობის ჩანაცვლებული წევრები:

ჰასან დენიზქურდუ-იუსტიციის მინისტრი (დამოუკიდებელი დეპუტატი იზმირის ვილაიეთიდან)

არიფაჰმეთდენიზოღლუნი — ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მინისტრი (დამოუკიდებელი დეპუტატი ანთალიის ვილაიეთიდან)

ქუთლუაქთაში — შინაგან საქმეთა მინისტრი

56-ე მთავრობა

პრემიერ-მინისტრი მუსტაფა ბულენტ ეჯევიდი

სახელმწიფო მინისტრი და ვიცე-პრემიერი ჰიქმეთ ულუბაი

სახელმწიფო მინისტრი და ვიცე-პრემიერი

ჰასან ჰუსამეთინ ოზქანი

სახელმწიფო მინისტრი შუქრუსინა გურელი
სახელმწიფო მინისტრი მუსტაფა ილმაზი
სახელმწიფო მინისტრი ჰასან გემიჯი

სახელმწიფო მინისტრი აიდინ თუმენი

დაიბადა 1963 წელს ქ. ანკარაში. დაამთავრა ანკარის ჰაჯითეფეს უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი. თურქეთის პარლამენტში მუშაობდა დაგეგმარებისა და საბიუჯეტო კომიტეტში. სხვა საკითხებთან ერთად კურირებს ე. წ. „თურქი-მესხების“ საკითხს. DSP -ს დეპუტატია ანკარის ვილაიეთიდან.

ფლობს ინგლისურ ენას.(59)

სახელმწიფო მინისტრი ფიქრეთ უნლუ

დაიბადა 1943 წელს ერმენეჯის რაიონში (ახლანდელი კარამანის ვილაიეთი), დაამთავრა პედაგოგიური უნივერსიტეტის ფიზკულტურის ფაკულტეტი. იყო SHP -ს (სოციალ-დემოკრატიული სახალხო პარტია) წევრი. მუშაობდა ერდალ ინონუსთან, პრემიერ-მინისტრის აპარატში უფროსი მრჩევლის თანამდებობაზე, DSP -ს დეპუტატია კარამანის ვილაიეთიდან.

ფლობს ინლისურ ენას.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.(59)

საგარეო საქმეთა მინისტრი ისმაილ ჯემი

ფინანსთა მინისტრი ზექერია თემიზელი
შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრი იბრაჰიმ ნამი ჩაღანი

კულტურის მინისტრი მუსტაფა ისთემიჰან თალაი

ეროვნული თავდაცვის მინისტრი ჰიქმეთ სამი თურქი

შინაგან საქმეთა მინისტრი ჯაჰით ბაიარი

დაიბადა 1935 წელს ქ. სივასში. დაამთავრა ანკარის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს იყო დიარბექირის, მალათიის, ერზრუმის, ანკარისა და სტამბოლის ვილაიეთების გუბერნატორი. 1991 წელს დაინიშნა ელჩად კვიპროსზე. უპარტიოა.(59)

ეროვნული განათლების მინისტრი მეთინ ბოსთანჯიოღლუ

დაიბადა 1942 წელს ბაფრას რაიონში (სამსუნის ვილაიეთი). დაამთავრა ანკარის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა ადვოკატად და იურისტ-კონსულტანტად. DSP -ს დეპუტატია სინოპის ვილაიეთიდან.

ფლობს ინგლისურ ენას.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.(59)

იუსტიციის მინისტრის გენერალ-ლეიტენანტი
დაიბადა 1951 წელს ქ. იზმითში. დაამთავრა
ლოზანის უნივერსიტეტის იურიდიული
ფაკულტეტი და აქვე მიიღო დოქტორის ხარისხი.
ლექციებს კითხულობს სტამბოლის მარმარას
უნივერსიტეტში. უპარტიოა.

ფლობს ინგლისურ, ფრანგულ და იტალიურ
ენებს.(59)

მშენებლობისა და განსახლების მინისტრი
ალილიკსლი

დაიბადა 1954 წელს ქ. ფაზარჯიქში
(კაპრამანმარაშის ვილაიეთი). დაამთავრა
სტამბოლის უნივერსიტეტის იურიდიული
ფაკულტეტი. DSP -ს დეპუტატია გაზიანთეფის
ვილაიეთიდან.

ფლობს გერმანულ ენას.
ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.(59)

ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი მუსტაფა
გუვენ კარაჰანი

დაიბადა 1943 წელს ქ. ჩათალზეითინში
(კასტამონუს ვილაიეთი). დაამთავრა სტამბოლის
უნივერსიტეტის ჯერაჰფაშას სახელობის
სამედიცინო ფაკულტეტი. მუშაობდა ბინდირმის
სახელმწიფო საავადმყოფოს მთავარი ექიმის
მოადგილედ, თურქეთის დიდი ეროვნული კრების
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომიტეტის თავმჯდომარედ. DSP -ს დეპუტატია
ბალიქესირის ვილაიეთიდან.

ფლობს ინგლისურ ენას.
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.(59)

გარემოს დაცვის მინისტრი ფევი აითექინი

დაიბადა 1946 წელს ქ. თექირდაღში.
დაამთავრა საინჟინრო-საარქიტექტურო
აკადემია. მუშაობდა ინჟინრად. DSP -ს დეპუტატია
თექირდაღის ვილაიეთიდან.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.(59)

სოფლის მეურნეობისა და სასოფლო
საქმეების მინისტრი მაჰმუთ ერდირი

დაიბადა 1934 წელს ქ. ესქიშეჰირში.
დაამთავრა ანკარის უნივერსიტეტის სოფლის
მეურნეობის ფაკულტეტი. მუშაობდა პრემიერ-
მინისტრის აპარატში. DSP -ს დეპუტატია
ესქიშეჰირის ვილაიეთიდან.

ფლობს ინგლისურ და გერმანულ ენებს.
ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.(59)

მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი მეთინ
შაჰინი

დაიბადა 1942 წელს ქ. კირიკალეში.
დაამთავრა ანკარის უნივერსიტეტის სოფლის
მეურნეობის ფაკულტეტი. იქვე დაიცვა დოქტორის
ხარისხი. DSP -ს დეპუტატია ანთალიის
ვილაიეთიდან.

ფლობს ინგლისურ ენას.
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.(59)

ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების
მინისტრი ზია აქთაში

დაიბადა 1940 წელს ქ. ქემალიეში (ერზინჯანის
ვილაიეთი). დაამთავრა ახლო აღმოსავლეთის
ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო-
საინჟინრო ფაკულტეტი. ლექციებს კითხულობდა
თურქეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებში. DSP -ს
დეპუტატია სტამბოლის ვილაიეთიდან.

ფლობს ინგლისურ ენას.
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.(59)

ტურიზმის მინისტრი აჰმეთ თანი

დაიბადა 1949 წელს ქ. სტამბოლში. დაამთავრა
ანკარის უნივერსიტეტის პოლიტიკურ
მეცნიერებათა ფაკულტეტი. ლექციებს
კითხულობდა ანკარის უნივერსიტეტში.
მუშაობდა გაზეთებში „ჰურიეთი“ და „საბაჰი“.
DSP -ს დეპუტატია სტამბოლის ვილაიეთიდან.

ფლობს ინგლისურ ენას.
ჰყავს მეუღლე.(59)

სატყეო მეურნეობის მინისტრი არიფ სეზერი

დაიბადა 1948 წელს ქ. ჯეიჰანში (ადანის
ვილაიეთი). დაამთავრა ეკონომიკისა და ვაჭრობის
აკადემია. DSP -ს დეპუტატია ადანის ვილაიეთიდან.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.(59)

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის
მინისტრი ჰასან ბასრი აქთანი

დაიბადა 1952 წელს ქ. ქემალიეში (ერზინჯანის
ვილაიეთი). დაამთავრა სტამბოლის
უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი. 1997
წლიდან მუშაობდა ტრანსპორტისა და
კავშირგაბმულობის მინისტრის მრჩეველად.
უპარტიოა.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.(59)

სხვა პოლიტიკოსები

თურქეთის დიდი ეროვნული კრების
თავმჯდომარე ჰიქმეთ ჩეთინი

დაიბადა 1937 წელს დიარბექირში. დაამთავრა
ანკარის უნივერსიტეტის პოლიტიკურ
მეცნიერებათა ფაკულტეტი, უილიამსის კოლეჯი
აშშ-ში. 1991-95 წლებში იყო სახელმწიფო
მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი. არის
გაზიანთეფის ვილაიეთის დეპუტატი. სათავეში
ედგა SHP -ს (სოციალ-დემოკრატიული სახალხო
პარტია). 1995-96 წლებში ვიცე-პრემიერი და
სახელმწიფო მინისტრია. 1997 წელს აირჩიეს
თურქეთის დიდი ეროვნული კრების

(პარლამენტი) თავმჯდომარედ. არის CHP -ს (სახალხო-რესპუბლიკური პარტია) წევრი. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

თანსუჩილერი

დაიბადა 1945 წელს ქ. სტამბოლში. დაამთავრა რობერტ კოლეჯი, სტამბოლის, კონექტიკუტის და იელის უნივერსიტეტები. 1983 წელს გახდა პროფესორი. მსახურობდა სხვადასხვა უნივერსიტეტებში, განსაკუთრებით გამოირჩევა მისი მოღვაწეობა ბოსფორის უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე. 1990 წ. შევიდა DYP -ში (ჭეშმარიტი გზის პარტია). 1991 წელს აირჩიეს დეპუტატად და დაიკავა ეკონომიკის სახელმწიფო მინისტრის პოსტი. 1993 წლიდან დღემდე DYP -ს ლიდერია. 1993-96 წლებში იყო თურქეთის პრემიერ-მინისტრი. 1996-97 წლებში შეთავსებით ეკავა ვიცე-პრემიერის და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი. ერბაქანთან კოალიციის დაშლისა და ხელისუფლებაში ილმაზის მოსვლის შემდეგ ოპოზიციაშია.

არის ცხრა ეკონომიკური ნაშრომის ავტორი. ფლობს ინგლისურ ენას. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი (97)

ნეჯმეთინ ერბაქანი

დაიბადა 1926 წელს სინოპში. დაამთავრა მექანიკის ინსტიტუტი, სტამბოლისა და ეიხენის ტექნიკური უნივერსიტეტები. 1948-66 წლებში მუშაობდა ასისტენტად, შემდეგ კი ლექტორად მექანიკის ინსტიტუტსა და სტამბოლის ტექნიკურ უნივერსიტეტში. 1951 წელს გახდა პროფესორი. 1966-68 წლებში იყო თურქეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ინდუსტრიული დეპარტამენტის დირექტორი.

1970 წელს დააფუძნა ისლამისტური MNP (ეროვნული წესრიგის პარტია), რომელიც მალე აიკრძალა. 1973 წელს ჩამოაყალიბა და სათავეში ჩაუდგა MSP -ს (ეროვნული ხსნის პარტია). რომელიც აიკრძალა 1981 წელს. 1974 წელს იყო ვიცე-პრემიერი და სახელმწიფო მინისტრი. 1975-77 წლებში კვლავ ვიცე-პრემიერია. დაპატიმრებულ იქნა 1980-81 წლებში. 1983 წელს ჩამოაყალიბა RP (კეთილდღეობის პარტია). 1995 წლის 24 დეკემბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ 1996 წლის ივლისში შეადგინა მთავრობა, რომელიც დაიშალა ერთი წლის შემდეგ. 1997 წლის ივლისიდან იმყოფებოდა ოპოზიციაში. 1998 წლის თებერვალში კეთილდღეობის პარტიის დახურვასთან ერთად ერბაქანს აიკრძალა პოლიტიკური მოღვაწეობა.(97)

დენიზ ბაიკალი

დაიბადა 1938 წელს ქ. ანთალიაში. 1960 წელს

დაამთავრა ანკარის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1968 წელს გახდა პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოცენტი. იმავე წელს შევიდა CHP -ში (სახალხო-რესპუბლიკური პარტია). 1973-80 წლებში იყო დეპუტატი, ფინანსთა მინისტრი (1974), ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი (1978-79). 1980 წლის შემდეგ დაპატიმრებულ იქნა.

1984 წელს შევიდა SODEP -ში (სოციალ-დემოკრატიული პარტია). ორგანიზაციის HP -სთან (სახალხო პარტია) გაერთიანების შემდეგ ადგილი დაიკავა SHP -ში (სოციალ-დემოკრატიული სახალხო პარტია). 1989 წელს არჩეულ იქნა დეპუტატად და SHP -ს გენერალურ მდივნად. CHP -ს ხელახალი დაფუძნებისას 1992 წელს არჩეულ იქნა ამ პარტიის გენერალურ თავმჯდომარედ.(97)

ჰუსამეთინ ჯინდორუქი

დაიბადა 1933 წელს ქ. იზმირში. 1955 წელს დაამთავრა ანკარის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1978-80 წლებში იყო AP -ს (სამართლიანობის პარტია) სტამბოლის ვილაიეთის ხელმძღვანელი. 1980 წელს პარტიის დახურვის შემდეგ 1983 წელს მონაწილეობა მიიღო BTP -ს (დიდი თურქეთის პარტია) დაფუძნებაში. შემდეგ ეს პარტიაც აიკრძალა და ჯინდორუქი მცირე ხნით დააპატიმრეს. 1985 წელს აირჩიეს DYP -ს (ჭეშმარიტი გზის პარტია) გენერალურ თავმჯდომარედ. 1986 წელს სამსუნის ვილაიეთის დეპუტატია. 1987 წელს პარტიის ხელმძღვანელობა გადასცა სულეიმან დემირელს. 1991 წლიდან ესქიშეჰირის ვილაიეთის დეპუტატია. ამავე დროს იყო თურქეთის დიდი ეროვნული კრების (პარლამენტი) თავმჯდომარე. 1997 წელს თანამოაზრეებთან ერთად გამოეყო DYP -ს და ჩამოაყალიბა DTP (დემოკრატიული თურქეთის პარტია).(55)

ერდალ ინონუ

დაიბადა 1926 წელს ქ. ანკარაში. არის ათათურქის მარჯვენა ხელის, შემდეგში თურქეთის პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის ისმეთ ინონუს შვილი. დაამთავრა ანკარის უნივერსიტეტი და კალიფორნიის ტექნიკური ინსტიტუტი. 1960-74 წლებში მუშაობდა ახლო აღმოსავლეთის ტექნიკურ უნივერსიტეტში ლექტორად, დეკანად და შემდეგ რექტორად. ხელმძღვანელობდა SODEP -ს (სოციალ-დემოკრატიული პარტია) და SHP -ს (სოციალ-დემოკრატიული სახალხო პარტია). 1986 წლიდან იზმირის ვილაიეთის დეპუტატია. 1991-94 წლებში იყო სახელმწიფო მინისტრი და ვიცე-პრემიერი. 1995 წელს ჩილერის მთავრობაში ეკავა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი.

ჰყავს მეუღლე.(97)

ვიუფაშიკი

დაიბადა 1953 წელს ქ. ჩაიკარაში (ტრაპიზონის ვილაიეთი). დაამთავრა ტრაპიზონის შავი ზღვის ტექნიკური უნივერსიტეტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი. აქტიურ როლს არსულებდა ANAP -ში. იყო ტრაპიზონის ვილაიეთის დეპუტატი და სახელმწიფო მინისტრი. ფლობს ინგლისურ და გერმანულ ენებს. ჰყავს მეუღლე და ხუთი შვილი.(69)

რეფაიდინ შაჰინი

დაიბადა 1939 წელს ქ. თერმეში (სამსუნის ვილაიეთი). დაამთავრა ანკარის ეკონომიკისა და ვაჭრობის აკადემია. არის BTP -ს (დიდი თურქეთის პარტია) და DYP -ს ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1991 წლიდან DYP -ს დეპუტატია ორდუს ვილაიეთიდან. სხვადასხვა დროს დემირელის, ჩილერის და ილმაზის მთავრობებში იყო სოფლის მეურნეობისა და სახელმწიფო მინისტრი. ჯინდორუქთან ერთად 1997 წელს დააფუძნა DTP (დემოკრატიული თურქეთის პარტია). ფლობს ფრანგულ და ინგლისურ ენებს. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.(8,9)

მურათბაშესგიოდღუ

დაიბადა 1950 წელს ქ. კასტამონუში. დაამთავრა სტამბოლის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1987 წლიდან ANAP -ის დეპუტატია კასტამონუს ვილაიეთიდან. ბოლო დრომდე იყო შინაგან საქმეთა მინისტრი. ფლობს ფრანგულ ენას. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.(69)

მაჰმუთოლთანსუნგურღუ

დაიბადა 1933 წელს ქ. გუმუშჰანეში. დაამთავრა სტამბოლის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1983 წლიდან ANAP -ის დეპუტატია გუმუშჰანეს ვილაიეთიდან. სხვადასხვა მთავრობებში ასრულებდა ეროვნული თავდაცვის და იუსტიციის მინისტრის მოვალეობას. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.(8,10)

ნეჯდეტ მენზირი

დაიბადა 1945 წელს ქ. ბურსაში. დაამთავრა ანკარის პოლიციის აკადემია. იყო მრავალი ვილაიეთის და რეგიონის უშიშროების სამმართველოს ხელმძღვანელი. მას მიაწერენ DYP — SHP -ს კოალიციის დაშლას. 1995 წელს DYP -დან შევიდა თურქეთის დიდ ეროვნულ კრებაში. მალე ვერ შეენჯო ჩილერს და გახდა DTP -ს ერთ-ერთი დამფუძნებელი. ფლობს ინგლისურ ენას. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.(69)

სამხედროები

გენშტაბის უფროსი არმიის გენერალი ჰუსეინ ქივრიქოღღუ

დაიბადა 1934 წელს ქ. ბოზუიოქში (ბილეჯიქის ვილაიეთი). 1955 წელს დაამთავრა სამხედრო-სახმელეთო ძალების სკოლა, 1957 წელს — საარტილერიო სკოლა. ხოლო 1967 წელს — სამხედრო აკადემია. მუშაობდა ნატოს სტრუქტურებსა და თურქეთის გენშტაბში. მეთაურობდა პირველ არმიასა და სახმელეთო ჯარებს.

ფლობს ინგლისურ ენას. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.(80)

სამხედრო-საჰაერო ძალების მეთაური არმიის გენერალი ილჰან ქილიჩი

დაიბადა 1936 წელს ქ. სტამბოლში. 1955 წელს დაამთავრა სამხედრო-სახმელეთო ძალების სკოლა, 1958 წელს კი — პილოტთა სკოლა. დაამთავრა თურქეთის შეიარაღებული ძალების აკადემია. მსახურობდა ნატოს სტრუქტურებსა და თურქეთის გენშტაბში. 1997 წლამდე იყო თურქეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს გენერალური მდივანი.

ფლობს ინგლისურ ენას. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.(80)

სამხედრო-საზღვაო ძალების მეთაური ადმირალი სალიმ დერვიშოღღუ

დაიბადა 1936 წელს ქ. იზმიტში. 1967 წელს დაამთავრა საზღვაო აკადემია. მუშაობდა ნატოს სტრუქტურებსა და თურქეთის გენშტაბში. მეთაურობდა სამხედრო ფლოტს. იყო თურქეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს გენერალური მდივნის მოადგილე.

ფლობს ინგლისურ და ფრანგულ ენებს. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.(80)

1998 წლის 30 აგვისტოდან გენშტაბის უფროსის მოადგილედ დაინიშნა ნატოს გაერთიანებული სახმელეთო ძალების ხელმძღვანელი სამხრეთ ევროპაში ჰილმი ოზქექი, სამხედრო-სახმელეთო ძალების მეთაურად — პირველი საველე არმიის მეთაური გენერალი ათილა ათეში, ჟანდარმერიის მეთაურად — მეორე საველე არმიის მეთაური გენერალი რასიმ ბეთირი, პირველი საველე არმიის მეთაურად — გენშტაბის უფროსის მოადგილე არმიის გენერალი ჩევიქ ბირი.(27)

90-იანი წლების შიდა პოლიტიკური სიტუაცია

1989 წლის 31 ოქტომბერს ქვეყნის

პრეზიდენტად აირჩიეს თურგუთ ოზალი, რომელმაც წარმატებით განაგრძო ადრე დაწყებული რეფორმები.

წელიწადნახევრის განმავლობაში პრემიერ-მინისტრის მოვალეობას ასრულებდა ილდირიმ აქბულუთი. 1991 წლის 15 ივნისს ANAP -ის ლიდერი გახდა მესუთ ილმაზი, რომელმაც ერთი კვირის შემდეგ ახალი მთავრობაც ჩამოაყალიბა. მაგრამ მალე მანვე 1991 წლის 20 ოქტომბრისთვის დანიშნა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, რომელიც DYP -ს გამარჯვებით დასრულდა.(45)

დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ჰუსამეთინ ჯინდორუქი (DYP). DYP — SHP -

წლებში სახელმწიფოს ხარჯზე ყოველწლიურად შენდება 1500 მეჩეთი. ჩამოყალიბდა რელიგიური ხელოვნების ცენტრები, ისლამური განვითარების ბანკის ფილიალები; რამდენიმეჯერ ჩატარდა ისლამური ქვეყნების ხელმძღვანელთა კონფერენცია და ა.შ.(21)

არჩევნებიდან არჩევნებამდე ძლიერდებოდა RP. მისი პროგარმაც მეტად საინტერესოა:

ეკონომიკა: „სამართლიანი ეკონომიკური წყობის“ სახელით ცნობილი სისტემის შემოღებაა საჭირო. „სამართლიანი წყობის“ დროს სახელმწიფო მოაწესრიგებს რეგიონებში ფაბრიკა-ქარხნების შექმნის საქმეს, გაუქმდება

1991 წლის 20 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები

პარტიის დასახელება	მიღებული ხმების საერთო რაოდენობა	პროცენტი	პარლამენტში გაყვანილი დეპუტატების რაოდენობა
ANAP (დედასამშობლოს პარტია)	5862623	24.01	115
RP (კეთილდღეობის პარტია)	4121355	16.88	62
SP (სოციალისტური პარტია)	108369	0.44	-
DYP (ჭეშმარიტი გზის პარტია)	6600726	27.03	178
DSP (მემარცხენე-დემოკრატიული პარტია)	2624301	10.75	7
SHP (სოციალ-დემოკრატიული სახალხო პარტია)	5066571	20.75	88

ს კოალიციური მთავრობა კი ჩამოაყალიბა ჭეშმარიტი გზის პარტიის მაშინდელმა ლიდერმა სულეიმან დემირელმა.

1993 წლის 17 აპრილს გარდაიცვალა თურგუთ ოზალი. პარლამენტში მესამე ტურის შედეგებით 16 მაისს ქვეყნის მეცხრე პრეზიდენტად არჩეულ იქნა დიდი გამოცდილების მქონე პოლიტიკოსი სულეიმან დემირელი. იმავე წლის ივნისში პრემიერ-მინისტრისა და DYP -ს გენერალური თავმჯდომარის პოსტი დაიკავა ახალგაზრდა და ენერგიულმა ეკონომისტმა, ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა თანსუ ჩილერმა.(8)

1994 წლის 28 მარტს ჩატარდა ადგილობრივი არჩევნები, სადაც ხმების 19 პროცენტი მოიპოვა RP -მ. ეს ამ პარტიის პირველი სერიოზული განაცხადი იყო დიდ პოლიტიკაში.(40)

დღეს ხშირად საუბრობენ თურქეთში ისლამის ფაქტორის გაძლიერებაზე. 90-იანი წლების თურქეთში პოლიტიკური ისლამის აღორძინების ნამდვილი ბუმი დაიწყო. მას ანგარიშს უწევდა თურგუთ ოზალიც, ათათურქის შემდეგ ქვეყნის ყველაზე დიდი პრეზიდენტი. იგი იყო თურქეთის პირველი პრეზიდენტი, რომელმაც შეასრულა ჰაჯი (მექაში სალოცავად წასვლა). დღეისათვის ქვეყანაში მოქმედებს 100 ათასამდე მეჩეთი, 70 ათასი მედრესე (რელიგიური სკოლა) და ამდენივე ყურანის შემსწავლელი კურსი. მოქმედებს 1992 წელს მიღებული კანონი „მკრეხელობის, ისლამისა და წმინდა წიგნის — ყურანის შეურაცხყოფის შესახებ“, რომლის მიხედვით, დამნაშავე ისჯება ორი წლით თავისუფლების აღკვეთით.(91) ბოლო

ყველა გადასახადი და ამდენად წარმოება, ტურიაში, სოფლის მეურნეობა და მომსახურების სფეროსწრაფად განვითარდება.

საგარეო პოლიტიკა: იგი სამ პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს: ინდივიდუალური საგარეო პოლიტიკა, უფლებების დაცვა და ლიდერი თურქეთია. მუსლიმურმა ქვეყნებმა უნდა შექმნან საკუთარი გაერო, „მუსლიმური ქვეყნების თავდაცვითი თანამშრომლობის ორგანიზაცია“, „მუსლიმური ქვეყნების საერთო ბაზარი და ორგანიზაცია“ და ა.შ.

ძირითადი უფლებები და თავისუფლებები: უნდა შეიქმნას სამართლიანი ზნეობრივი წყობა.

პროფკავშირები-ხელფასები: პროფკავშირებმა უნდა გადაწყვიტონ მუსლიმოსამსახურეების წინაშე მდგარი პრობლემები.

სოფლის მეურნეობა: სახელმწიფო მთელი ძალით უნდა დაეხმაროს თურქეთის ეკონომიკის საფუძველს — სოფლის მეურნეობასა და მეცხოველეობას.

უცხოური კაპიტალი: უპირატესობა მიენიჭება მუსლიმური ქვეყნების კაპიტალს.(76)

გადასახადები: „სამართლიანი ეკონომიკური წყობაში“ სახელმწიფო შეიმუშავებს მაკროგეგმებს, ხოლო პროცენტული განაკვეთები და გადასახადები გაუქმდება.(65)

განათლება: განათლების მიზანია ახალგაზრდობისათვის ეროვნული კულტურის გაცნობა, მსოფლიო ცივილიზაციის წინაშე თურქი ერის დამსახურების ჩვენება და საკუთარი თავის მუდმივად განახლების სურვილის

ჩანერგვა.(76)

რა არის თურქეთში ისლამის გამოღვიძების მიზეზები? უპირველეს ყოვლისა ეკონომიური პრობლემები: უმუშევრობა, მაღალი ინფლაცია, აღმოსავლეთის პროვინციების ჩამორჩენილობა და სხვ.

რიგით ამომრჩეველს მოსწყინდა მემარჯვენე და მემარცხენე მიმართულების პარტიების მუდმივი ურთიერთქიში და მტრობა, კორუფცია ხელისუფლების მაღალ ეშელონებში და მომავალში უკეთესი ცხოვრების დაპირებები. ამიტომ RP -ს მიზანი — „სამართლიანი წესრიგის“ დამყარება — ამომრჩეველთა დიდი ნაწილისათვის მისაღები შეიქმნა“. (8,14)

1995 წლის მარტში სტამბოლში ადგილი ჰქონდა არეულობებს, რაც გამოიწვია შიიტების ყავახანების დაცხრილვამ და ათობით ადამიანის დაღუპვამ. ამავე თვეს განხორციელდა თურქეთის სამხედრო ოპერაცია ჩრდილოეთ ერაყში ტერორისტული ორგანიზაცია PKK -ს (ქურთისტანის მუშათა პარტია) ბაზების ლიკვიდაციის მიზნით (ასეთი აქცია პერიოდულად მეორდება ხოლმე).

იმავე წლის ოქტომბერში თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ 24 დეკემბრისთვის დანიშნა არჩევნები, რომელშიც ხმების ყველაზე დიდი რაოდენობა მიიღო RP-მ.(99)

თურქეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მუსტაფა ქალემლი

პრემიერ-მინისტრის თანამდებობას მონაცვლეობით დაიკავებდნენ თანსუ ჩილერი და ნეჯმეთინ ერბაქანი (RP -ს მაშინდელი გენერალური თავმჯდომარე). პირველად სწორედ ეს უკანასკნელი ჩაუდგა მთავრობას სათავეში.

1996 წლის შემოდგომაზე დიდ სკანდალს ჰქონდა ადგილი თურქეთში. ქალაქ სუსურლუკის მახლობლად მომხდარ ავტოკატასტროფაში დაიღუპა უშიშროების სამსახურის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჰუსეინ კოჯადალი და ულტრანაციონალისტი აბდულაჰ ჩათლი, რომელსაც ინტერპოლი უკანასკნელი 18 წლის განმავლობაში უშედეგოდ ეძებდა. ისინი ერთ მანქანაში ისხდნენ.

სუსურლუკის ინციდენტის შემდეგ პოლიციამ 18 კრიმინალური ჯგუფი გამოააშკარავა. დაპატიმრებულ იქნა უამრავი ექვმიტანილი, მათ შორის სახელმწიფო ჩინოვნიკებიც.(8,14)

1997 წლის 28 თებერვალს ჩატარდა თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს ისტორიული სხდომა. შეკრების შედეგების მიხედვით დამუშავდა 20 ძირითადი ღონისძიება, რომელიც საჭირო იყო სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფისა და მისი სეკულარული ხასიათის პოლიტიკური სისტემის შენარჩუნების მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება გენერლებმა გაამახვილეს ამ სისტემის განმტკიცებაზე საგანმანათლებლო სფეროში რელიგიური და უფრო მეტად ისლამური

1995 წლის 24 დეკემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები

პარტიის დასახელება	მიღებული ხმების საერთო რაოდენობა	პროცენტი	პარლამენტში გაყვანილი დეპუტატების რაოდენობა
DYP (ქრემარტი გზის პარტია)	5396009	19.18	135
YDP (თავიდან დაბადების პარტია)	95484	0.34	-
ANAP (დედასამშობლოს პარტია)	5527288	19.65	132
MP (ეროვნული პარტია)	127630	0.45	-
IP (მუშათა პარტია)	61428	0.22	-
HADEP (სახალხო-დემოკრატიული პარტია)	1171623	4.17	-
DSP (მემარცხენე-დემოკრატიული პარტია)	4118025	14.64	76
YDH (ახალი დემოკრატიული მოძრაობა)	133889	0.48	-
RP (კეთილდღეობის პარტია)	6012450	21.38	158
CHP (სახალხო-რესპუბლიკური პარტია)	3011076	10.71	49
MHP (ნაციონალისტური მოძრაობის პარტია)	2301343	8.18	-
YP (ახალი პარტია)	133895	0.48	-

(ANAP).

ხმები იმდაგვარად განაწილდა, რომ მთავრობას ცალკე ვერც ერთი პარტია ვერ ჩამოაყალიბებდა. თავიდან ANAP -ისა და DYP -ს მონაწილეობით შედგა ე.წ. „ანაიოლის“ მთავრობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მესუთ ილმაზი. მაგრამ ხსენებული კოალიცია დაიშალა 1996 წლის 7 ივნისს პრემიერის გადადგომის შედეგად.

იმავე წლის 29 ივნისს DYP -სა და RP -ს მოლაპარაკებების შედეგად შედგა ე.წ. „რევაპიოლის“ კოალიციური მთავრობა, სადაც

იდეოლოგიის შეზღუდვის აუცილებლობაზე.

ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ წამოყენებულ ულტიმატუმს უმაღვე გამოხმაურა პრემიერ-მინისტრი ნეჯმეთინ ერბაქანი. მან ამგვარ განცხადებას არაკონსტიტუციური უწოდა და სამხედროების ზენოლის განეიტრალების მიზნით დაიწყო კონსულტაციების გამართვა ოპოზიციურ ძალებთან. ხანგრძლივი მცდელობის მიუხედავად, ის იძულებული გახდა კოალიციურ პარტნიორთან თანსუ ჩილერთან ერთად ხელი მოეწერა ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ

შემუშავებული დოკუმენტისათვის.(25)

გაზაფხულიდანვე დაიწყო დეპუტატების გამოსვლა DYP -დან, რითაც შესუსტდა ჩილერისა და მისი კოალიციის ძალები. ივნისში სიტუაცია იმდენად კრიტიკული შეიქმნა, რომ თანსუ ჩილერმა ველარ მოახერხა პრემიერის პოსტის დაკავება და კოალიცია დაიშალა.

პრეზიდენტმა დემირელმა კაბინეტის შედგენა დაავალა მესუთილმას, რომელმაც DSP -სა და DTP -ს დახმარებით 30 ივნისს ჩამოაყალიბა ახალი, რიგით 55-ე მთავრობა - ენ. „ანასოლ დე“.

ამ მთავრობის მიზნები იყო:

- საარჩევნო სისტემის დახვეწა;
- სასამართლო სისტემის მოწესრიგება;
- შეიარაღებული ძალების ხარჯების არშემცირება;

— საგარეო პოლიტიკური კურსის შემდგენიარად ჩამოყალიბება:

ა) მეგობრული ურთიერთობების განვითარება აშშ-სთან, ევროპის ქვეყნებთან, რუსეთთან და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებთან.

ბ) ყოველმხრივ განვითარება ურთიერთობები შუა აზიის თურქულენოვან რესპუბლიკებთან.

გ) ევროკავშირში განეკრიანება მხოლოდ დასახული მიზანი კი არაა, არამედ ხელ შეკრულებების დადებიდან წარმოშობილი ბუნებრივი უფლებაა.

დ) კვიპროსი ჩვენი ეროვნული პრობლემაა. ყოველმხრივ მხარს დავუჭერთ ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკას.

— რვანლიანი საყოველთაო სავალდებულო განათლების შემოღება;

- ინფლაციის შემცირება;
- სახელმწიფო ბანკების პრივატიზაცია;
- მეტი სოციალური დაცვა;
- საგადასახადო რეფორმის გატარება, გადასახადების შემცირება;

— ენ. „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ აღრიცხვა-რეგისტრაცია;

- ბრძოლა ტერორიზმთან;
- GAP -ის (სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის პროექტი) განხორციელების დაჩქარება.(81).

პირველი სერიოზული ნაბიჯი, რომელიც ამ მთავრობამ გადადგა, გახლდათ რვანლიანი სავალდებულო სწავლების შემოღება, რითაც შეიზღუდა რელიგიური განათლება.

1997 წლის 16 ოქტომბერს დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ჰიქმეთ ჩეთინი (CHP).

იმავე წლის დეკემბერში თურქეთში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია ქვეყნის ევროკავშირში არმილებამ.

1998 წლის იანვრისთვის დასრულდა პრეზიდენტის მიერ სახელმწიფო საკონტროლო

საბჭოსათვის დავალებულ რეფორმებზე მუშაობა. რეფორმების პაკეტი გულისხმობს შემდეგი ღონისძიებების გატარებას:

— პრეზიდენტს მიეცეს პარლამენტის დათხოვნის უფლება;

— პარლამენტის საკანონმდებლო მოღვაწეობა გარდაიქმნას საფრანგეთის კონსტიტუციის მოდელის მიხედვით;

— გაუქმდეს წინააღმდეგობანი, რომლებიც ხელს უშლიან საარჩევნო ბლოკების შექმნას;

— საერთო-საყოველთაო არჩევნები ჩატარდეს 4 წელიწადში ერთხელ;

— თუ არჩევამდე დეპუტატი ეწეოდა კერძო სავაჭრო საქმიანობას, მას უნდა მიეცეს აღნიშნული საქმის გადაბარების უფლება მის მიერ ნდობით აღჭურვილ პირზე;

— საკონსტიტუციო დ სხვა უმაღლესმა სასამართლოებმა დროულად მიიღონ გადაწყვეტილებები;

— ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შეიქმნას იტალიური მოდელის „საველე პოლიციის“ სამსახურები.

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ფართოვდება პრეზიდენტის უფლებები. თურქეთის დიდ ეროვნულ კრებაში წარმორქმნილი კრიზისული სიტუაციების დროს იგი ერთგვარ მოსამართლედ უნდა მოეწილოს აქ წარმოდგენილ პოლიტიკურ პარტიებს და უნდა ჰქონდეს შექმნილი პოლიტიკური კრიზისების დაძლევის საშუალება.

დოკუმენტი აგრეთვე ითვალისწინებს ქვეყანაში ისეთი საზოგადოებრივი სადამკვირვებლო სისტემის შემოღებას, როგორც თუნდაც ომბუდსმენის ინსტიტუტია.

მინისტრთა საბჭოს სტრუქტურა ისეთნაირად იცვლება, რომ მან თავისი საქმიანობის უკეთ კოორდინაცია შეძლოს. პროექტით მინიმუმამდე უნდა შემცირდეს სახელმწიფო მინისტრთა რიცხვი. გათვალისწინებულია სახელმწიფო მოხელის შესახებ კანონის შეცვლაც.

დოკუმენტში დიდი ადგილი დაეთმო ქვეყნის ახლებური ადმინისტრაციული მოწყობის აუცილებლობის საკითხებს, გამოთქმულია „ძლიერ საგუბერნატორო მმართველობის სისტემაზე“ გადასვლის მოთხოვნა და სხვ.

1998 წლის 16 იანვარს თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლომ აკრძალა RP (კეთილდღეობის პარტია). სასამართლო პროცესი რვა თვეს გრძელდებოდა. ბოლო სხდომაზე საკონსტიტუციო სასამართლოს 9 წევრთაგან 7-მა მხარი დაუჭირა ამ პარტიის აკრძალვის გადაწყვეტილებას.

RP -ს მთელი ქონება ხაზინას გადაეცა. პარტიის გენერალურ თავმჯდომარეს ნეჯმეთინ ერბაქანს და კიდევ ხუთ ხელმძღვანელს შევექეთ კაზანს, აჰმეთ თექადალის, შევექეთ ილმას, ჰასან ჰუსეინ ჯეილანს და ჰალილ იბრაჰიმ ჩელიქს ხუთი წლით

აეკრძალათ პოლიტიკური მოღვაწეობა. ისინი ვეღარ გახდებიან სხვა პარტიის დამაარსებლები, ხელმძღვანელები და წევრებიც კი.(33)

პრეზიდენტმა დემირელმა RP -ს აკრძალვას „საწყენი მოვლენა“ უწოდა, მაგრამ იქვე მიანიშნა, რომ გადაწყვეტილება სერიოზული სასამართლო განხილვის შედეგად მიღებული ლოგიკური განაჩენია. „კანონი ყველაფერზე მაღლა დგას, იგი უზენაესია“, — აღნიშნა მან. პრეზიდენტის განცხადებით, როცა რომელიმე პარტია არღვევს თურქეთის კონსტიტუციის მეორე პუნქტში ჩამოყალიბებულ ლაიციზმის პრინციპებს, მას ხურავენ, რადგან კონსტიტუციისი მოთხოვნა ყველასათვის სავალდებულოა.(32)

პრემიერმა ილმაზმა კი განაცხადა, რომ RP -ს აკრძალვის შემდეგ ქვეყანაში დგება ახალი პოლიტიკური პერიოდი და მისი მთავარი მოქმედი პირი ANAP იქნება.

აკრძალული RP -ს წევრები გადავიდნენ FP -ში (სათნობის პარტია). ამ ახალი პარტიის ლიდერად 1998 წლის 14 მაისს აირჩიეს რეჯაი ქუთანი.(100)

ამავე პერიოდში ძლიერდება ბრძოლა ისლამურ ფუნდამენტალიზმთან. ამაზე მეტყველებს თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებები — თუ ადრე ფუნდამენტალიზმი ისჯებოდა 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, ახლასასჯელი უფრო გამკაცრდა და იგივე ქმედება სამუდამო პატიმრობით შეიცვალა. აიკრძალა აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებებსა და უნივერსიტეტებში თურბანის (თავსაფარი ქალებისათვის) ტარება. ამასთანავე მთავრობამ შეიმუშავა კანონპროექტი, რომლის მიღების შემთხვევაში სახელმწიფო დაწესებულებებში საერო ტანსაცმლის ტარების კანონის დამრღვევთ მიესჯებათ პატიმრობა 6 თვიდან 1წლამდე.(88)

მთელი 1998 წლის გაზაფხულის განმავლობაში მიმდინარეობდა კამათი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის გარშემო. ეს საკითხი გადაწყდა 5 ივნისს, როდესაც პრემიერმა მესუთ ილმაზმა და CHP -ს ლიდერმა დენიზ ბაიკალმა ხელი მოაწერეს ე. წ. „თანხმობის პაქტს“, რომლის მიხედვითაც არჩევნები 1999 წლის 18 აპრილს გაიმართება.(1) ამავე პაქტის თანახმად CHP -მ მხარი დაუჭირა მთავრობის მიერ დაგეგმილ ეკონომიკურ რეფორმებს, კერძოდ, საგადასახადო სისტემის რეფორმას, რაც უნდა გახდეს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის სტიმული.(14)

აგვისტოში თანსუ ჩილერმა მესუთ ილმაზს შესთავაზა მემარჯვენე-ცენტრისტული პარტიების გაერთიანება. ჩილერის წინადადებით გაერთიანებული პარტიის გენერალური თავმჯდომარე იქნება ის ლიდერი, რომლის პარტია მომავალ არჩევნებში უფრო მეტ ხმას დააგროვებს. ANAP -მა უარყო ეს შემოთავაზება.

1998 წლის 20 აგვისტოს შეიცვალა თურქეთის გენერალური შტაბის ხელმძღვანელობა.

გენშტაბის უფროსი გახდა სახმელეთო ჯარების მეთაური ჰუსეინ ქივრიქოღლუ. იგი აქტიურად უჭერს მხარს სეკულარული ხასიათის პოლიტიკურ სისტემას და გამოდის შარიათის წინააღმდეგ.(34)

სექტემბერში წარმოშობილი საკაბინეტო კრიზისის გამო სახელმწიფო მინისტრი რეჯაიდინ შაჰინი შეცვალა DTP -ს გენერალური თავმჯდომარის მოადგილემ ილდირიმ აქთუნამ. სახელმწიფო მინისტრის ეიუფ აშიკის მოვალეობა შეითავსა ასევე სახელმწიფო მინისტრმა ჯავით კავაკმა.

სექტემბერსა და ოქტომბერში გამომჟღავნდა ცნობილი მაფიოზის ალაადინ ჩაკიჯის კავშირები ზოგიერთ სახელმწიფო მოხელესთან.

ამავე პერიოდში დაიძაბა ურთიერთობა სირიასთან. თურქეთმა მოითხოვა PKK -ს ლიდერის აბდულაჰოჯალანის მისთვის გადაცემა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში დამასკოს აფარებდა თავს. ოჯალანის სირიიდან გაქცევით დაძაბული სიტუაცია ნაწილობრივ განიმუხტა.

ოქტომბრის განმავლობაში მთელი ქვეყნის მაშტაბით ადგილი ჰქონდა ისლამისტების გამოსვლას. ისინი მოითხოვდნენ სახელმწიფო დაწესებულებებსა და სასწავლებლებში თურბანის ტარების აკრძალვის გაუქმებას.

ქვეყანაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან დროული გამოსვლის მიზნით ზოგიერთმა პოლიტიკურმა ლიდერმა წამოაყენა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დეკემბერში ჩატარების იდეა, თუმცა ამ წამოწყებამ მხრდაჭერა ვერ მოიპოვა.

25 ნოემბერს პარლამენტმა უნდობლობის ვოტუმი გამოუტანა 55-ე მთავრობას.(56) პრეზიდენტმა დემირელმა მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბება დაავალა DSP -ს ლიდერს ბულენტ ეჯევითს, რომლის მიერ შექმნილი უმცირესობის მთავრობა თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ დაამტკიცა 1999 წლის 17 იანვარს.(67)

მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით კი პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა განაცხადა:

„თურქეთში რესპუბლიკისადმი, ლაიციზმისადმი, არმიისადმი მტრობა დაუშვებელია. თუ მომავალ არჩევნებში ბოროტად გამოიყენებენ რელიგიურ განწყობილებებს და არმიის მიმართ მტრულ გამოსდომებს ექნება ადგილი, სახელმწიფო სათანადო ზომებს მიიღებს. ჩვენ არ შეველევიტ რესპუბლიკას, რომელმაც დღემდე მოგვიყვანა. ყველამ უნდა იმოქმედოს დემოკრატიული, ლაიციისტური რესპუბლიკის კანონების ფარგლებში. პარტიებიც თავიანთ არსებობას დემოკრატიულ ლაიციისტურ რესპუბლიკას უნდა უმაღლოდნენ. არ მოჭრან ტოტი, რომელზედაც თვითონ სხედან. ამას ჩემი გამოცდილება მალაპარაკებს.

მომავალ არჩევნებს მიმართულება სჭირდება. ამ მიმართულებას მას პოლიტიკური სისტემა მისცემს. ყველა უნდა დაირაზმოს დემოკრატიული

და ლაიცისტური რესპუბლიკის გარშემო, ხმა უნდა მისცენ სტაბილურობას“.(35)

საგარეო პოლიტიკა

თურქეთის საგარეო პოლიტიკის წარმართველი ძირითადი პრინციპია მუსტაფა ქემალ ათათურქის სიტყვები „მშვიდობა ქვეყანაში, მშვიდობა მსოფლიოში“. ანკარაში კარგად იციან თურგუთ ოზალის სიტყვების ფასიც: „შიშით საგარეო პოლიტიკა ვერ წარმართება“.(8,15) და მართლაც, თურქეთი საკმაოდ აქტიურ საგარეო პოლიტიკას აწარმოებს.

ურთიერთობა დასავლეთთან

დასავლური დემოკრატიის იდეებმა ჯერ კიდევ 1921 წლის კონსტიტუციაში ჰპოვა თავისი ასახვა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის შემდეგ თურქეთი ლაიცისტური ქვეყანა გახდა, გატარდა მრავალი რეფორმა. მიღებულ იქნა დასავლური სამართლებრივი სისტემა. თურქ ქალებს ბევრ დასავლეთ ევროპის ქვეყნის ქალებზე ადრე მიეცათ საარჩევნო ხმის უფლება.

თურქეთი თავისი იშვიათი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო ყოველთვის ინვეცდა დასავლეთის ინტერესს. ეს ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა „რკინის ფარდის“ აღმართვის შემდეგ. ანკარა ათწლეულების განმავლობაში რეალურ დახმარებას უწევდა დასავლეთს.

ანკარა 1952 წლიდან ნატოს, ხოლო 1975 წლიდან ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციის (ახლანდელი ეუთო) წევრია. ცდილობს გახდეს ევროკავშირის წევრი. (76)

ურთიერთობა შუა აზიასთან

„ცივი ომის“ დამთავრებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოქმნილი 15 რესპუბლიკიდან ნ თურქულენოვანი ქვეყანაა. მათ თურქეთთან აკავშირებთ საერთო წარმომავლობა, ისტორია, კულტურა, რელიგია და ენა. ამ სახელმწიფოებთან დაახლოების პროცესის დაწყებით ანკარას გაუჩნდა ახალი მისია რეგიონალურ და მსოფლიო პოლიტიკაში. ამდენად, თურქეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ყოველწლიურ კავშირის განვითარებას შუა აზიის ქვეყნებთან. (76)

ურთიერთობა კავკასიასთან

თურქეთი უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს მშვიდობას, სტაბილურობასა და თანამშრომლობას კავკასიაში. აქედან გამომდინარე, იგი მცდელობასა და ენერგიას არ ზოგავს აქ მიმდინარე კონფლიქტებისა და დაძაბულობის დარეგულირებისათვის.

ანკარა თვლის, რომ ეუთოს უმთავრესი პრინციპების სრული, სამართლიანი და მიუკერძოებელი განხორციელება აუცილებელია აზერბაიჯან-სომხეთის უთანხმოების მოსაგვარებლად და საქართველოში შიდათანხმობის აღსადგენად. თურქეთი კისრულობს მათ დახმარებას ამ საქმეში, რათა ორმხრივ და მრავალმხრივ დონეზე მიღწეულ იქნეს დასახული მიზნები. (17)

ურთიერთობა ისლამურ სამყაროსთან

თურქეთი, იზიარებს აზრს, რომ ერაყის პოზიცია სრულ შესაბამისობაში უნდა მოვიდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციებთან, რომელიც ითვალისწინებს სპარსეთის ყურის ომის შემდგომი ვითარების მოგვარებას და ერაყის განვითარებას დემოკრატიული გზით, რაც მეტად მნიშვნელოვანია ამ რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობისათვის. მეორე მხრივ, მადრიდის კონფერენციის მიერ წამოყენებულმა სამშვიდობო პროცესმა დაძაბულობის შენელებას უნდა მიაღწიოს იმით, რომ ისრაელმა ცნოს პრინციპი „მინა-მშვიდობისათვის“, როგორც ეს ასახულია გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ ნომერ 242 და 338 რეზოლუციებში. აღნიშნულ უნდა იქნეს პალესტინელების ყველა ლეგიტიმური უფლება, იმ უფლებასთან ერთად, რომელიც ითვალისწინებს საკუთარი სახელმწიფოს შექმნას, ხოლო ისრაელს საშუალება უნდა მიეცეს იარსებოს უსაფრთხოებისა და მსოფლიოში აღიარებული საზღვრების ფარგლებში.

თურქეთს, როგორც საუკუნებრივად მუსლიმურ ქვეყანას, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ისლამური კონფერენციის ორგანიზაციაში და აქტიურ როლს ასრულებს მის ორგანოებში, რომლებიც მონოდებულნი არიან გააფართოონ ეკონომიკური და სავაჭრო თანამშრომლობა ისლამურ ქვეყნებს შორის.(3)

1995 წლის ბოლოს ანკარაში დაარსდა ისლამის ევრაზიული საბჭო, რომლის მიზანია ყოველმხრივი ურთიერთობების გაღრმავება მუსლიმურ ქვეყნებს შორის.

1996 წლის 9 ნოემბერს, ანკარაში ისლამური ქვეყნების კონფერენციის „თანამშრომლობა და განვითარება“ სამეთვალყურეო კომიტეტის სხდომაზე პრემიერ ერბაქანის წინადადებით მიიღეს გადაწყვეტილება დასავლური „შვიდეულის“ მსგავსი ისლამური „რვათა კავშირის“ შექმნის შესახებ (ეგვიპტე, თურქეთი, ინდონეზია, ირანი, მალაიზია, ნიგერია, პაკისტანი და ბანგლადეში), რომლის შტაბბინა სტამბოლში იქნება. ახალი ორგანიზაციის წევრთა პირველი ოფიციალური შეხვედრა უკვე მოეწყო 1997 წლის 4 იანვარს. სამიტზე სიტყვით გამოსულმა თურქეთის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ნეჯმეთინ ერბაქანმა ხაზი გაუსვა, რომ „ამ

შეხვედრის მიზანია არამარტო ისლამური, არამედ ყველა განვითარებადი ქვეყნის გაერთიანება ერთ ჯგუფად. „რვათა კავშირის“ სტრატეგიული გეგმა გულისხმობს დასავლეთის ინდუსტრიული ქვეყნების განვითარებად სახელმწიფოებზე დომინირების დასრულებას. პერსპექტივაში გათვალისწინებულია მასში ცენტრალური აზიის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ჩართვაც და საბოლოო ჯამში „ჩამოყალიბდება მძლავრი პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირი“ ისლამისტთა ლიდერობით. (21,11)

ურთიერთობა რუსეთთან

თურქეთს რუსეთთან ურთიერთობის დიდი ხნის გამოცდილება გააჩნია. 1992 წელს ალინიშნა დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 500 წლისთავი. მართალია, ეს კავშირები ყოველთვის არ იყო მშვიდობიანი, მაგრამ დღეს თანამშრომლობა ყველა სფეროში და განსაკუთრებით კი ეკონომიკაში ორივე ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანია. (76)

ურთიერთობა საბერძნეთთან და კვიპროსის საკითხი

თურქეთს ბალკანეთის რეგიონში კარგი ურთიერთობა აქვს ყველა ქვეყანასთან, გარდა საბერძნეთისა. პრობლემები ეგეოსის ზღვასა და კუნძულ კვიპროსზე აფერხებს ორ ქვეყანას შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარების პროცესს. ანკარა ყოველთვის გამოდის პრობლემების მოლაპარაკებების გზით მშვიდობიანი მოგვარების ინიციატივით.

კვიპროსი თურქეთის ეროვნული პრობლემაა, — ნათქვამია ახლანდელი მთავრობის პროგრამაში. ანკარა ყოველმხრივ მხარს უჭერს ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკას, მაგრამ ამავე დროს იგი იმედოვნებს, რომ კვიპროსის პრობლემა იმ წესით გადაწყდეს, რომელიც ითვალისწინებს კვიპროსის ორი ხალხის პოლიტიკურ თანასწორობაზე დაფუძნებული ორზონიანი, ორთემიანი ფედერალური სახელმწიფოს არსებობას. თურქი და ბერძენი კვიპროსელები თვითონ უნდა შეთანხმდნენ აღნიშნული ფორმულის მიხედვით ვალდებულებათა თაობაზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს იმ რეზოლუციის შესაბამისად, რომელიც მისაღებია ორივე თემი მიერ. (17)

ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან

თურქეთის საგარეო პოლიტიკა აქტიურად განიხილავს ურთიერთობის განვითარებას არა მარტო ევროპულ, ტრანსატლანტიკურ და პერიფერიულ რეგიონებთან, არამედ ელტვის, აგრეთვე, კეთილი ურთიერთობის შენარჩუნებასა და განვითარებას შორეულ ქვეყნებთან მსოფლიოს ყველა კუთხეში.

უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაძლიერდა თურქეთ-იაპონიის თანამშრომლობა, განსაკუთრებით ეკონომიკურ სფეროში. ასევე სტაბილურად ვითარდება ურთიერთობა ჩინეთთან, ინდოეთთან და სხვა აზიურ, შორეული აღმოსავლეთისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებთან.

როგორც გაეროს სპეციალიზირებული ორგანიზაციების სისტემაში, ასევე ორმხრივ საფუძველზე, თურქეთი დაინტერესებულია აფრიკის წინაშე მდომი ეკონომიკური თუ სხვა ხასიათის პრობლემების გადაჭრით. ბოლო პერიოდში თურქეთმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა აგრეთვე ლათინური ამერიკის ქვეყნებთან ურთიერთობათა გააქტიურების თვალსაზრისით. (17)

თურქეთის გეოპოლიტიკური მდებარეობა

ქვეყნის გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობები ერთმანეთისაგან განსხვავებულია. თუ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის შესაფასებლად მსოფლიო ფიზიკურ-გეოგრაფიულ რუკას უნდა შევხედოთ, (59) გეოპოლიტიკური მდებარეობის ქვეშ, ჩვეულებრივ, ქვეყნის სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფების, ეკონომიკური ტრასებისა და განსხვავებული ეთნოკულტურული ტრადიციების მქონე სახელმწიფოების მიმართ მდებარეობა იგულისხმება. ვინაიდან მსოფლიო პოლიტიკა და ეკონომიკა უაღრესად დინამიური პროცესების ერთობლიობაა, გეოპოლიტიკური მდებარეობაც ძალზე ცვალებადია სივრცესა და დროში. (9)

ბშირად ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება პირდაპირ დამოკიდებულია მის გეოპოლიტიკურ მდებარეობასთან.

თურქეთსაც თავისი მდებარეობის გამო ბშირად მიუქცევია მსოფლიო გეოპოლიტიკურ ძალთა ყურადღება და ამიტომ მოხვედრილა დიდი პოლიტიკური თამაშების ცენტრში. თუმცაღა, უნდა აღინიშნოს, რომ ის ყოველთვის გამარჯვებული როდი გამოდიოდა ამ თამაშებიდან.

თურქეთის გეოპოლიტიკური მდებარეობა ბევჯერ გამხდარა ამ ქვეყნის როგორც გამარჯვების, წინსვლისა და აღორძინების, ისე დამარცხების, ჩამორჩენილობისა და დაცემის მიზეზი, იმისდა შესაბამისად, თუ როგორი ურთიერთდამოკიდებულება იყო მის გარშემო არსებულ გეოპოლიტიკურ ძალებს შორის. (7)

გეოპოლიტიკა პირდაპირ კავშირშია ქვეყნის საგარეო პოლიტიკასთან. პოლიტიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ამა თუ იმ ქვეყნის მდებარეობის შეფასება სამ სივრცით მას შტაბში

ხდება: მიკრო, მეზო და მაკრო დონეზე.(9)

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი შეფასება მეტად პირობითია, რადგან ისინი ისეა ერთმანეთზე გადაჯაჭვული, რომ ხშირად ვერ ხერხდება მათ შორის კონკრეტული საზღვრის გავლება.

მიკრომდებარეობა

მიკრომდებარეობა გულისხმობს ქვეყნის საზღვრების სხვადასხვა მონაკვეთის ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით შეფასებას.(9)

მართალია, თურქეთს ძირითადად მართკუთხედის ფორმა აქვს, მაგრამ გააჩნია სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონები. ამ მხრივ აღნიშვნის ღირსია: ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები, ქ. სტამბოლი, კუნძულები გოქჩეადა (იმროზი) და ბოზჯაადა, თრაკია, ილდირისა და ჰაკარის ვილაიეთები, ჰათაი და სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლია. მნიშვნელოვანი რეგიონებია აგრეთვე ეგეოსის, შავი (გამოიყოფა სინოპის მიდამოები) და ხმელთაშუა ზღვების (გამოიყოფა ანამურის მიდამოები) მიმდებარე ტერიტორიები, აგრეთვე საზღვრისპირა ტერიტორიები ყველა ქვეყანასთან: სირიასთან (განსაკუთრებით შანლიურფა-ჰარანის მონაკვეთი), ირანთან, სომხეთთან და საქართველოსთან (განსაკუთრებით ბორჩხა — ხოფა — ქემალფაშას მონაკვეთი. ფოსოფის (ფოცხოვი) ილჩე და კარნახის ტბის მიდამოები).

თურქეთის მიკრომდებარეობაში ყველაზე დიდი მნიშვნელობის მქონეა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები, რომლებიც ძირითადად ერთად უნდა განვიხილოთ. ამ სრუტეებს ხშირად განუსაზღვრავს თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი და უცხო ქვეყნების მასთან დამოკიდებულებაზეც მოუხდენია დიდი გავლენა.(7)

შავი ზღვის ხმელთაშუა ზღვასთან და სხვა თბილ ზღვებთან დამაკავშირებელი ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებისა და მარმარილოს ზღვის გზა დაახლოებით 160 საზღვაო მილია (ბოსფორის სრუტე - 16 საზღ. მილი, მარმარილოს ზღვა — 110 საზღ. მილი, დარდანელის სრუტე — 38 საზღ. მილი)(77)

ეს სრუტეები (უფრო მეტად კი ბოსფორის) აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი გზაა. ბოსფორის სრუტის შედარებითი სივინროვის გამო მოხერხდა მასზე ორი ხიდის აშენება, რის შედეგადაც გაიზარდა ტვირთბრუნვა და გაადვილდა კომუნიკაციები ევროპასა და აზიას შორის.

თურქეთში განიხილებოდა საკითხი, გაეყვანათ ბოსფორის ქვეშ რკინიგზა თუ აეშენებინათ კიდეც ერთი ხიდი. თურქეთის უმაღლესი საგეგმო კომიტეტის სხდომაზე გადაწყდა, რომ ბოსფორის სრუტის ქვეშ

სარკინიგზო გვირაბის ნაცვლად, სრუტეზე აშენდება მესამე ხიდი. არქიტექტორთა პალატის საბჭოს მდივნის აზრით, ეს არ იქნება პრობლემის საუკეთესო გადაწყვეტა, რადგან თურქეთში ბევრი მხარს უჭერს გვირაბის გაყვანის იდეას.(47)

სრუტეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ შავი ზღვის აუზის ქვეყნების დანარჩენ მსოფლიოსთან სოციალ-ეკონომიკური, სავაჭრო და ზოგიერთ ასპექტში სამხედრო ურთიერთობების საკითხებში.(77)

სრუტეების დახურვის შემთხვევაში ისეთი საზღვაო ქვეყნები, როგორებიცაა საქართველო, უკრაინა, რუმინეთი და ბულგარეთი იქცევიან კონტინენტურ ქვეყნებად, ხოლო რუსეთს, მოლდოვას, საბერძნეთს, აზერბაიჯანსა და მრავალ სხვა ქვეყანას მიადგება დიდი ზარალი. მაგრამ ზარალი მიადგება თვით თურქეთსაც და ამიტომ ასეთ ნაბიჯზე წასვლა უახლოეს ხანში მოსალოდნელი არაა. დღესდღეობით, მართალია, ამის მხოლოდ თეორიული შანსი არსებობს, მაგრამ მაინც გასათვალისწინებელი მომენტია შემოთქამოთვლილი ქვეყნების თურქეთთან ურთიერთობის განსაზღვრისას.(7)

ანკარა კარგად იყენებს ბოსფორის სრუტის სივინროვის საკითხს. როდესაც რუსეთმა წამოაყენა იდეა აზერბაიჯანული ნავთობის ბაქო-ნოვოროსიისკის ნავთობსადენით გადაქაჩვის, იქიდან კი მთელ მსოფლიოში ტანკერებით გადაზიდვის შესახებ, თურქეთმა მაშინვე განაცხადა, რომ სტამბოლის ეკოლოგიური უსაფრთხოების თვალსაზრისით დაუშვებელია ნავთობით სავსე ტანკერების ბოსფორის სრუტით გატარება. ეკოლოგიური საფრთხე მართლაც არსებობს,(70) მაგრამ ამ განცხადებაში ეკოლოგიურთან ერთად ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების დაცვისთვის ზრუნვაც ჩანს.

სრუტეების როლი განუსაზღვრელად დიდი იყო საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში. საბჭოთა საზღვაო ვაჭრობის დაახლოებით ნახევარი თურქულ სრუტეებზე იყო დამოკიდებული. თანაც მსოფლიო თურეგიონალურ ომში საბჭოეთის ხმელთაშუა ზღვისკენ მიმართული მოძრაობის მიმდინარეობა და წარმატება პირდაპირ კავშირში იქნებოდა სრუტეებთან.(77)

მართალია, სამხედრო ტექნიკის განვითარების გამო და „ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ სრუტეებს მოაკლდა ის ტრადიციული სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა, რომელიც მათ საუკუნეების განმავლობაში გააჩნდათ, მაგრამ ისინი რუსეთისა და მთელი ყოფილი საბჭოთა სივრცის არასტაბილურობის გამო დასავლეთისთვის მაინც საჭირო სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის მქონეა.

სრუტეებთან ერთად უნდა მოვიხსენიოთ ქალაქი სტამბოლი. ერთდროულად ევროპაშიც და

აზიამიც განლაგება საშუალებას აძლევს მას იყოს მსოფლიო ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი, უმნიშვნელოვანესი საზღვაოსნო, სახმელეთო და საჰაერო გზების გადაკვეთის წერტილი. ამის გამო ქალაქი სრუტეებთან ერთად ყოველთვის იყო სხვადასხვა ძალათა დაინტერესების ობიექტი. მიუხედავად ამისა, მხოლოდ ერთხელ მოხერხდა ქალაქის ოკუპაცია უცხო ძალების მიერ. სტამბოლის სიახლოვე საზღვართან, აგრეთვე ერთხელ უკვე ოკუპაციის პრეცედენტი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ დედაქალაქი ანკარაში გადაეტანათ. თუმცაღა სტამბოლი კვლავაც ასრულებს ქვეყნის კულტურული და ეკონომიკური ცენტრის ფუნქციებს.

სტამბოლის ეკოლოგიური უსაფრთხოების მიზნით თურქეთში წამოყენებული იქნა შავ ზღვასა და მარმარილოს ზღვას შორის ხელოვნური არხის გაყვანის იდეა. იდეის ავტორები არხის გაყვანის საუკეთესო ადგილად მიიჩნევენ კოჯაელის ვილაიეთს, სადაც მრლიონობით წლის წინ მართლაც არსებულა ბუნებრივი სრუტე.(7)

დარდანელის სრუტის დაცვაში დიდი მნიშვნელობა ეკისრება მისგან სამხრეთით 20 კილომეტრში მდებარე კუნძულ ბოზჯაადას. დარდანელის ომის დროსაც სწორედ ამიტომ იყენებდნენ კუნძულს საოკუპაციო ძალები, როგორც სამხედრო-საჰაერო ბაზას.(46)

ოდნავ განსხვავებული მდებარეობა აქვს კუნძულ გოქჩეს (იმროზი). ისიც შეიძლება მივიჩნიოთ დარდანელის კარიბჭედ (დაშორება სრუტიდან 20 კმ), მაგრამ გოქჩეადას სხვა მისიაც აქვს. იგი თურქეთის ყველაზე უკიდურესი დასავლეთი წერტილია და ამდენად დიდ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის თავდაცვის საკითხში.

დიდია თრაკიის სტრატეგიული მნიშვნელობა. გარდა იმისა, რომ ის ესაზღვრება საბერძნეთსა და ბულგარეთს, ამ რეგიონში კარგადაა განვითარებული აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი სატრანსპორტო კომუნიკაციები. ეს რეგიონი თურქეთის „ფანჯარაა“ ევროპაში. სწორედ ამ რეგიონის წყალობით იქნა იგი აღიარებული ევროპულ ქვეყნად და ჩაერთო საერთო ევროპულ ინტეგრაციულ პროცესში.

თურქეთისათვის თრაკია არის აგრეთვე გზა ბალკანეთისაკენ, სადაც მრავალ ქვეყანაში მასთან რელიგიურად და ეთნიკურად მონათესავე ხალხები ცხოვრობენ.

ეს რეგიონი მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტამბოლის, სრუტეებისა და საერთოდ ანატოლიის დასავლეთიდან დაცვის საკითხშიც.

თრაკიაში აღნიშვნის ღირსია კაფიკულენეზის „ნახევარმთვარე“ საბერძნეთის და კაფიკულენ-ლიმანქოის „ნახევარმთვარე“ ბულგარეთის საზღვარზე. დიდი სტრატეგიული და სატრანზიტო მნიშვნელობა გააჩნია ქალაქ

ედირნეს.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და მის ტერიტორიაზე ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოქმნის შემდეგ ყარსს გამოეყო ილდირის ვილაიეთი (ესაზღვრება სომხეთს, აზერბაიჯანსა და ირანს). განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია თურქეთ-აზერბაიჯანის 10 კილომეტრიან სასაზღვო მონაკვეთს, რომელიც მთელი სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის მიმდინარეობისას ნახჭევანისთვის იყო ფაქტიურად ერთადერთი კავშირი გარესამყაროსთან.

ამ პატარა მიწის მონაკვეთის მნიშვნელობა თურქებს კარგად ესმოდათ ჯერ კიდევ ამსაუკუნის დასაწყისში, როდესაც იგი ირანთან სამჯერ დიდ ტერიტორიაზე გადაცვალეს.

საზღვარი ნახჭევანთან დიდი ხნის გახსნილია, მაგრამ განუსაზღვრელად დიდი იქნებოდა მისი ფასი, რომ არა სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტი, რის შედეგადაც შეწყდა სახმელეთო კავშირი ნახჭევანსა და დანარჩენ აზერბაიჯანს შორის სომხეთის გავლით. რომ არა ეს კონფლიქტი, ზემოდსხენებული გზა შეიძლება ქცეულიყო თურქეთისთვის ყველაზე მოსახერხებელ გასასვლელად მთელ თურქულ სამყაროში.

საინტერესო მდებარეობა აქვს ჰაკარის ვილაიეთს. გარდა იმისა, რომ იგი ესაზღვრება ორ ქვეყანას — ირანსა და ერაყს, მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი შეჭრილია ჩრდილოეთ ერაყში, სადაც ყოველთვის არასტაბილური სიტუაციაა. ანკარა კარგად იყენებს ჰაკარის ვილაიეთის მდებარეობას. იგი არის ერთ-ერთი ძირითადი დასაყრდენი პუნქტი იმ რეიდებისათვის, რომელსაც თურქეთი პერიოდულად ახორციელებს ჩრდილოეთ ერაყში PKK -ს (ქურთისტანის მუშათა პარტია) სამხედრო ბაზების ლიკვიდაციის მიზნით. მაგრამ ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონში მაღალმთიანეთის გამო ნაკლებადაა განვითარებული სატრანსპორტო კომუნიკაციები.

თურქეთისათვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს მთელ ანთაკიის ვილაიეთს. ჰათაიმ თურქეთთან შეერთებამდე დიდი და ძნელი გზა განვლო და ანკარაც ტყუილად არ გარჯილა ამ ტერიტორიის შემოერთებისათვის. ვალაიეთი პირდაპირ შეჭრილია სირიაში, რაც მეტად საგულისხმო ფაქტორია თურქეთ-სირიის დაძაბული ურთიერთობების ფონზე. ანთაკიის ვილაიეთში საკმაოდ განვითარებულია როგორც სახმელეთო, ისე საზღვაოსნო (ძირითადად ისქენდერუნის პორტის წყალობით) გზები.(7)

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში დიდი მნიშვნელობა გააჩნდა ისქენდერუნის შემოგარენსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთს, რადგან საბჭოთა კავშირის თავდასხმის შემთხვევაში პენტაგონში შემუშავებული დროფშოთის გეგმის მიხედვით, აქეთ უნდა

მომხდარიყო თურქეთის შეიარაღებული ძალების უკანდახევა და გამაგრება, უნდა შექმნილიყო სილიფკე-ადანა-მალათია-ვანის ტბის შემაკავებელი ხაზი.(58)

თუმცაღა ამ რეგიონს, რომელსაც მეორენაირად ართვინი-ვანი-ისქენდერუნის სამკუთხედსაც უწოდებენ, დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ეს სამკუთხედი არის გასასვლელი ნავთობით მდიდარ ახლო აღმოსავლეთში, თანაც წარმოადგენს არაბული ქვეყნების წყლით მომარაგების მთავარ წყაროს.(50)

რეგიონში ნორმალურად არის განვითარებული საგზაო კომუნიკაციები. სირიასთან საზღვრის უმეტეს ნაწილს პარალელურად გასდევს რკინიგზის ხაზი. სპარსეთის ყურეში ომამდე ფუნქციონირებდა მოსული-იუმურთალიქის ნავთობსადენი, რომლითაც ხმელთაშუა ზღვაში და აქედან დასავლეთით გადაიზიდებოდა ერაყის ნავთობი.

ამ და სხვა მიზეზთა გამო რეგიონი არის სხვადასხვა ძალთა მუდმივი ყურადღების ცენტრში. განსაკუთრებით არასტაბილური სიტუაციაა ერაყის საზღვართან, ამიტომ თურქეთი გეგმავს, ერაყთან 400 კმ-იანი საზღვრის გასწვრივ „უსაფრთხოების ზონის შექმნის“ შექმნას. ზონა გავრცელდება ჩრდილოეთ ერაყის სიღრმეში 25 კმ-ზე დამოიცავს 8500 კმ². ფართობს. აქ განლაგდება საკონტროლო სადგურები, ოპტიკური და ინფრანითელი გამაფრთხილებელი სისტემები, საარტილერიო ბატარეები.(37)

არც თუ სახარბიელო სიტუაციაა თურქეთ-სირიის საზღვარზეც. სირიის მხრიდან ტერიტორიული პეტენზიები, წყლის საკითხი და ტერორისტების ნაქეზების ბრალდებები არის ქვეყანათშორის ურთიერთობაში დაძაბულობის მთავარი წყარო. ამის გამო თურქეთი ყოველთვის ფხიზლად იყურება სირიისაკენ, რომელთანაც ყველაზე გრძელი სახმელეთო საზღვარი აქვს. ჰათაის გარდა თურქეთისთვის მნიშვნელოვანი სასაზღვრო მონაკვეთებია ქილისი, აკჩეკალე-ჯელიანფინარი და ჯიზრე-სილოფი.

თურქეთის დასავლეთიდან დაცვის საქმეში დიდ როლს თამაშობს ამ ქვეყნის ეგეოსის ზღვის სანაპირო. ამ როლის გაზრდის მიზეზი კი თითქმის მუდმივად მიმდინარე ბერძნულ-თურქული დაპირისპირება და ეგეოსის ბერძნულ კუნძულებთან სიახლოვეა.

რეგიონი მთლიანად მნიშვნელოვანია, მაგრამ ცალკე გამოყოფის ღირსია ქალაქი იზმირი, სიდიდით მესამე ქალაქი. იგი სავაჭრო-ეკონომიკური და ტრანზიტული გადაზიდვების ცენტრია. გაშლილ ზღვებთან სიახლოვე იზმირს აქცევს უცხოეთთან, განსაკუთრებით კი ევროპულ ქვეყნებთან ურთიერთობის ერთ-ერთ ძირითად წერტილად.

თურქეთის აზიურ და აფრიკულ ქვეყნებთან

ურთიერთობისთვის მნიშვნელოვანია მისი ხმელთაშუაზღვისპირეთი, სადაც გამოიყოფა მერსინის ვილაიეთი. გარდა იმისა, რომ იჩელი არის დიდი პორტი, ვილაიეთში მდებარეობს ანამურის რეგიონი, რომელიც ყველაზე ახლოსაა განლაგებული თურქეთისათვის ისეთი დიდი გეოსტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პუნქტთან, როგორც კუნძული კვიპროსია. ამავე რეგიონში (ადანის ვილაიეთში) ივარაუდება აზერბაიჯანული ნავთობის გადმოქაჩვა ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენით.(7)

რეგიონის მნიშვნელობა კარგად ესმით ამერიკელებსაც. ინჯირლიქში (ადანა) განთავსებულია აშშ-ს სამხედრო-საჰაერო ძალები (USAF), (94) საიდანაც ხდება ჩრდილოეთ ერაყის სივრცის კონტროლი. მაგრამ ანკარას სურს, რომ ამ მოვალეობას დაემატოს ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის უსაფრთხოებაზე ზრუნვაც. გეგმის მიხედვით ინჯირლიქი უნდა იქცეს ნავთობსადენის დაცვის ძირითად ელემენტად.(57)

საინტერესოა თურქეთ-ირანის საზღვრის მოხაზულობა. ნახჭევანთან დამაკავშირებელი და ირანის ჩრდილო-დასავლეთში შეჭრილი ტერიტორიის გარდა, თურქეთისთვის მნიშვნელოვანია შემდინლი-ესენდერისა და დოლუბაიაზით-გურბულაკის მონაკვეთები. საგზაო კომუნიკაციები აქ საშუალოდაა განვითარებული.

მართალია, ბოლო ხანებში თითქოსდა შეიმჩნევა თურქეთ-სომხეთის დამოკიდებულების ერთგვარი „შერბილება“, ერევანს აღარ გადააქვს აქცენტი პრეტენზიებზე,(21) მაგრამ ანკარისათვის მეტად ფასობს სომხეთთან არსებული 230 კმ-იანი დოღრუიოლ-არალიკის სასაზღვრო „ნახევარმთვარე“.

საზღვართან თურქეთის მუდმივი სიფხიზლის წყარო სომხეთში განლაგებული რუსული სამხედრო ბაზები და გაყინული სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტია.

მართალია, საზღვარზე განლაგებული რუსული შენაერთები შეკავების მნიშვნელოვანი ელემენტია, მაგრამ ყარაბაღის ომის მსვლელობის კრიტიკულ მომენტებში ადგილი ჰქონდა მცირე მასშტაბის, მაგრამ მაინც ფართო რეზონანსის მქონე ინციდენტებს.

თურქეთს უშუალო მეზობლებში ყველაზე ნორმალური ურთიერთობების მქონე საქართველოსთან 210 კმ-იანი სასაზღვრო ზოლი აკავშირებს.

სარფისა და ვალე-თურქგოზუს სასაზღვრო-გამშვები პუნქტები თურქეთს არა მარტო კავკასიასთან, არამედ რუსეთთან და შუა აზიასთანაც უადვილებს ურთიერთობას.(7) უახლოეს ხანში გაიხსნება მესამე ჭიშკარი ტბა არნახთან. აქვე გაივლის ყარსი-ახალქალაქის დამაკავშირებელი 120 კმ-იანი რკინიგზის ხაზი, რომლის მშენებლობაც საკმაოდ სწრაფი ტემპით

უნდა წარიმართოს და დამთავრდეს 3 წელიწადში. განიხილება სოფა-ბათუმის დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზის მშენებლობის შესაძლებლობა. თუ გაიმარჯვა ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის ვარიანტმა, ისიც საქართველო-თურქეთის საზღვარზე გაივლის.

მართალია, საზღვარზე განლაგებული რუსი მესაზღვრეები (მათმალე მთლიანად ქართველები შეცვლიან) საკუთარ ფუნქციებს პირნათლად ვერ ასრულებენ (ბევრგან მორღვეულია მავთულხლართები, მოუვლელია სასაზღვრო მიწის საფენი, მოშლილია კომუნიკაციები და ა.შ.), (26) მაგრამ თურქეთის მხარე მაინც ტრადიციულად ფრთხილობს. სიფრთხილის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი კი საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზების გაურკვეველი სტატუსი და ყოფნის პერიოდია.

საქართველო-თურქეთის საზღვარზე სტრატეგიული მნიშვნელობისაა ბორჩხა-ზოფა-ქემალფაშას სამკუთხედი, ემინბეი-ფოსოფის მონაკვეთი და ქურთკალეს შემოგარენი.

ანკარისა და მისი დასავლელი პარტნიორებისათვის საქართველოსა და სომხეთთან საზღვარი განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იყო საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში. ასეთივე დიდი მნიშვნელობისა იყო მთელი შავი ზღვის სანაპიროც. სწორედ შავი ზღვის რეგიონში მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის დიდი სადაზვერვო საქმიანობა წლების განმავლობაში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სინოპის ვილაიეთის მდებარეობა, რომელიც თითქმის შავი ზღვისპირეთის შუაშია და საკმაოდ შეჭრილიცაა ზღვაში. ეს იყო იმის მიზეზი, რომ აქ წლების განმავლობაში ნატოს ეგიდით განთავსებული იყო აშშ-ს დაზვერვითი სარადარო ბაზა, რომელიც აკონტროლებდა საბჭოთა საზღვაო და საჰაერო ძალების გადაადგილებებს მთელ შავ ზღვაზე. (82)

საბჭოთა კავშირის დაშლისა და მის ყოფილ რესპუბლიკებთან თურქეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებასთან ერთად გაიზარდა პორტების მნიშვნელობაც. ამ მხრივ გამოყოფის ღირსია ტრაპიზონის პორტი, რომელიც თავისუფალ ეკონომიკურ ზონადაა გამოცხადებული.

თურქეთში არსებობდა დასავლეთისათვის სხვა საინტერესო წერტილებიც. ნატოს ეგიდით შეერთებული შტატების მიერ სამხედრო ბაზებად 1992 წლამდე გამოიყენებოდა შემდეგ ტერიტორიები: ჩილლი (იზმირი), ინჯირლიქი (ადანა), ანკარა, ფირინჩლიქი (დიარბექირი), სინოპი, ჩაკმაკლი (სტამბოლი), კარგაბურუნი (თექირდალი), ბელბაში (ანკარა), იუმურთალიქი (ადანა) და კონია.

არსებობდა ნატოს 16 სარადარო სადგური: ლილბურგაზი (კირკლარელი), ჩანაკალი-

ბორნოვა (იზმირი), იზმითი, ქუთაჰია, ესქიშეჰირი, ბართინი, აჰლათლიბელი (ანკარა), მერზიფონი (ამასია), შარიშლა (სივასი), ისქენდერუნი, ფერშემბე (ორდუ), ფაზარი (რიზე), ერზრუმი, დიარბექირი და მარდინი.

ამასთან ერთად აშშ-ს არმია იყენებდა შემდეგ სარადარო სადგურებს: ჩორლუ (თექირდალი), იამანლარი (იზმირი), კარამურსელი (იზმითი), იალოვა, შაჰინ თეფესი (ბურსა), ესქიშეჰირი, მურთედი (ანკარა), ელმადალი (ანკარა), მაჰმურდალი (სამსუნი), კარათაში (ადანა), ქურეჯიქი (მალათია) და დიარბექირი.

ნატოსა და აშშ-ს ძალებს ეკუთვნოდათ შემდეგი სამხედრო-საჰაერო ბაზები: ესქიშეჰირი, ბალიქესირი, მურთედი (ანკარა), ერჰაჩი (მალათია), ერზრუმი, კარაფინარი (კონია). ამასთანავე არაპირდაპირ გამოიყენებოდა თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ყველა ბაზა.

ატომური იარაღი ინახებოდა ერზრუმიში, მალათიაში, ბალიქესირში, ესქიშეჰირში, ანკარასა და ინჯირლიქში. (82)

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამერიკელებმა ბაზების უმეტესობა თურქებს გადასცეს. ახლა პენტაგონში ყველაზე მნიშვნელოვან წერტილად მიჩნეულია ინჯირლიქის ბაზა. თუმცაღა პერსონალის რაოდენობა აქ 925 კაცამდე იქნა შემცირებული. (57)

როგორც დავინახეთ, თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს ბევრი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე მონაკვეთი, რომლებიც დიდ როლს თამაშობს ქვეყნის თავდაცვისა თუ ანკარის საერთაშორისო კავშირებში.

მეზომდებარეობა

მეზომდებარეობა რეგიონში მდებარეობას ნიშნავს. მეზომდებარეობის ელემენტია აგერთვე, მსოფლიო „ცხელი წერტილების“ მიმართ მდებარეობა. (9) ამ მხრივ თურქეთს მეტად საინტერესო ადგილი უკავია.

გარდა იმისა, რომ თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში დროგამოშვებით ადგილი აქვს საბრძოლო მოქმედებებს, ქვეყნის გარშემო არსებული სარტყელი კონფლიქტებით „მდიდარი“ რეგიონებია: კვიპროსი, ახლო აღმოსავლეთი, ბალკანეთი, კავკასია. დაძაბულობის ყველა ეს წერტილი ასე თუ ისე ეხება თურქეთს და ისიც ზოგჯერ პირდაპირ, ზოგჯერ კი არაპირდაპირ ჩართული ხდება კონფლიქტებში.

ამა თუ იმ ქვეყნის განვითარების საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია მეზობელ ქვეყანაში (ან ქვეყნებში) სოციალური სისტემა (მსგავსი ან განსხვავებული), ეკონომიკის განვითარების დონე, არის თუ არა ეს ქვეყანა მდიდარი ბუნებრივი რესურსებით, აქვს თუ არა ამ

ქვეყანას მსგავსი (ან განსხვავებული) სამხედრო-პოლიტიკური ორიენტაცია და ა.შ. ამ მხრივ თურქეთის სარტყელი მეტად მრავალფეროვანია.

რესურსებით თურქეთის მეზობელი რეგიონები უალრესად მდიდარია: უკრაინა: რკინა, ქვანახშირი, ხორბალი. შუა აზია: გაზი, ნავთობი, ბამბა; სპარსეთის ყურე: ნავთობი, გაზი; რუსეთი: თითქმის ყველა სახის რესურსი. ეკონომიკის განვითარების მხრივ რეგიონი განვითარებადი ქვეყნების დონეზე იმყოფება. თურქეთის მეზობლებში ყველაზე განვითარებული ეკონომიკა აქვს საბერძნეთს. მას მოსდევს ბულგარეთი, რომელმაც სწრაფად მოახერხა მბრძანებლური ეკონომიკიდან თავისუფალ ბაზარზე გადასვლა. დაახლოებით თანაბარ დონეზე იმყოფებიან სირია და ირანი, მაგრამ ირანს ნათობისა და გაზის საბადოების წყალობით დიდი ეკონომიკური პოტენციალი გააჩნია. გაეროს მხრიდან დანესებული ეკონომიკური ემბარგოს გამო მათ შესამჩნევად ჩამორჩებათ ერაყი.(7)

სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკები, მართალია ნელი, მაგრამ მაინც მტკიცე ნაბიჯებით გადადიან თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე. აქაც ისევ ნავთობის წყალობით შედარებით უკეთესი მდგომარეობა აქვს აზერბაიჯანს. იგივე პროცესები უფრო ნელი ტემპებით მიმდინარეობს შუა აზიაში.

ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან ყველაზე უფრო დიდი ეკონომიკური პოტენციალი რუსეთსა და უკრაინას აქვთ.

სამხედრო-პოლიტიკური ორიენტაციის მხრივ რეგიონის ქვეყნებს შორის დიდი განსხვავებაა. ნატოს წევრი ქვეყანაა საბერძნეთი (თუმცაღა ეს ხელს არ უშლს სერიოზული პრობლემების არსებობას საბერძნეთსა და თურქეთს შორის). აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები შეუერთდნენ ნატოს პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისათვის“. თურქეთს სამხრეთით და აღმოსავლეთით ესაზღვრება სამი ანტიდასავლურად განწყობილი ქვეყანა: სირია, ერაყი და ირანი.

სახელმწიფო წყობის ტიპებიც ძალზე განსხვავებულია: მეზობლებს შორის უმეტესობა დემოკრატიული რესპუბლიკებია, მაგრამ ერაყი ტიპიური დიქტატურაა, ირანი — ისლამური რესპუბლიკა, სპარსეთის ყურის ქვეყნების უმრავლესობა — აბსოლიტური მონარქიებია და ა.შ.(9)

რელიგიის თვალსაზრისით აღნიშნული რეგიონი ძირითადად ქრისტიანულ-მულისმურია. გამონაკლისია იუდაიზმის მიმდევარი ისრაელი. სარწმუნოებრივი კუთხით მეტად ჭრელია ბალკანეთი და კავკასია, სადაც კონფლიქტებში ხშირად გამოიყენება რელიგიური ფაქტორი.

ყოველივე ზემოდსხსენებულის გამო თურქეთის სარტყელი მეტად არასტაბილურია.

თურქეთს გააჩნია გავლენა რეგიონში. ეს გავლენა დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ განვითარებაზე, აგრეთვე რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე.

გეოპოლიტიკური მეზომდებარეობა პირდაპირ კავშირშია ქვეყნის საგარეო პოლიტიკასთან. თურქეთს მის გარშემო მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, საკუთარი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, უხდება გარკვეული საგარეო პოლიტიკური კურსის შემუშავება მეზობლების მიმართ.(7)

თურქული საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მტკივნეული წერტილია კვიპროსის საკითხი.

ამ პრობლემას დიდი ხნის ისტორია აქვს. მაგრამ ყველაზე ნათლად ანკარამ საკუთარი პოზიცია ამ საუკუნის 50-იან წლებში დააფიქსირა. ადგილობრივი ბერძნები გამოდიოდნენ ენოზისის ლოზუნგით, რომელიც ყველა ბერძნებით დასახლებული ტერიტორიების საბერძნეთთან შეერთებას გულისხმობდა. ამის საპირისპიროდ ანკარამ 1955 წელს განაცხადა, რომ კვიპროსის ენოზისი დაუშვებელია მისი სახელმწიფო უშიშროებისათვის, ვინაიდან ეს კუნძული მხოლოდ 60 კილომეტრითაა დაშორებული ანატოლიის სანაპიროს.(90)

1974 წლის 20 ივლისს ანკარამ ჯარები გადასხა კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში. 1983 წლის 15 ნოემბერს კი ამ ტერიტორიაზე (კუნძულის 35,4 პროცენტი — 3355 კვ.კმ) გამოცხადდა ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა. ჩკთრ-ში დგას თურქეთის 35 ათასიანი სამხედრო კორპუსი.(25)

კუნძულზე საკუთარი შეიარაღებული ძალების ყოფნას თურქეთისთვის რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. კვიპროსი შეიძლება მართლა იქცეს ძლიერ დასაყრდენად თურქეთის ხელში ჩაგდებისათვის ბრძოლაში. კუნძულის „ბერძნულობის“ შემთხვევაში ანატოლია ექცევა „დიდ ბერძნულ ნახევარმთვარეში“, რომელიც იწყება თრაკიიდან, გაივლის ეგეოსის ზღვის ბერძნულ კუნძულებს და მთავრდება კვიპროსზე.

კუნძულს კარგი გეოსტრატეგიული მდებარეობა აქვს, რის საშუალებითაც შეიძლება აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის და სუეცის არხის გაკონტროლება (ბრიტანეთმაც ხომ ძირითადად ამ მიზნით ჩაიგდო ხელში კვიპროსი 1878 წელს).

თუ გავითვალისწინებთ საკმაოდ დაძაბულ თურქულ-სირიულ ურთიერთობებს, კუნძულის კონტროლის საკითხს კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ.

კვიპროსზე თურქეთის შეიარაღებული ძალების ყოფნა არის ანკარის პრესტიჟისა და ავტორიტეტის საქმეც. იგი მთელ მსოფლიოს და განსაკუთრებით კი ახლად აღმოცენებულ თურქულენოვან ქვეყნებს აჩვენებს, რომ შეუძლია ყველასგან დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოება და მიუხედავად საკითხისადმი მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის

არაერთგვაროვანი დამოკიდებულებისა, დაიცვა, იცავს და კვლავაც დაიცავს პატარა თურქულ თემს.

ანკარაში საკმაოდ მწვავედ აღიქვეს კვიპროსის ევროკავშირში მომავალი განწევრიანების, აგრეთვე რუსეთიდან 5-300 ტიპის შორმანძილიანი რაკეტების (მათ შუგლიათ ანატოლიის აეროდრომებიდან აფრენილი თვითმფრინავების ჩამოგდება) შესყიდვის ფაქტები.

ამიტომ სპეციალისტები არ გამორიცხავენ ჩქორ-ის უკვე იურიდიულად პირდაპირ თურქეთის შემადგენლობაში მიღებისა და კონფლიქტის შემდგომი ესკალაციის შესაძლებლობას.(7)

კვიპროსის საკითხი მჭიდოდაა დაკავშირებული თურქეთ-საბერძნეთის ურთიერთობასთან. კვიპროსის პრობლემას ემატება ათენის წადილი ნ-დან 12 კმ-მდე გაზარდოს ტერიტორიული წყლების სიგრძე ეგეოსის ზღვაში მდებარე საკუთარი კუნძულების გარშემო.(24) ეს კი იწვევს ანკარის უკუურთქციას. პრობლემური საკითხებია დას. თრაკიაში მცხოვრები თურქების მდგომარეობა, აგრეთვე საბერძნეთ-მაკედონიის ურთიერთდამოკიდებულება. ამასთანავე საბერძნეთი თურქეთის ევროკავშირში მიღების პირველი მოწინააღმდეგეა. ხშირია განცხადებები, რომლებშიც ანკარა ადანაშაულებს ათენს და ნიქოზიას PKK -ს (ქურთისტანის მუშათა პარტია) საქმიანობისადმი ხელშეწყობაში.

ყოველივე ზემოდასწრებულ ფაქტთა გამო საბერძნეთი რეგიონში მოიაზრება თურქეთის ნომერ პირველ მოწინააღმდეგედ.

„ცივი ომის“ პერიოდში მწვავედ იდგა ბულგარელი თურქების ასიმილაციის საკითხი. ისინი ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 10%-ს შეადგენენ (ანკარამ ათი ათასობით ბულგარელი თურქი მიიღო). ახლა ეს პრობლემა მოიხსნა და ანკარა-სოფიის ურთიერთობაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

თურქეთის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია კავშირები ალბანეთთან, მაკედონიასა და ბოსნია-ჰერცეგოვინასთან. ამ ქვეყნებში მცხოვრებთა დიდი ნაწილი მუსლიმია, მცირე ნაწილი — თურქი. მათ ანატოლიელ თურქებთან აკავშირებთ საერთო ისტორიული წარსული, საერთო წარმოშობა და ძლიერი რელიგიური ერთობის შეგრძნება. ამ ქვეყნების მოწინააღმდეგეობით თურქეთს შეუძლია ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შეკრას ძლიერი სახმედრო-პოლიტიკური ბლოკი, რომელსაც გავლენა ექნება შავი ზღვის რეგიონის სივრცეზეც.

თურქეთს ასეთივე ნათესაური კავშირები აქვს რუმინეთში, მოლდოვასა და უკრაინაში მცხოვრებ ზოგიერთ ხალხთან, მაგრამ მათი რაოდენობა და შესაბამისად ანკარის დაინტერესებაც შედარებით მცირეა. ამ სამეულთან ურთიერთობისას თურქეთს ყურადღების აქცენტი გადააქვს არა იმდენად

ნათესაურ გრძნობებზე, რამდენადაც ამ ქვეყნებთან ეკონომიკურ კავშირებზე.(7)

შავი ზღვის რაიონში მდებარე თურქეთის მეზობელი ქვეყნები გადამწყვეტ როლს ასრულებენ იმ სამშვიდობო და უსაფრთხოების სარტყელში, რომლის დაცვაც თურქეთს სურს ბალკანეთიდან ტრანსკასპიის რეგიონამდე.

ამიტომ დაადგა თურქეთი შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის გზას. პროექტი, რომელიც ძირითად მიზნად ისახავს დიდ რეგიონალურ თანამშრომლობას, ერთობლივი სანარმოებისა და გაფართოებული ვაჭრობის გზით დაახლოებს შავი ზღვის სანაპირო სახელმწიფოების ხალხებს და ბალკანეთისა და კავკასიის სხვა დაინტერესებულ ერებს.(17)

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში (BSEC) მონაწილეობენ შავი ზღვის აუზის (საქართველო, თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, უკრაინა, რუსეთი) და ე.წ. „მეორე ეშელონის“ ქვეყნები (რომელთაც არა აქვთ გასასვლელი შავ ზღვაზე — მოლდოვა, აზერბაიჯანი, სომხეთი, ალბანეთი, საბერძნეთი).(22)

თურქეთის სახელმწიფოებრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ამ ქვეყნის ინტერესს კავკასიის რეგიონისადმი ობიექტურად განსაზღვრავდა გეოპოლიტიკური, სამხედრო, სავაჭრო-ეკონომიკური და სხვა მიზნების ერთობლიობა, რაც კავკასიის მეტწილ ხალხებთან თურქეთა ეთნიკური და რელიგიური სიახლოვით არის გაპირობებული.(21)

თურქეთს კავკასიაში თითქმის მუდმივი დაპირისპირება ჰქონდა რუსეთის იმპერიასთან. ეს დაპირისპირება ახლაც სახეზეა: თურქეთი შეშფოთებულია ამიერკავკასიაში (საქართველოში, სომხეთში) რუსეთის სამხედრო ბაზების არსებობითა და სამხედრო წვრთნების ჩატარებით, რომელიც ანკარის აზრით, 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში ხელმოწერილ რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების პრინციპების დარღვევის მცდელობებს წარმოადგენს და „მათგან გადახვევას, შესაძლებელია, უარყოფითი შედეგები მოჰყვეს“.(21,15)

რაც შეეხება სომხეთთან დამოკიდებულებას, თურქეთმა, მართალია, იგი იურიდიულად აღიარა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, მაგრამ მასთან არავითარი ოფიციალური კავშირი არ აქვს დამყარებული. ამის მიზეზები სომხეთის მთავრობის მიერ გამოთქმული ზოგიერთი პრეტენზიაა, რომელიც ეხება სასაზღვრო-ტერიტორიულ და 1914-15 წლების მოვლენებს (სომეხთა გენოციდს თურქეთი კატეგორიულად უარყოფს). გარდა ამისა, ანკარა ასევე უარყოფით შეფასებას აძლევს სომხეთის როლს ყარაბაღის კონფლიქტის ესკალაციის საკითხში. მისი აზრით, ერევანი არღვევს საერთაშორისო-სამართლებრივ პრინციპებს ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობის დაცვის საკითხში.

თურქეთი სომხებს ბრალდებებს უყენებდა აგრეთვე საერთაშორისო ტერორიზმის ხელშეწყობაშიც, რომელსაც პარტია „დაშნაკცუტუნი“ ახორციელებდა უცხოეთში თურქი დიპლომატებისა და სახელმწიფო მოღვაწეების მიმართ (მაგ. ბუდაპეშტში მომხდარი ტერორისტული აქტი და ა.შ.)

ბოლო ხანებში თითქოსდა შეიმჩნევა თურქეთ-სომხეთის დამოკიდებულების ერთგვარი „შერბილება“, ერევანს აღარ გადააქვს აქცენტი პრეტენზიებზე, მიმდინარეობს სომხეთის საქმიანი წრეების გარკვეული კონტაქტების დამყარების პროცესი თურქეთის შესაბამის ფორმებთან, მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერი მხოლოდ სურვილების დონეზეა, პოლიტიკური პრობლემების აჩრდილი კვლავ არსებობს და შესაბამისად ნდობის ფაქტორიც ნაკლებია.

ამიერკავკასიის სახელმწიფოებიდან თურქეთს, შეიძლება ითქვას, ყველაზე მჭიდრო ურთიერთობა აქვს აზერბაიჯანთან და საქართველოსთან. ანკარა ბაქოს თავის სტრატეგიულ მოკავშირედ მიიჩნევს და ამას არც აზერბაიჯანი უარყოფს — თურქეთი მას დიდ ფინანსურ და პოლიტიკურ დახმარებას უწევს, გამოდის ბაქოს მხარდამჭერად ყველა საერთაშორისო ფორუმზე და ორგანიზაციაში, იქნება ეს გაერო, ეკო თუ ეუთო. ანკარის ინტერესებს განსაზღვრავს აგრეთვე ნავთობის საკითხიც, რომლის ექსპორტის მარშრუტის პრობლემა თურქეთმა გარკვეული კომპრომისით, მაგრამ ძირითადად მაინც თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა — საქართველოს, როგორც მეგობრულად განწყობილი ქვეყნის ტერიტორიაზე გამავალი ნავთობსადენი მისთვის უფრო საიმედო და მომგებიანია.(21)

თურქეთის პრემიერ-მინისტრის მესუთ ილმაზის აზრით, აზერბაიჯანული ნავთობის ხაზს შეიძლება მიემატოს 700 კმ-იანი ყაზახური ნავთობსადენიც. ამით ნავთობსადენის საერთო სიგრძე 2500 კმ-ს მიაღწევს.(71)

ანკარამ კასპიის ნავთობით დაინტერესება და აქტიურობა კარგა ხნის წინ დაიწყო,(5) რადგან ნავთობსადენი საშუალებას მისცემს თურქეთს სტრატეგიული მიზნის მიღწევისთვის — უზრუნველყოს გავლენის გაძლიერება თურქულენოვან სამყაროზე ხმელთაშუა ზღვიდან ბაიკალამდე.(23)

ცალკე განხილვის საგანია თურქეთის დამოკიდებულება ჩრდილო კავკასიასთან. ანკარა მაქსიმალურად ცდილობს არ მიანიჭოს ამ ურთიერთობებს ოფიციალური ხასიათი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როცამის ყოფილ ტერიტორიაზე დამოუკიდებელი სახელმწიფოები წარმოიქმნა, თურქეთმა ისარგებლა ძალთა ერთგვარი ბალანსის დარღვევით და თავისი სტრატეგიული ინტერესები მიმართა ცენტრალური აზიისაკენ.(21)

ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალი ექვსი

მუსლიმური რესპუბლიკიდან ხუთი: აზერბაიჯანი, თურქმენეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი და უზბეკეთი, ძირითადად თურქულენოვანი მოსახლეობითაა დასახლებული. ამ რესპუბლიკების ცალკე სახელმწიფოებად ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო თურქეთის მნიშვნელობის მოულოდნელ და სწრაფ ზრდას.(9) მაგრამ არსებობდა ხელისშემშლელი ფაქტორები, რადგან ჯერ ერთი — ხსენებული რეგიონი გეოგრაფიული თვალსაზრისით საკმაოდ დაშორებულია ანატოლიისაგან, მეორე — კვლავ რჩებოდა რუსეთის გავლენის ფაქტორი როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ და კულტურულ სფეროში (მრავალ მილიონიანი რუსული დიასპორების მეშვეობით ყაზახეთში, უზბეკეთში და ა.შ.), მესამე — იგივე რუსეთი საკმაოდ ყურადღებით ადევნებდა თვალს თურქეთის ჰეგემონიის დაწყების მცდელობებს, რასაც შეიძლება არასასურველი შედეგები მოჰყოლოდა მოსკოვთან მიმართებაში და მეოთხე — გავლენის მოპოვების მიზნით დიპლომატიაში ჩაერთო ირანიც, რომელიც თურქეთისაგან განსხვავებით, უშუალოდ ესაზღვრება რეგიონს.(21)

არც თუ ისე სუსტი გეოპოლიტიკრი ძალაა ჩინეთიც. ისიც გასათვალისწინებელია, რომ დასავლეთი არ დაუშვებს თურქეთის ზედმეტ გაძლიერებას რეგიონში.(9)

თურქეთმა პირველ ეტაპზე აქტიურად დაიწყო მოძმე თურქულენოვან ხალხებთან დაახლოვების პროცესი, ანკარასა (1992 წლის ოქტომბერში) და სტამბოლში (1994 წლის ოქტომბერში) ჩატარდა შეხვედრები უმაღლეს დონეზე, ხელი მოენერა მრავალრიცხოვან ხელშეკრულებებს სხვადასხვა სფეროში, ამავე დროს ანკარა ხელიდან არ უშვებდა შესაძლებლობას ხაზი გაესვა ისტორიულ, კულტურულ, რელიგიურ და ენობრივ ერთობაზე. თურქეთის „ექსიმბანკის“ მეშვეობით ცენტრალური აზიის ქვეყნებისადმი გაიცა მრავალმილიონიანი შეღავათიანი კრედიტები, მოხერხდა თურქეთის ტელერადიომაუნყებლობის ორგანიზაციათა თანამგზავრული სისტემების საშუალებით, ანკარამ გამოყო ადგილები თავის უმაღლეს სასწავლებლებში ხსენებული სახელმწიფოების სტუდენტთათვის (1993-94 სასწავლო წელს — 2-2 ათასი ადგილი. ეს ეხება არა მარტო სამოქალაქო, არამედ სამხედრო სპეციალობებსაც — მაგალითად, ყირგიზეთთან 1993 წელს დადებული შეთანხმებით 100 კურსანტი ეუფლება ცოდნას თურქეთის სამხედრო სასწავლებლებში, მათი დაფინანსების ხარჯები ანკარამ იკისრა).

მაგრამ ბოლო წლებში თურქეთის ეკონომიკაში განვითარებული კრიზისის გამო ასეთი სახის უანგარო დახმარებები მკვეთრად შემცირდა და ამჟამად ურთიერთობებში ძირითადი ადგილი ეთმობა სავაჭრო და

კულტურულ ორმხრივ თანამშრომლობას (ეს აღინიშნა კიდევ 1995 წლის აგვისტოში ბიშპეკში ჩატარებულ მესამე სამიტზე).

ამასთან, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, თურქეთი, მართალია, საკმაოდ განვითარებული, მაგრამ ამავე დროს შეზღუდული პოლიტიკური და ეკონომიკური შესაძლებლობების ქვეყანაა და იგი ვერ უძლებს რუსეთისა და ირანის გამოწვევას მისთვის საკმაოდ შორეულ რეგიონში.(21)

თურქეთ-ირანის ურთიერთობა, მართალია, ცივია, მაგრამ არა ნაშტებიანი. მათ შორის არ არსებობს ტერიტორიული პრეტენზიები.(72) ქვეყანათშორისი ურთიერთობის სიცივის მიზეზი კი სახელმწიფო წყობის, რეჟიმისა და იდეოლოგიის შესაძლო თავსმოხვევის საშიშროებაში მდგომარეობს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თურქეთის ერაყთან დამოკიდებულება. ერთის მხრივ ანკარა დიდად ზარალდება ერაყისადმი გაეროს ემბარგოთი (ბოლო შვიდი წლის განმავლობაში ზარალმა 30 მილიარდი ამერიკული დოლარი შეადგინა),(94) მაგრამ მეორეს მხრივ მას არ შეუძლია თავისი ყველაზე ძლიერი დასაიმედო მოკავშირის — ვაშინგტონის წინააღმდეგ წასვლა.

თურქეთის შემოფოთებას იწვევს აგრეთვე სპარსეთის ყურეში ომის შემდეგ ჩრდილოეთ ერაყში წარმოქმნილი ქურთული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. მართალია, დიდია ანკარის გავლენა აქ მოქმედ ზოგიერთ პოლიტიკურ პარტიაზე, მაგრამ ამ ტერიტორიაზე მინციქმნება PKK -ს სამხედრო ბაზები და აქედანვე ხორციელდება ანატოლიაში შეღწევა. ამის გამო თურქეთს ხშირად უწევს ჩარევა ჩრდ. ერაყში მიმდინარე პროცესებში.

სირიასთან ურთიერთობის ძირითადი ქვაკუთხედი ჰათაის რეგიონის საკითხია. ამას ემატება წყლის პრობლემაც.(72) თურქეთის მიერ მდინარე ევფრატზე წყალსაცავის მშენებლობა და წყლის დიდი რაოდენობით დაგროვება სერიოზულ შემოფოთებას იწვევს სირიაში. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ თურქეთი ადანაშაულებს დამასკოს იმაში, რომ იგი მხარს უჭერს PKK-ს და იყენებს მის წინააღმდეგ.

ამ საკითხთა, აგრეთვე ვაშინგტონის პოზიციის გათვალისწინებით ხდება ანკარის დაახლოება სირიის ნომერ პირველ მტერთან — ისრაელთან.

ახლახანს ისრაელის, თურქეთისა და ამერიკის სახმელეთო ხომალდების მიერ ხმელთაშუა ზღვაში ჩატარებულმა წვრთნამ ბუნებრივი შემოფოთება გამოიწვია არაბულ სამყაროში. მიუხედავად მასში მონაწილე სამი ქვეყნის განცხადებებისა, რომ წვრთნა მხოლოდ ჰუმანიტარული დანიშნულებისა (დასაღუპად

განწირული იახტების გადარჩენა) იყო, არაბებმა იგრძნეს, რომ ახლო აღმოსავლეთში ძალთა ბალანსი აშკარად შეირყა.

მაგრამ ამერიკის ხელდასხმით ჩამოყალბებული ისრაელ-თურქეთის ალიანსი ასე არ გაალიზიანებდა არაბებს, წვრთნას იორდანის მაღალი ჩინის სამხედრო მეთვალყურე რომ არ დასწრებოდა, მათ ეს „არაბი ძმების“ ლალატად ჩათვალეს.

ეგვიპტემ, სირიამ, ერაყმა და ირანმა დაგმეს აღნიშნული ღონისძიება.(18) რეგიონში ანკარის მზარდი როლის განეიტრიალების მიზნით რუსი და სომეხი ანალიტიკოსები აყენებენ ე. წ. „ბიზანტიური კავშირის“ შექმნის იდეას, რომელიც გააერთიანებს თურქეთის მეზობელ ქრისტიანულ ქვეყნებს. მის „ჩანასახად“ შეიძლება მიჩნეულ იქნას სომხეთსა და საბერძნეთს შორს გაფორმებული ხელშეკრულება სამხედრო თანამშრომლობის შესახებ. ამ ხელშეკრულებამ თურქეთის გალიზიანება გამოიწვია.

„ბიზანტიური კავშირის“ მონაწილეებად ივარაუდებათ საბერძნეთი, იუგოსლავია, ბულგარეთი, რუმინეთი სომხეთი, საქართველო და რუსეთი.(31)

უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის ურთიერთობები ბულგარეთთან, საბერძნეთთან, იუგოსლავიასთან და რუმინეთთანაც კი ძლიერაა დამოკიდებული წარსულიდან შემორჩენილ ისტორიულ სირთულეებზე. ამასთან თურქეთ-საბერძნეთს, თურქეთ-ბულგარეთს და თურქეთ-სომხეთს შორის არსებობს ირედენტისტული საკითხები.(53)

ზემოთ ხსნებული კავშირის ლიდერად, რა თქმა უნდა რუსეთი მოიაზრება. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა, რომ „ბიზანტიურ კავშირში“ უკრაინა არაა მინვეული... არ გამოირიცხავენ აგრეთვე „ბიზანტიური ბლოკის“ სტრატეგიულ თანამშრომლობას ირანთან, სირიასთან, ლიბანთან და ეგვიპტესან.(31)

თუ ასეთი კავშირი შედგა, მასში ალბათ აქტიურ როლს ითამაშებს ბერძნული კვიპროსიც.

იდეა თავისთავად საინტერესო, მაგრამ არც თუ ისე რეალურია. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამგვარი კავშირში ჩაერთოს საქართველო და რუმინეთი. პირიქით, თუ ანკარამ „ბიზანტიურ კავშირის“ საწინააღმდეგოდ შექმნა საკუთარი ბლოკი აშშ — თურქეთი-ალბანეთი-მაკედონია-აზერბაიჯანის მონაწილეობით, შესაძლებელია თბილისიც და ბუქარესტიც ამ ბლოკს მიემხრონ.

თურქეთში ბოლო წლებში განიხილება სპარსეთის ყურეში ომის დამთავრებისთანავე ოზალის მიერ წამოყენებული იდეა, რომ თურქეთი შეიძლება იქცეს რეგიონალურ სუპერძალად.

ეს იდეა ეფუძნება ძალიან მარტივ ლოგიკურ ჯაჭვს. თურქეთი ასრულებდა ხიდის როლს აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. საბჭოეთის დაშლის შემდეგ თურქულენოვანმა რესპუბლიკებმა მზერა

თურქეთს მიაპყრეს. თურქეთის ინიციატივით შეიქმნა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია. ბალკანეთის მოვლენებმა თურქეთს ახალი ბაზარი მოუპოვა. სპარსეთის ყურეში ომის შემდეგ მუსლიმური ქვეყნები დაშორდნენ ერთმანეთს. მათ სჭირდებოდათ წყალი, რომელიც გააჩნდა თურქეთს. ყველაფერი ამის გამო, ოზალის სიტყვებით რომ ვთქვათ, „თურქეთი რეგიონში მიმდინარე შტორმში ერთადერთი სტაბილურობის კუნძული იყო“. (82, 337)

ბალკანეთი, კავკასია, ახლო აღმოსავლეთი, შუა აზია, შავი ზღვა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი ის რეგიონებია, სადაც ყოველთვის მიმდინარეობს ისეთი მნიშვნელობის მქონე სამხედრო-პოლიტიკური თუ ეთნორელიგიური მოვლენები, რომლებიც გავლენას ახდენს მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებზე. ამ რეგიონთა ცენტრში ყოფნა თურქეთს პოლიტიკური მანევრირების საშუალებას აძლევს. მას შეუძლია განსაზღვრული დონით გავლენა იქონიოს მის გარშემო მიმდინარე პროცესებზე, მაგრამ ამავდროს ანკარა ვალდებულია, ყოველთვის ფხიზლად იყოს.

თურქეთს გააჩნია მეტად საინტერესო და ამავე დროს საშიში და, ამდენად ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე გეოპოლიტიკური მეზომდებარეობა. (7)

მაკრომდებარეობა

მაკრომდებარეობა მსოფლიო მნიშვნელობის სამხედრო-პოლიტიკური ცენტრების მიმართ მდებარეობას ნიშნავს. ამ ცენტრებთან სიახლოვე (ან სიშორე) მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ამა თუ იმ ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკურ კურსს, მის მონაწილეობას (ან არ მონაწილეობას) სამხედრო ბლოკებში და ა.შ. მაკრომდებარეობის შეფასებისას მნიშვნელობა ენიჭება, აგერთვე, ქვეყნის მდებარეობას მსოფლიო ეკონომიკური ცენტრებისა და სატრანსპორტო მაგისტრალების, ხალხის, საქონლის, კაპიტალისა და ინფორმაციის გადაადგილების არხების მიმართ. (9)

თურქეთის მაკრომდებარეობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ იგი სასაზღვრო ქვეყანაა. ანატოლია აზიის ევროპასთან საზღვარს, თრაკია კი ევროპის აზიასთან საზღვარს ქმნის. აქვე ესაზღვრება ერთმანეთს ისლამი და ქრისტიანობა. დასავლური და აღმოსავლური კულტურები, ლიბერალურ საბაზრო და მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკური სისტემები, მრავალპარტიული და ერთპარტიული სისტემები. (60)

სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით თურქეთი ძლიერი ქვეყანაა. 1952 წლიდან არის ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) წევრი. ათწლეულების

განმავლობაში იყო ამ ორგანიზაციის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფლანგის ლიდერი და საბჭოეთის შემკავებელი. ტერიტორიულად ესაზღვრებოდა ვარშავის ხელშეკრულების წევრ ორ ქვეყანას — საბჭოთა კავშირსა და ბულგარეთს.

თურქეთის ტერიტორიაზე განთავსებული იქნა ნატოს სამხედრო ბაზები, სადაც ძირითადად ამერიკული კონტინგენტი იყო (საბჭოეთის დაშლის შემდეგ მათი უმრავლესობა გაუქმდა). ამ სამხედრო ბაზების არსებობას ვაშინგტონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. როდესაც კონგრესში დადგა 1914 წლის სომხების გენოციდის ცნობის საკითხი, თურგუთ ოზალი პირადად გამოვიდა კონგრესმენტთა წინაშე და განაცხადა, რომ თუ ამერიკელები ასეთ დადგენილებას მიიღებდნენ, მაშინ დადგებოდა თურქეთში მათი სამხედრო ბაზების ყოფნის მიზანშეწონილების საკითხიც. ოზალის გამოსვლის შემდეგ ყველაფერი ჩაცხრა. ამ ფაქტმა აჩვენა, რომ თურქეთს შეუძლია მართალია, მცირე, მაგრამ მაინც გარკვეული ზემოქმედების მოხდენა ისეთ დიდ გეოპოლიტიკურ ძალაზე, როგორც შეერთებული შტატებია. (7) თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთში ამ ფაქტამდე და მის შემდეგაც, დღესაც არსებობს გარკვეული წინააღმდეგობანი ბაზების გარშემო. (70)

როგორც ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის მოკავშირე და ევროპის საბჭოს წევრი, თურქეთი „ცივი ომის“ ათწლეულების განმავლობაში რეალურ დახმარებას უწევდა დასავლეთის უსაფრთხოებასა და თავდაცვას. იგი ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობას ორ ძირითად დასაყრდენად მიიჩნევს ევრო-ატლანტიკურ კავშირებში. (17)

დღეს ვაშინგტონისათვის ანკარასთან მოკავშირეობას განსაზღვრავს ის, რომ თურქეთი მდებარეობს ახლო აღმოსავლეთში და ამავე დროს ბისეკის ერთ-ერთი დამფუძნებელი და აქტიური წევრია.

ახლო აღმოსავლეთის მნიშვნელობას აშშ-ს პოლიტიკისათვის განსაზღვრავს შემდეგი ფაქტორები: ა) რეგიონის უზარმაზარი ზეგავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე მასში თავმოყრილი ენერგორესურსების მასშტაბური ოდენობის გამო. რეგიონში მიმდინარე შესაძლო არასტაბილურ პროცესებს შეუძლია ეჭვქვეშ დააყენოს საერთოდ მსოფლიო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება აქედან გამომდინარე პოლიტიკური შედეგებითურთ. ბ) რეგიონში მდებარეობს ირანი, ერთადერთი სახელმწიფო მსოფლიოში, რომელსაც ანტიამერიკანიზმი საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედების ქვაკუთხედად აქვს ქცეული. ამასთან, რეგიონის რთული კულტურულ-სოციალური და პოლიტიკური სისტემიდან გამომდინარე, ირანს შეუძლია ეფექტიანი ანტიამერიკული აქციების

დაგეგმვა და განხორციელება. გ) რეგიონში აშშ-ს ბევრი მოკავშირის შიდაპოლიტიკური მდგომარეობა არასტაბილურია, რაც ა.შ.შ-ს მოწინააღმდეგეებს ხელისუფლების ხელში ჩაგდებას საშუალებას აძლევს. ეს თავის მხრივ საჭიროებს ამერიკელთა საპასუხო ზომებს. დ) ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული ისრაელ-არაბთა კონფლიქტი, რაც ზეგავლენას ახდენს აშშ-ს პოლიტიკაზე ამ რეგიონში. ე) რეგიონში მიმდინარეობს ზოგიერთი სხვა კონფლიქტიც, რაც აშშ-ს მოწინააღმდეგეებს ანტიამერიკული მოქმედებისთვის ნოყიერ ნიადაგს უქმნის. ვ) რეგიონის ტერიტორიაზე გადის ისეთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო კომუნიკაცია, როგორც ასუეცის არხი. რეგიონში ხდება დიდი რაოდენობით იარაღის იმპორტი. ზ) რეგიონში მდებარეობს აშშ-ს სტრატეგიული მოკავშირე-ისრაელი, რომლის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის გატარებული ღონისძიებანი პირდაპირ გავლენას ახდენს აშშ-ს საშინაო პოლიტიკაზე ამ ქვეყანაში მრავალრიცხოვანი და გავლენიანი ებრაული თემის არსებობის გამო. აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ აქ მდებარეობს საერთაშორისო მნიშვნელობის საკომუნიკაციო კვანძები, რომ იგი სტრატეგიულად უკავშირდება ცენტრალურ და სამხრეთ აზიას, სამხრეთ ევროპასა და აფრიკას. აქედან გამომდინარე — ახლო აღმოსავლეთი და შესაბამისად თურქეთიც გრძელვადიან პერსპექტივაში დარჩება აშშ-ს პრიორიტეტულ ინტერესებში.

ბისეკის სივრცის მნიშვნელობა აშშ-სთვის არ იქნება ისეთი დიდი, როგორც ახლო აღმოსავლეთისა. ამის მიუხედავად, აშშ-ს ამ რეგიონში მაინც ექნება სტრატეგიული ინტერესები. ეს გაპირობებული იქნება შემდეგი ფაქტორებით: ა) ბისეკი მდებარეობს ევროგაერთიანებისა და რუსეთის უშუალო სიახლოვეს. ბ) ბისეკი უშუალოდ ესაზღვრება ახლო აღმოსავლეთს და იქ მიმდინარე პროცესებმა შეიძლება სერიოზული გავლენა მოახდინოს ახლო აღმოსავლეთის მოვლენებზე. გ) ბისეკის სივრცეზე მდებარეობს აშშ-ს ორი ნატოელი მოკავშირე: საბერძნეთი და თურქეთი. დ) ბისეკზე გადის უმოკლესი გზა, რომელსაც შეუძლია ცენტრალურ აზიასთან დაკავშირება. ე) ბალკანეთში მიმდინარე კონფლიქტები სასინჯი ქვაა აშშ-ს პრეტენზიაზე იყოს მსოფლიო ლიდერი. ვ) ბისეკის სივრცეს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება აშშ-ს მიერ ირანის შეკავებისათვის. ზ) რეგიონში მდებარეობს სტრატეგიული ნედლეულის გარკვეული მარაგი. თ) რეგიონი შეიძლება აკონტროლებდეს ენერგომატერებლების გადაზიდვის მნიშვნელოვან ტრასებს. ი) რეგიონში უკვე ჩადებულია გარკვეული რაოდენობის კაპიტალდაბანდებები. მოსალოდნელია, რომ მომავალში რეგიონი გახდება ხელსაყრელი ბაზარი აშშ-ს პროდუქციის გასაღებისათვის.

ამასთან მოსალოდნელია აშშ-ს ინტერესების ზრდა ბისეკისადმი ძირითადად საშუალოვადიან პერსპექტივაზე მოვა და კიდევ უფრო გაიზრდება, თუ მოხდა ბისეკის სტრუქტურირება გეოპოლიტიკურ რეგიონად. (19)

თურქეთი მეტად მნიშვნელოვანია არა მარტო ვაშინგტონისათვის, არამედ მთელი ნატოსათვის. 1995 წელს ნატოს მაშინდელმა გენერალურმა მდივანმა ვილი ქლაესმა განაცხადა, რომ თურქეთს ნატოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც იგი მდებარეობს აზიისა და ევროპის გასაყარზე. თურქეთის როლი დღეს კიდევ უფრო იზრდება ბალკანეთის, კავკასიის, შუა და ცენტრალური აზიის ფარგლებში. (13)

მას ეთანხმება ჰავიერ სოლანა: „თურქეთის თანამშრომლობა ალიანსში ისეთი არსებითია, როგორც არასდროს“. (95)

მართალია, ნატოს გაფართოებისას თურქეთის ფუნქციის მნიშვნელობა ნაწილობრივ შეიკვეცება, მაგრამ ალიანსის გაფართოებას დადებითი მხარეც აქვს ანკარისათვის — მას მოეხსნება საშიშროება და გუშინდელი მოწინააღმდეგენი მის ბანაკში აღმოჩნდებიან.

თურქული საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე ფაქიზი წერტილია ურთიერთობა ევროკავშირთან. ამ გაერთიანებაში განეწვიანება არის ის სანუკვარი ოცნება, რის განხორციელებისთვისაც ათწლეულების განმვლობაში იღწვოდა და დღესაც უშედეგოდ იღწვის ანკარა. მართალია, თურქეთი მიიღეს ევროპის საბაჟო კავშირში, მაგრამ ევროკავშირში მიღების მომლოდინეს 1997 წლის დეკემბერში მკაცრად გამოუხურეს კარი. მდგომარეობას ის გარემოებაც ამძიმებს, რომ თურქეთისადმი უარის განცხადების კვალდაკვალ ფართოდ გაუღეს კარი კვიპროსს და აღმოსავლეთ ევროპის შედარებით ნაკლები „დამსახურების“ მქონე ქვეყანას. უარის ოფიციალური მოტივები კვიპროსის საკითხი (შესაბამისად საბერძნეთთან ურთიერთობები) და ქვეყანაში ადამიანის უფლებების მდგომარეობაა.

ამას გარდა, მიმომხილველები ასახელებენ ოფიციალურად განუცხადებელ მოტივებსაც. ევროკავშირში მიღებით იხსნება საზღვარზე გადასვლის შეზღუდვა და ევროპა გაივსება თურქებით. როგორც თვით თურქები ხუმრობენ, ასეთ შემთხვევაში „კონტინენტი იქნება არა ევროპა, არამედ თუროპა“. (7, 30)

არის კიდევ ერთი, ალბათ უმნიშვნელოვანესი მოტივი, რომელიც ყველაზე ნათლად განაცხადა ყოფილმა პრეზიდენტმა თურგუთ ოზალმა: „არ მიღების ქეშმარიტი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ მუსლიმები ვართ. ისინი კი — ქრისტიანები, მაგრამ ისინი ამას ღიად არ ამბობენ“. (92)

ერთ-ერთი ევროპელი, ვინც ამის შესახებ ღიად თქვა, იყო საფრანგეთის პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი ჟაკ ატალი, რომელმაც

განაცხადა: „თურქეთის ევროკავშირში შესვლის ძირითადი ხელის შემშლელი მიზეზი რელიგიური განსხვავება — ისლამია“.(43)

აი, რას ამბობდა ამის შესახებ თურქეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი თანსუ ჩილერი: „ევროპის კულტურას იუდეურ-ქრისტიანულ-ბერძნულ-რომაული სინთეზი არ უდევს საფუძვლად. ერთი კედელი დავანგრეთ. ახალ კედელს ნულარ ავაშენებთ. ნუ ვივლით რელიგიური დაყოფის გზით“.(15)

მაგრამ არა მარტო თურქეთს სჭირდება ევროპა, არამედ ევროპასაც სჭირდება თურქეთი. ისევ ყოფილი პრემიერის განსაზღვრებით „თურქეთი გეოგრაფიული მდებარეობით ევროპის ნაწილია. ბალკანეთის, შავი და ეგეოსის ზღვების ნაწილია და ხმელთაშუა ზღვის ქვეყანაც არის. ამავე დროს ჩვენს ქვეყანას ახლო აღმოსავლეთშიც უკავია ადგილი. ამ ვრცელ რეგიონში არსებულ ქვეყნებს საერთო თავისებურებები არა აქვთ. სინამდვილეში ერთმანეთისგან სრულიად განსხვავდებიან; ბევრ მათგანში არასტაბილური სიტუაციაა. ევროპისთვის ამ რეგიონებს მნიშვნელოვანი სტრატეგიული პოზიცია უკავიათ.

თურქეთი, თავისი დემოკრატიული სისტემით და ფასეულობებით, სტაბილურობის ერთ-ერთი გარანტია. ევროპას სტაბილურობა ესაჭიროება.

ადრე ატლანტიკის კავშირის ყურადღება ცენტრალური ევროპის დასაცავად იყო მიმართული, რის გამოც კონტინენტის სამხრეთ ნაწილს აკლდასათანადო ყურადღება, ამავე დროს, სამხრეთის რეგიონი ისეთი პოლიტიკური, ეკონომიკური, ეთნიკური, კულტურული და რელიგიური ძალების კვეთის წერტილზე მდებარეობს, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვანი კრიზისების მიზეზად იქცეს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ იგი ხმელთაშუა ზღვით შემოსაზღვრულ არეალსაც მოიცავს. ეს რეგიონი ამავე დროს ისეთი მხარეა, სადაც დემოკრატიული სტრუქტურები სუსტია, დემოგრაფიული ზენოლაკი — ძლიერი.

აღმოსავლეთს დასავლეთისთვის უდიდესი, სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, სპარსეთის ყურის ომი გაიხსენეთ, ამ რეგიონში ხომ ომსა და მშვიდობასთან დაკავშირებული პრობლემები, შიდა არასტაბილურობა და რადიკალიზმი სუფევს. აქ თავმოყრილი მასობრივი განადგურების იარაღი შიშისმომგვრელია, ბალკანეთის ნახევარკუნძული და კავკასიაც ისეთ პრობლემებს ქმნიან, რომელთა გადაჭრა აუცილებელია. აქ უამრავ ეთნიკურ ბრძოლას, შიდა და გარე არასტაბილურობას აქვს ადგილი.

ჩვენი ევროპელი მოკავშირეები ამჟამად თურქეთს ისეთ ბუფერულ ქვეყნად მიიჩნევენ, რომელიც ევროპასა და ევროპისთვის სასარგებლო სტაბილურ და სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან რეგიონებს შორის მდებარეობს. მათ მიერ თურქეთის მუდმივად ბუფერულ რეგიონად მიჩნევა გონივრული

გადანყვეტილებაა, თუმცა სერიოზული ეჭვები მაქვს, რომ თურქები ამ მდგომარეობაში ყოფნას ბოლომდე დასჯერდნენ“.(15)

აკი ხშირად გაისმის ხოლმე თურქეთში: „რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, თურქეთი უნდა შევიდეს ევროკავშირში“.(61)

მაგრამ არსებობს ევროპის გეოპოლიტიკური კონფიგურაციის შემდეგი პროგნოზი: საშუალო პერსპექტივაში (2005-2010 წწ) ევროპის კონტინენტს შემდეგი სახე ექნება:

1. ევრო-ბალტო-სკანდიის გეოპოლიტიკური რეგიონი, რეგიონისათვის საჭირო ინტეგრაციის სრული ფორმით. ეს რეგიონი მოიცავს დასავლეთის და ცენტრალური ევროპის ტრადიციულ სახელმწიფოებს — იტალიას, პორტუგალიას, საბერძნეთს, სლოვენიას და ხორვატიას, აგრეთვე პოლონეთს, ბალტიისპირეთის სახელმწიფოებს და სკანდინავიის ქვეყნებს.

2. ევროპის დანარჩენი ნაწილი არ იქნება ინტეგრირებული ევრო-ბალტო-სკანდინავიაში. ბალკანეთის სახელმწიფოები (გარდა საბერძნეთის, ხორვატიისა და სლოვენიის), რუსეთთან, უკრაინასთან და ამიერკავკასიის სახელმწიფოებთან ერთად შეადგენენ ბალკანო — პონტო — კავკასიურ გეოპოლიტიკურ სივრცეს (ხაზს ვუსვამთ — არა რეგიონს ინტეგრაციის სათანადო დონით, არამედ სივრცეს). რასაკვირველია ამ სივრცეზე მოთავსებული სახელმწიფოებისათვის ხელსაყრელია, რომ იგი თანდათან ჩამოყალიბდეს ერთიან გეოპოლიტიკურ რეგიონად. ამისათვის არსებობს გარკვეული წინაპირობები — მაგალითად: ა) გეოგრაფიული მდებარეობა, რომლის დროსაც ამ სივრცის ყველა სახელმწიფო ან შავი ზღვის ქვეყანა ან მის უშუალო სიახლოვეს მდებარეობს; ბ) გარკვეული საერთო კულტურული მემკვიდრეობა. ყველა ეს ერები ჩამოყალიბებულნი არიან ბიზანტიის დიდი კულტურის გავლენის ქვეშ (სხვათა შორის ეს ითქმის არა მხოლოდ მართლმადიდებელ ერებზე, რომლებიც ამ სივრცის ცხრა სახელმწიფოს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას წარმოადგენს, არამედ თურქებზეც, რომელთა წინაპრებმა დაიპყრეს რა ბიზანტია, ბევრი რამ აიღეს მათგან); გ) არსებობს გარკვეული ისტორიული თანაცხოვრების გამოცდილება ბალკანო-პონტო-კავკასიაში მცხოვრებ ხალხებს შორის. ცხადია, ასეთი გამოცდილება ყოველთვის მშვიდობიანი არ ყოფილა, მაგრამ რეგიონის ხალხებს მაინც ჰქონდათ ერთმანეთთან ურთიერთობის მდიდარი ტრადიცია; დ) განვითარების დაახლოებით ერთნაირი დონე, რომელიც, სამწუხაროდ, ბევრად ჩამოუვარდება ევრო — ბალტო — სკანდიის დონეს. ე) მსგავსი სოციალური სტრუქტურების არსებობა, რაც გამოიხატება ამ სახელმწიფოებში საშუალო კლასის მცირერიცხოვნებით და

სისუსტით, ბიუროკრატიული აპარატის მრავალრიცხოვნებითა და სიძლიერით. ამ ორი ფაქტორის მოხსნის გარეშე ფიქრიც კი ზედმეტია ბალკანო — პონტო — კავკასიის დონის მიახლოებაზე ევრო — ბალტო — სკანდინავიასთან.(20)

ეკონომიკური თვალსაზრისით თურქეთის გეოპოლიტიკური მაკრომდებარეობის შეფასებისას პირველ რიგში აღსანიშნავია სატრანსპორტო კომუნიკაციები. კარგად მონყობილი საავტომობილო გზები იძლევა ტვირთის სწრაფ და უსაფრთხო გადაზიდვის საშუალებას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბევრს ლაპარაკობენ შავი ზღვისპირა ახალი ტრანსმაგისტრალის მშენებლობის შესახებ, რომელმაც უნდა გააადვილოს მიმოსვლა კავკასიასა და შუა აზიასთან.

თურქეთი კარგად იყენებდა თავის ტერიტორიაზე გამავალ ნავთობსადენს, რომლითაც ერაყის ნავთობი მიედინებოდა ხმელთაშუა ზღვისაკენ. მაგრამ სპარსეთის ყურეში კრიზისის შემდეგ ერაყისადმი ეკონომიკური ბლოკადის გამო იგი დაიკეტა და დღემდე უმოქმედოდაა. შეერთებულმა შტატებმა ანკარას კონპენსაციის სახით გადაუხადა 1 მლრდ. ამერიკული დოლარი, რაც მხოლოდ ერთი წლის შემოსავალი იყო. თურქეთმა ამ ომით დიდად იზარალა, და ამიტომ ყოველთვის გამოდის ერაყისადმი ეკონომიკური სანქციების შემსუბუქების მოთხოვნით.

თურქეთისთვის უფრო ხელსაყრელი კონპენსაცია იქნება ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის პერსპექტივა, რითაც უნდა გადაიქაჩოს აზერბაიჯანული ნავთობი დასავლეთისკენ და რომელსაც შეერთებული შტატებიც უჭერს მხარს(7)

დასკვნა

ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, გეოპოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით ხდება ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკის შემუშავება. რაც უფრო მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობა გააჩნია ქვეყანას, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება მისი წონა დიდ მსოფლიო პოლიტიკაში. ასეთ ქვეყანას ანგარიშს უწევენ რეგიონშიც და მთელ მსოფლიოშიც.

როგორც ზემოთ დავინახეთ, თურქეთის გეოპოლიტიკური მიკრო, მეზო და მაკრომდებარეობა მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თურქეთის არსებობის, რაობის, ისტორიის, დღევანდელი და მომავლის გაგების საქმეში ერთ-ერთ უმთავრეს როლს სწორედ მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა თამაშობს.

შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

ა) დიდი იყო და არის თურქეთის

გეოპოლიტიკური მდებარეობის გავლენა ამ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე.

ბ) „ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ დასავლეთისთვის თურქეთის, როგორც მოკავშირე ქვეყნის მნიშვნელობა გარკვეულწილად შეიცვალა, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ თურქეთმა დაკარგა თავისი გეოპოლიტიკური ფასი.

გ) მიუხედავად უკანასკნელ ხანს ნაწილობრივ ტრანსპფორმირებული თურქეთის გეოპოლიტიკური მდებარეობისა, იგი მაინც დიდ როლს ითამაშებს ანკარის ხვალისდელი დღის განსაზღვრის საკითხში.(7)

შეიარაღებული ძალები

თურქეთის შეიარაღებული ძალები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისი მოვალეობაა რესპუბლიკის დაცვა შიდა და გარე საშიშროებისაგან. სამხედროები, ერთის მხრივ, იცავენ რა ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, ებრძვიან ტერორისტებს და მეორეს მხრივ წარმოადგენენ რესპუბლიკის საერო მმართველობის ფორმის უერთგულეს დამცველებს.

შეიარაღებული ძალები შედგება სამხედრო-სახმელეთო, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალებისაგან და ჟანდარმერიისაგან. მათი საერთო რაოდენობა დაახლოებით 760 ათასი კაცია.(98)

გენშტაბს ხელმძღვანელობს არმიის გენერალი ჰუსეინ ქივრიქოღლუ. სამხედრო-სახმელეთო ძალები (523 ათასი კაცი, მეთაური არმიის გენერალი ათილა ათეში) შედგება ოთხი არმიისაგან, რომელთა შტაბებიც განლაგებულია სტამბოლში, მალათიაში, ერზინჯანსა და იზმირში.

თურქეთის სახმელეთო ძალები აერთიანებენ ყველა ძირითადი სახის ჯარებს: ქვეითი, ჯავშანსატანკო, არტილერია, სამხედრო ავიაცია, სპეცდანიშნულების, კავშირგაბმულობისა და შინაგანი ჯარები.

სამხედრო-საჰაერო ძალების (57 ათასი კაცი, მეთაური არმიის გენერალი ილჰან ქილიჩი) I და II ტაქტიკური საჰაერო ძალების ხელმძღვანელობა იმყოფება შესაბამისად ესქიშეჰირსა და კაისერში.

სამხედრო-საზღვაო ძალებში (55 ათ. კაცი, მეთაური ფლოტის ადმირალი სალიმ დერვიშოღლუ) შედის ჩრდილოეთისა და სამხრეთის საზღვაო სივრცეების სამმართველოები, რომელთა შტაბები შესაბამისად განლაგებულია სტამბოლსა და იზმირში.

შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შედის ჟანდარმერიაც (125 ათ. კაცი, მეთაური არმიის გენერალი რასიმ ბეთირი).(66)

მშვიდობიანობის პერიოდში ჯარების დაჯგუფება შეესაბამება ნატოსა და თურქეთის გეგმის მოთხოვნებს ამ რეგიონში შესაძლო სამხედრო მოქმედებების შემთხვევაში.

თურქეთში თვითონ აწარმოებენ იარაღის ნაწილს, ნაწილს კი უცხოეთში (ძირითადად დასავლეთში) იძენენ.

ანკარას ჰყავს ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯარი ნატოში. ქვეყნის ყველა მოქალაქე მამაკაცი გადის სამხედრო სამსახურს.

სახმელეთო ჯარების მშენებლობა ხორციელდება მათი რეორგანიზაციისა და მოდერნიზაციის გეგმის მიხედვით მომავალი 10 წლის განმავლობაში. რეორგანიზაციისა და მოდერნიზაციის ძირითადი მიზანია მობილურობის გაზრდა.

მიმდინარეობს სახმელეთო ჯარების დივიზიურ-პოლკური სტრუქტურულიდან ბრიგადულ-ბატალიონურ ორგანიზაციულ-საშტატო სტრუქტურაზე გადაყვანის პროგრამის რეალიზაცია. ყველა სავლელე საჯარისო ფორმირებაში რეორგანიზაცია მიდის დივიზიათა დაშლისა და მათ ბაზაზე ქვეითი, მექანიზირებული და ჯავშანსატანკო ბრიგადების შექმნის გზით. მომავალში, შეიარაღებაში საკმარისი რაოდენობის ტანკებისა და არტილერიის მიღების შემთხვევაში, ყველა ქვეითი ბრიგადა რეორგანიზებული იქნება მექანიზირებული ბრიგადად. თურქეთის სარდლობის აზრით, ახალი სტრუქტურა აიოლებს მართვას, საომარი მოქმედებების დროს გაზრდის ჯარების გამოყენების მანევრირებასა და ეფექტურობას მთიან და ძნელად მისადგომ რაიონებში. (8)

ეკონომიკის ზოგადი დახასიათება

თურქეთი შედის მსოფლიოში ეკონომიკურად ყველაზე დინამიურად განვითარებად ქვეყანათა ათეულში. ასეთ დასკვნამდე ხანგრძლივი და დაწვრილებითი გამოკვლევების შემდეგ მივიდა აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტი.

ეს დასტურდება ოფიციალური სტატისტიკითაც. 1995 წლის ეკონომიკური ზრდის ტემპის მაჩვენებელია 10% შეადგინა.

წინასწარი ანალიზი გვიჩვენებს, რომ თურქეთი ორიენტაციას იღებს მრეწველობის განვითარებაზე. ამ სფეროში ზრდის ტემპის მაჩვენებელი 1995 წელს 17,9% იყო. (89)

თურქეთი აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა. ხშირად იდგა სერიოზული ეკონომიკური პრობლემების წინაშე. სიტუაცია უკეთესობისაკენ შეიცვალა ოზალის რეფორმების შემდეგ. თუმცა პრობლემები კვლავ მრავლადაა: თურქეთს დეფიციტი აქვს საგარეო ვაჭრობაში, საგადაამხდლო ბალანსში, სახელმწიფო ბიუჯეტში. ინფლაციამ 1997 წელს 100 პროცენტი შეადგინა, საგარეო ვალი 81 მილიარდი აშშ დოლარია.

თურქი ეკონომისტების უმრავლესობის აზრით, 1991-95 წლების მთავრობების უმთავრესი დანაშაული სტრუქტურული რეფორმების გაუტარებლობა იყო.

ანკარამ მიაღწია ევროპის საბაჟო კავშირში გაერთიანებას, მაგრამ თუ მას ამ კავშირის მოთხოვნების შესრულება სურს, აღარ უნდა გადადოს სტაბილიზაციის გეგმის განხორციელება. ეს კი მას დიდ სიძნელებებს უქადის. ამიტომაც ევროპის საბაჟო კავშირთან შეერთებას თავის დროზე ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. მისი მომხრეებიც კი აღიარებენ, რომ საბაჟო კავშირთან კონტაქტი თურქეთისთვის გაცილებით ნაკლებ ხელსაყრელი იქნება, ვიდრე ევროპელი პარტნიორებისათვის. ამ შეერთების დადებითი მხარე კი, ალბათ, ის არის, რომ თურქული კანონები შესაბამისობაში მოვა ევროკავშირის კანონმდებლობასთან, რაც კერძო სექტორს მრავალ დარგში დასავლეთ ევროპასთან კოოპერაციისკენ გაუხსნის გზას. (8,17)

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის მთავარი დარგია მინათმოქმედება, რომელიც სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულების 2/3-ს იძლევა. სათესი ფართობის დაახლოებით 80% უჭირავს მარცვლელ კულტურებს. ძირითადად — ხორბალსა და ქერს, რომლებიც მოჰყავთ უმთავრესად ცენტრალურ ანატოლიაში. 1995 წელს მოიყვანს (მლნ.ტ.): ხორბალი — 18, შაქრის ჭარხალი — 11,7, ქერი — 7,5, პამიდორი — 7,2, ნესვი და საზამთრო — 5,4, კარტოფილი — 4,8, ყურძენი — 3,6 ხახვი — 2,9, ვაშლი — 2,1, სიმინდი — 1,9. მოჰყავთ აგრეთვე თამბაქო, ჩაი, თხილი, ლეღვი, ზეთისხილი, ბამბა და სხვ.

მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოება (1000 ტონა)

პროდუქციის სახეობა	1993	1994	1995
ხორბალი	21000	17500	18000
ვაშლი	235	195	240
ქერი	7500	7000	7500
მცხობი	245	230	250
სიმინდი	2500	1850	1900
ფეტვი	4	4	4
ბრინჯი	225	200	250
კარტოფილი	4650	4350	4750
ხახვი	1650	1800	2850
ნიორი	65	65	78
პამიდორი	6150	6350	7150
კომბოსტო	697	699	676
ნესვი და საზამთრო	4900	5400	5400
ვაშლი	2080	2095	2050
ყურძენი	3700	3450	3550
მხაბლი	420	410	405
თხილი	305	490	440
ლეღვი	45	46	50
კაქალი	115	120	105
ხუში	48	47	76
წაბლი	80	76	900
ფორთოხალი	840	470	420
ლომონი	440	430	430
მანდარინი	405	375	340
აჭამი	370	204	180
ქლიაფი	200	400	240
ჭვრელი	230	250	260
ალუბალი	245	227	187
თამბაქო	324	628	837
ბამბა	602	12944	11680
შაქრის ჭარხალი	15563	740	900
მწვანე ჭირის მარცვალი	815	1400	630
ზეთის ხილი	550	168	52
ზეთისხილის ზეთი	50	654	524
ჩაი	579		

მნიშვნელობით მეორე დარგია. 1994 წელს თურქეთში იყო (მლნ. სული) ცხვარი — 35,7, მსხვილფეხა რქოსანი საქონელი — 11,9, თხა — 9,6.

მისდევნენ აგრეთვე თევზჭერას. ამზადებენ ხე-ტყეს (ტყეს უჭირავს 20 მლნ. ჰა, ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 25%).(52)

შინაური საქონელი (1000 თავი)

	1993	1994	1995
რქიანი საქონელი	11951	11910	11901
კამჭი	352	316	305
აქლემი	2	2	2
ლორი	12	9	8
ცხვარი	39416	37541	35646
თხა	10454	10133	9564
ცხენი	483	450	437
ჯორი	181	172	169
სახედარი	895	841	809

მრეწველობა

თურქეთში მოიპოვებენ ქვანახშირს (ზონგულდაქი), მურანახშირს (ქუთაჰია და მანისა) და მცირე რაოდენობით ნავთობს (ბათმანი და სიირთი), იღებენ ქრომიტებს, ბორატებს, სტიბიუმის, რკინის, ვოლფრამის, სპილენძის,

მრეწველობის პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოება (1000 ტონა)

პროდუქციის დასახელება	1993	1994	1995
ქალაქი	370	446	512
ბამბის ტოვოლები	44	35	32
რაქი (ათ. ლიტრი)	67330	64066	66549
ლუდი (ათ. ლიტრი)	552406	601909	672965
სიგარეტი	76	85	81
სიგარეტი	31311	29483	33153
მექარი	1743	727	1290
ელექტროენერჯია (მლნ. კვსთ)	33963	30575	35541
ქვანახშირი	2722	2917	2248
სპილენძი	33	30	24
რკინის მადანი	არ არის	30	არ არის
ნავთობპროდუქტები	ინფორმაცია	6679	ინფორმაცია
	3892	3686	3514

მანგანუმის, პოლიმეტალების და ვერცხლისწყლის მადანს, ბოქსიტებს, გოგირდს.

ძირითადი სავაჭრო პარტნიორები (1000000 ა.შ.შ. დოლარი, გარდა სამხედრო აღჭურვილობისა)

იმპორტი

ქვეყანა	1993	1994	1995
ავსტრია	319	211	294
ბელგია-ლუქსემბურგი	683	532	912
ჩინეთი	255	258	არ არის მონაცემები
საფრანგეთი	1952	1458	1996
გერმანია	4533	3646	5548
ირანი	667	692	689
იტალია	2558	2009	3193
იაპონია	1621	968	1400
სამხ. კორეა	621	289	566
ლიბია	131	320	385
ნიდერლანდები	870	740	1084
რუმინეთი	301	229	368
რუსეთი	1542	1045	2082
საუდის არაბეთი	1500	1229	1385
ესპანეთი	431	380	591
შვედეთი	428	283	518
შვეიცარია	651	473	816
უკრაინა	473	535	856
გაერთ. არაბული საემიროები	314	339	არ არის მონაცემები
დიდი ბრიტანეთი	1546	1170	1830
ა.შ.შ.	3351	2430	3724
სულ:	29428	23270	35709

ქვეყანაში დამუშავებითი მრეწველობის მთავარი დარგებია კვების, საფეიქრო, საშენ მასალათა და ქიმიური მრეწველობა.

თურქეთში არის მცენარეული ზეთის, ბოსტნეულის, თევზის საკონსერვო, ღვინისა და არყის ქარხნები, თამბაქოსა და ქალაქის ფაბრიკები და ა.შ.(8,18)

ტრანსპორტი

1994 წელს ავტოპარკში იყო 3028 ათასი მსუბუქი ავტომობილი. 688 ათ. — სატვირთო, 88 ათ. — ავტობუსი. მთავარი ნავსადგურებია სტამბოლი, იზმირი, მერსინი, ისქენდერუნი, სამსუნი.(8,18)

ტურიზმი

ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა ტურისტთა რიცხვი თურქეთში. თუ 1995 წელს ქვეყანას ეწვია 7,7 მლნ. უცხოელი, 1997 წელს ამ მაჩვენებელმა 9,7 მლნ. შეადგინა. ტურიზმიდან ყოველწლიური შემოსავალი 7,5 მილიარდი აშშ დოლარია. ტურისტები ჩამოდიან გერმანიიდან (1,7 მლნ.), ყოფილი სსრკ-დან (1,4 მლნ.), დიდი ბრიტანეთიდან (0,7 მლნ.), ირანიდან (0,4 მლნ.), აშშ-დან (0,3 მლნ.), საფრანგეთიდან (0,3 მლნ.) და ა.შ. (8,18)

საგარეო ეკონომიკური კავშირები

1995 წელს იმპორტმა შეადინა 35 709 მლნ., ექსპორტმა — 21626 მლნ. აშშ დოლარი.

თურქეთის ძირითადი სავაჭრო პარტნიორებია: გერმანია, აშშ, იტალია, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იაპონია, საუდის არაბეთი და სხვ.

ქვეყანა	1993	1994	1995
ალჟირი	82	238	არ არის მონაცემები
ავსტრია	227	249	275
ბელგია-ლუქსემბურგი	294	371	452
ჩინეთი	512	355	არ არის მონაცემები
ეგვიპტე	191	195	246
საფრანგეთი	771	851	1033
გერმანია	3654	3934	5036
ჰონკონგი	118	236	არ არის მონაცემები
ირანი	290	250	268
ურაყი	160	141	123
იტალია	750	1034	1457
იაპონია	158	187	180
ლიბია	246	179	238
ნიდერლანდები	517	621	737
პოლონეთი	235	249	273
რუსეთი	505	820	1238
საუდის არაბეთი	652	609	470
სინგაპური	121	185	არ არის მონაცემები
ესპანეთი	195	232	354
შვეიცარია	216	239	238
სირია	239	254	272
გაერთ. არაბული საემიროები	129	185	არ არის მონაცემები
დიდი ბრიტანეთი	835	889	1136
ა.შ.შ.	986	1520	1514
სულ:	15344	18106	21636

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ყოფილი საბჭოეთის ბაზრის ათვისება.(8,18)

GAP (სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის პროექტი)

საგარეო ვაჭრობა თურქეთსა და დ.ს.თ.-ს წევრ ქვეყნებს შორის 1995 წელს (ა.შ.შ. დოლარებში)

ქვეყანა	იმპორტი	ექსპორტი
რუსეთი	2.082.352.315	1.238.225.589
ბელარუსი	16.619.930	2.673.668
უკრაინა	856.340.119	198.534.238
მოლდოვა	15.615.913	7.269.877
აზერბაიჯანი	21.777.088	161.341.553
საქართველო	50.156.796	68.125.852
ყაზახეთი	86.631.493	150.774.837
ყირგიზეთი	5.512.751	38.156.446
უზბეკეთი	61.528.699	138.541.654
თურქმენეთი	11.825.799	56.290.479
ტაჯიკეთი	6.342.337	6.085.684

თურქეთში დიდი ყურადღება ექცევა GAP - ს(სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის პროექტი), რომელმაც უნდა გადაჭრას ქვეყნის წინაშე არსებული მრავალი პრობლემა.(8)

ბანკები

თურქეთში საკმაოდ განვითარებული საბანკო სისტემაა. სახელმწიფო კომერციული ბანკებია:

1. Etibank
2. Sümerbank
3. T.C.Ziraat Bankası
4. Türkiye Emlak Bankası
5. Türkiye Halk Bankası
6. Türkiye Vakıflar Bankası

კერძო კომერციული ბანკებია:

1. Adabank
2. Akbank
3. Alternatif Bank
4. Bank Experess
5. Demirbank
6. Derbank
7. Egebank
8. Esbank
9. Finansbank
10. Garanti Yatırım ve Ticaret Bankası
11. İktisat Bankası
12. Interbank
13. Kentbank
14. Koç Bank
15. Milli Aydın Bankası
16. Pamukbank
17. Şekerbank
18. Tekstil Bankası
19. Toprakbank
20. Türk Boston Bank
21. Dışbank
22. Türk Ekonomi Bankası
23. Türk Ticaret Bankası
24. Türkiye Garanti B ankası
25. Türkiye İmar Bankası
26. Türkiye İş Bankası
27. Türkiye Tütüncüler Bankası
28. Yapı Kredi Bankası
29. Yurtbank (76)

თავისუფალი ეკონომიკური ზონები
თურქეთში 1985 წლის 6 ივნისს ძალაში შევიდა

კანონი „თავისუფალი ზონების შესახებ“ № 3218. ამ დღის შემდეგ წარმატებით დაიწყო საქმიანობა თურქეთის ექვსმა თავისუფალმა ზონამ: ანთალიაში, მერსინში, იზმირში — ეგეოსის რეგიონში, სტამბოლში — ათათურქის სახელობის აეროპორტში, ტრაპიზონსა და სტამბოლში. შემდეგში ზუსტად განისაზღვრა ადანა-იუმურთალიქის, სტამბოლ-თრაკიის, ზონგულდაქ-ფილუროსის, მარდინის, აღმოსავლეთ ანატოლიის თავისუფალი ზონებისა და სტამბოლის ათათურქის სახელობის აეროპორტის თავისუფალი ზონის საზღვაო საბანკო ცენტრის ადგილმდებარეობა და საზღვრები.

1994 წლის ოქტომბრის ბოლოსთვის ამ 6 თავისუფალ ზონაში ვაჭრობის საერთო მოცულობამ გადააჭარბა 4,3 მლრდ. აშშ დოლარს, რაც 1,586 მილიარდით მეტი გამოდგა 1993 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ის გაიზარდა თითქმის 99%-ით.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების ჩამოყალიბება და განვითარება მიმდინარეობდა

აღმოსავლეთისა და ევროპის რეგიონებიდან, არამედ აღმოსავლეთ ევროპის, დსთ-ს და ცენტრალური აზიის ახლადწარმოქმნილ რესპუბლიკებთან, ისევე როგორც თურქეთის შიდა 63 მილიონიან ბაზრის წარმომადგენლებთან. თურქეთის თავისუფალი ზონები მოიცავს 370 ჰექტარ ტერიტორიას. ინვესტორები თავისუფალნი არიან საკუთარი სახსრების განაწილებაში, ზონებში მისაღები რენტის საფასურად შეიძლება სასამსახურო ოფისის დაქირავება.

თურქეთის თავისუფალ ზონებში ყველა სახის სამრეწველო (სტამბოლის ათათურქის სახელობის აეროპორტისა და ტრაპიზონის თავისუფალი ზონების გარდა), კომერციული და სასერვისო მომსახურების საქმიანობა ხორციელდება, ისევე როგორც მანუფაქტურული, შენახვის, საერთო სავაჭრო, საბანკო და სადაზღვევო საქმიანობანი.

პროდუქციის ძირითადი სახეებია:

— ელექტრონული მოწყობილობანი და დამატებანი, ოპტიკა;

— მზა ტანსაცმელი, ტყავის ქურთუკები და

თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში წლიური ვაჭრობის მოცულობა (ა.შ.შ. დოლარებში)

ზონები	1988	1989	1990	1991	1992	1993	1994
ანთალია	1,320,972	34,683,069	7,910,060	14,781,448	30,428,003	62,750,205	63,991,089
მერსინი	152,447,119	117,782,340	272,532,928	420,353,872	414,641,453	543,148,106	791,567,455
სტამბოლი	-	-	1,583,722	27,947,682	121,788,623	173,741,886	324,506,643
ეგეოსი	-	-	82,200	28,124,162	55,831,538	227,653,424	370,930,190
ტრაპიზონი	-	-	-	-	4,878,396	13,616,072	35,224,197
სტამბოლის ტყავის ზონა	-	-	-	-	-	-	-
ჯამი	153,768,091	152,465,409	282,108,910	491,207,164	627,568,013	1,020,909,693	1,586,219,574

„BULD-OPARATE AND TRANSFER“-ის ფარგლებში. ამ მოდელის მიხედვით, ანთალიისა და მერსინის თავისუფალ ზონებში თურქეთის მთავრობა უზრუნველყოფს ტერიტორიის გამოყოფას და პასუხისმგებლობას იღებს ზონებში სუპერსტრუქტურების განვითარებაზე. ასევე ამ მოდელის მიხედვით ეგეოსის, სტამბოლ-თრაკიის, ტრაპიზონის, ადანა-იუმურთალიქის და სტამბოლის ზონები ვითარდება კერძო სექტორის მიერ. მასში მიმდინარე ოპერაციები, რომლებიც ხორციელდება კერძო მესაკუთრეების ან მესაკუთრე-დამფუძნებლების მიერ, რეგულირდება ქვეყნის მინისტრთა საბჭოს მიერ გამოცემული განკარგულებების საფუძველზე.

ეგეოსის, ადანა-იუმურთალიქისა და ტრაპიზონის თავისუფალ ზონებში ჩამოყალიბებული და მოქმედი კერძო კომპანიების სააქციო კაპიტალში დიდია უცხოური კაპიტალის წილი. ამ ზონებში მოქმედ კომპანიებში ეს მაჩვენებელი შესაბამისად შეადგენს 96.4%, 25% და 94%-ს.

თურქეთს თავისი სტრატეგიული მდებარეობა აძლევს ბრწყინვალე შესაძლებლობას ურთიერთობები ჰქონდეს არა მარტო მის ტრადიციულ სავაჭრო პარტნიორებთან ახლო

საფეიქრო ნაწარმი;

— მზა საკვები პროდუქტები;

— ქიმიური პროდუქცია;

— საავიაციო და მანქანათმშენებლობის მრეწველობის პროდუქციის დამატებითი და სათადარიგო ნაწილები.

თურქეთის თავისუფალ ზონებში მოქმედი პრივილეგიები:

1) თურქეთის თავისუფალი ზონები გადასახადისაგან თავისუფალი ზონებია. სარგებელი, რომელიც მიიღება ამ ზონებში, თავისუფლდება ყველა სახის გადასახადისაგან, მათ შორის საშემოსავლო, კორპორაციული და დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან.

2) თავისუფალ ზონებში მიღებული სარგებელი და მოგება შეიძლება გადაიქაჩოს ნებისმიერ ქვეყანაში, მათ შორის თურქეთშიც, ყოველგვარი გადასახადების, საბაჟოების გადახდის გარეშე და ის თავისუფლდება ყოველგვარი წინასწარი თანხმობის გარეშე.

3) მოზიდული უცხოური ინვესტიციების ნილობრივ შეზღუდვებზე არავითარი ლიმიტი არ არსებობს.

4) მოქმედი ლიცენზირების პერიოდი შეადგენს მაქსიმუმ 99 წელს.

5) სხვა თავისუფალი ზონებისაგან განსხვავებით, საშინაო ვაჭრობა დაშვებულია თურქეთის ეკონომიკურ ზონებში.

6) ზონებში გამოყენებული ვალუტის კონვერტირება თურქეთის ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილ კვოტებში მიმდინარეობს.

7) თითოეული ზონის ამოქმედების პერიოდიდან 10 წლის განმავლობაში იკრძალება ყოველგვარი გაფიცვა და გამოსვლა.

8) ზონებში მოღვაწე მენარმეებისათვის ხელმისაწვდომია ხელსაყრელ პირობებში მიწის იჯარის ტარიფები და გრძელვადიანი პერიოდით ტერიტორიების დაგირავების შესაძლებლობანი.

9) თავისუფალ ზონებში თავმოყრილია კვალიფიციური და არაკვალიფიციური სამუშაო ძალა, შედარებით დაბალი ანაზღაურებით.

10) თურქეთის გეოგრაფიული მდებარეობა იძლევა უნიკალურ პირობებს თავისუფალი ზონების ფუნქციონირებისათვის.

11) თურქეთის თავისუფალი ზონები მდებარეობს ხმელთაშუა ზღვის, ეგეოსისა და შავი ზღვის მთავარ პორტებთან ახლოს. დამატებით, ზონებში თავისუფლად შეიძლება მოხვერა საერთაშორისო აეროპორტებიდან და საავტომობილო მაგისტრალებიდან.

12) ზონებში არ არსებობს არავითარ პროცედურალური შეზღუდვები, რომლებიც ეხება საქონლის ფასის, ხარისხისა და სტანდარტიზაციის საკითხებს.

13) თურქეთის თავისუფალ ზონებში არ მოქმედებს ის მუხლები (შემდეგი საკანონმდებლო აქტებიდან), როგორებიცაა: კანონები „მუნიციპალიტეტის“, „უცხოური ინვესტიციების“, „უცხოური ინვესტიციებისა და ნახალისების“, „საპასპორტო რეჟიმის“ შესახებ და ა.შ., რომლებიც ეწინააღმდეგება თავისუფალ ზონებში მოქმედ პირობებს.

თურქეთის რამდენიმე თავისუფალი ზონის მოკლე მიმოხილვა:

ეგეოსის თავისუფალი ზონა. ამ ზონას გააჩნია საერთაშორისო დონის შესაბამისი საექსპორტო ინფრასტრუქტურა. რეგიონში პირველი და ქვეყანაში მესამე ყველაზე დიდი ქალაქია იზმირი, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს საკმაოდ დიდ ინდუსტრიულ, სავაჭრო და კულტურულ ცენტრს. თავისი ეკონომიკური განვითარებით ის მეორე ადგილზეა სტამბოლის შემდეგ. ქალაქში მოხვედრა იოლია სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტით. თავისუფალი ეკონომიკური ზონა მდებარეობს ქ. იზმირიდან 4 კმ-ში. ეგეოსის ეკონომიკური ზონა წარმოადგენს თურქეთში პირველ სავაჭრო ცენტრს, რომელიც ვითარდება და იმართება კერძო კომპანიების მიერ. ზონას უკავია 2,2 კმ², სადაც განთავსებულია თანამედროვე სამრეწველო მონყობილობანი, საოფისე და სავაჭრო მიზნების საჭიროებისათვის გამოსაყენებელი შენობები. ეს ზონა დაარსდა და

ფუნქციონირებს „ESBAS-EGE“ კომპანიის მიერ, რომელიც არის ზონის როგორც დამფუძნებელი, ისე ოპერატორი ფორმა, სადაც განთავსებულია უცხოური კაპიტალის 96,4%.

სტამბოლის ათათურქის სახელობის აეროპორტის თავისუფალი ზონა. ზონა მდებარეობს ათათურქის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის მახლობლად და უკავია სახელმწიფოებრივი ტერიტორიის 10000 მ². მის ორ სექტორში არის 87 საოფისე ადგილი. მას დღემდე არ ჰყავს ოპერატორი. ფორმა ზონას განაგებს მისი დირექტორატი.

სტამბოლის ტყავის თავისუფალი ზონა. ამ ზონაში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ტყავის მრეწველობის განვითარებაზე, თუმცა, სხვა სახის სასაქონლო ოპერაციები არ არის აკრძალული. მასში მონაწილეობის მისაღებად განცხადებები საოპერაციო ლიცენზიებისათვის მოქმედებს 1994 წლიდან. ზონა მოიცავს 88000 მ²-ს, რომლის დამფუძნებელი და ოპერატორი ფორმაა „BESBAS“-ის კომპანია.

ტრაპიზონის თავისუფალი ზონა. ტრაპიზონი მდებარეობს ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით, შავი ზღვის სანაპიროზე. მას გააჩნია ყველაზე თანამედროვე საზღვაო პორტი შავ ზღვაზე. მისი ზონა გახდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის (მათ შორის საქართველო-სთვის) მძლავრი სავაჭრო ცენტრი. ტრაპიზონის ზონას გააჩნია დიდი მოცულობისა და იოლად გამოყენებადი შესანახი ადგილები. ზონა მოიცავს საპორტო ტერიტორიის 44 400 მ²-ს და უზრუნველყოფს 5500 მ² ტვირთის შესანახ ფართობს. მას გააჩნია ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა საავტომობილო მაგისტრალის, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის მიდგომის მხრივ. ზონის დამფუძნებელი ოპერატორია თურქული-იაპონური ერთობლივი კომპანია „TRANSBAS“, რომლის საწესდებო კაპიტალის 94% უცხოურ დაბანდებაზე მოდის.(29)

TİKA (თურქეთის თანამშრომლობისა და ალორძინების სააგენტო)

TİKA (თურქეთის თანამშრომლობისა და ალორძინების სააგენტო) სამთავრობო ორგანიზაციაა. იგი დაფუძნდა 1992 წელს.

ორგანიზაციის მიზანი თურქულენოვანი და მეზობელი განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების განწევაა, რომელიც ხორციელდება ეკონომიკის, ვაჭრობის, ტექნიკის, კულტურისა და განათლების სფეროებში თანამშრომლობის გზით. თავის საქმიანობას ახორციელებს შუა აზიისა და კავკასიის რესპუბლიკებში, შავი ზღვის აუზისა და ბალკანეთის რეგიონში, შუა და აღმოსავლეთ ევროპაში, აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეში, ახლო და შუა

აღმოსავლეთში, აფრიკაში, ამერიკაში, შორეულ
აღმოსავლეთსა და აზიაში.

TİKA -ს დაფინანსების წყარო სახელმწიფო
ბიუჯეტია.

მის საქმიანობას ხელმძღვანელობს
პრეზიდენტი თუგაი ოზჩერი.(73)

ორგანიზაციას აქვს შემდეგი განყოფილებები:

— პროექტებისა და პროგრამების;

— სოციალური, საგანმანათლებლო და
კულტურული თანამშრომლობის;

— ეკონომიკური და ტექნიკური
თანამშრომლობის;

— საბანკო და საფინანსო საქმეების;

— პოლიტიკური, ადმინისტრაციული და
ფინანსური საქმიანობის;

— საინფორმაციო სისტემების;

— საზოგადოებასთან ურთიერთობის.

TİKA -ს მუშაობის ფორმაა ტექნიკური
დახმარება, კონსულტაციები, კრედიტის მოპოვება
პროექტების ფინანსირებისათვის.(79)

მას წარმომადგენლობები აქვს
აზერბაიჯანში, საქართველოში, ყაზახეთში,
ყირგიზეთში, უზბეკეთში, თურქმენეთში,
ტაჯიკეთში, მოლდოვაში, უკრაინაში,
მაკედონიაში, ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ
რესპუბლიკაში, ალბანეთსა და ბოსნია —
ჰერცეგოვინაში.(74)

TİKA აქტიურად მოღვაწეობს საქართველოში.
აქ მან ფუნქციონირება დაიწყო 1994 წლის
სექტემბერში საქართველოს საგარეო საქმეთა
სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულების
საფუძველზე.

TİKA -ს ეგიდით მოხდა სპეციალისტებისაგან
შემდგარი დელეგაციების გაცვლა (1994-95 წ.წ.)
ფოთი-ბათუმი-ხოფა-რიზეს ერთობლივი
თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნასთან
დაკავშირებით გამოკვლევების ჩასატარებლად.
აგრეთვე TİKA -ს ეგიდით გამოიგზავნა
ექსპერტები ყარსი — ახალქალაქის სარკინიგზო
მაგისტრალის პროექტის ტექნიკურ-
ეკონომიკური მახასიათებლების მოსამზადებლად.
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
მიერ შეთავაზებული პროექტების მიხედვით
გამოიგზავნა ექსპერტები საქართველოში
მეაბრეშუმეობის განვითარების, თბილისის
კერამიკული კომბინატის მოდერნიზაციისა და
რეკონსტრუქციის და სამტრედიის ხე-ტყის
გადამამუშავებელი ქარხნის ტექნიკური
რეკონსტრუქციის შესახებ პროექტების
მოსამზადებლად.

მოენყო სასწავლო კურსები თურქეთში
საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის
პერსონალისათვის (1995-96 წ.წ.),
ელექტროინჟინრების კვალიფიკაციის
ასამალლებელი კურსები (1995 წ.)

1995 წლის 30-31 მაისს ტრაპიზონში მოენყო
სემინარი, რომელიც მიეძღვნა საქართველოს
ეკონომიკასა და საქართველოში ინვესტირების

შესაძლებლობებს. სემინარში საქართველოს
მხრიდან მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო და
კერძო სექტორის წარმომადგენლებისაგან
შემდგარმა 120 კაციანმა დელეგაციამ. სემინარის
მსვლელობისას გაიმართა შეხვედრები თურქ და
ქართველ ბიზნესმენებს შორის.

TİKA -მ გამოსცა საქართველოს საგარეო
ეკონომიკური ურთიერთობების კომიტეტის მიერ
ინგლისურ ენაზე მომზადებული წიგნი „მეზური
უცხოელი ინვესტორებისათვის“.

ჭუმანიტარული დახმარების სახით
საქართველოში ლტოლვილებისათვის
გამოიგზავნა 900 ქვანახშირის ლუმელი, აგრეთვე
3 პურისსაცხობი, თბილისის 31-ესაშუალოსკოლას
გადაეცა ტელევიზორი, ვიდეო-მაგნიტოფონი და
საბავშვო წიგნები.

საქართველოსთან მიმართებაში
ორგანიზაციის უახლესი მომავლის გეგმები და
პროგრამები შემდეგნაირად გამოიყურება:
სასწავლო პროგრამების განხორციელება
(უმალესი დიპლომატიური კურსები და სხვ.), ორი
ქვეყნის ტელევიზიებს შორის დოკუმენტური
ფილმების გაცვლა-გამოცვლა, თურქული
ფილმების რეტროსპექტული ჩვენება,
საქართველოს ეროვნულ ან უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკაში TİKA -ს საერთაშორისო
საბიბლიოთეკო კუთხის მოწყობა, იმერეთის
რეგიონის აღორძინების პროექტი და მცირე
საწარმოთა კომპლექსის შექმნა.

მას-მედია

ტელევიზია

თურქეთში ტელეგადაცემები 1968 წლიდან
არის. ფერადი ტელემაუნყებლობა — 1984
წლიდან. 1993 წლიდან დიდმა ეროვნულმა კრებამ
გააუქმა სახელმწიფო მონოპოლია რადიოსა და
ტელევიზიაზე. მას შემდეგ დაფუძნდა მრავალი
კერძო ტელესადგური.(8)

ქვეყანაში არის 22 ეროვნული ტელევიზია,
რომელთა გადაცემების ტრანსლაციაც მთელი
ქვეყნის ტერიტორიაზე ხდება. აქედან 16 კერძოა, 6
— სახელმწიფო (TRT — თურქეთის ტელე-რადიო
კორპორაცია).

ოთხ ძირითად ტელესადგურს (Kanal D, atv, Show
TV და Interstar) უკავია სამომხმარებლო ბაზრის 70
პროცენტზე მეტი.

ქვეყანაში არის სამი მუსიკალური და
ამდენივე კონსერვატიული მიმართულების
ტელევიზია. მოქმედა შია ორი ფასიანი არხი (CINE
5 და MAXI TV).

თურქეთში არის 15 რეგიონალური და 261
ადგილობრივი სატელევიზიო სადგური.

ძირითადი ტელევიზიების მაყურებელთა
რაოდენობა:

atv — 19%

Show TV — 18%

Kanal D — 18%
 Interstar — 16%
 TGRT — 5%
 Kanal 6 — 3%
 Kral — 1%
 Samanyolu — 1%
 დანარჩენები — 19%(93)

თურქეთში მოქმედებს 108 რეგიონალური და 1200 ადგილობრივი რადიოსადგური.(90)
 საზღვარგარეთ 18 უცხო ენაზე გადაცემებს აწარმოებს „TRT-Türkiye'nin Sesi Radyosu“ („თურქეთის ხმა“). ქართულ ენაზე გადაცემები დაიწყო 1998 წლის 9 მარტს (მისი მოსმენა შეიძლება თურქეთის დროით 19⁰⁰-დან 19³⁰-მდე, 49 მეტრ, 5960 კილოჰერც სიხშირის ტალღებზე).

რადიო

მას-მედიის მსხვილი მფლობელები (93)

მფლობელები	Aks Yayıncılık ეროლ აქსოი	Doğan Media Group აღინ დოღანი	Medi Group დინ ბილგინი	Prime Media უზანების ოჯახი	İhlas Group ენვერ ორენი
სატელევიზიო სადგურები	Show TV CINE 5 MAXI TV	Kanal D	atv	Interstar Kral Tv	TGRT
რადიოსადგურები	Show Radyo Radyo 5	Radyo D Radyo Foreks Hür FM	Kiss FM Radyo Sport	Kral FM Super FM Metro FM Blue FM Joy FM Lokum FM	TGRT FM
გაზეთები	Spor	Hürriyet Group Hürriyet Meydan Son Havadis Gözcü Haftasonu Gazete Pazar	Milliyet Group Milliyet Radikal Posta Fanatik İyi Gazete Pazar Postasi	Sabah Yeni Yüzyıl Ateş Yeni Asır Bugün Taraftar	Türkiye
ჟურნალები	Cine 5	Tempo Ekonomist Elele Auto Show Klips Naturel A.D. Blue Jean Atlas Capital Focus M. Claire House Top Pop Gösteri Istanbul Life Lezzet	Maison Française Votre Beaute Kim Form Sante Paramatik Negatif Hey Girl Yoyo Amica Şirinler Milliyet Sanat County Home Options Fenomen Bebek ve Yaşam	Aktüel Oto Haber Para Gelin Burda Cosmo Viva Harpers Bazaar She &He Sinema Power Esquire Pc Magazine Partner Home Art Top Sante Out Door	İhlas Oto Bilim Teknik Türkiye Çocuk Konfeksiyon Tekstil & Teknik

თურქეთში რადიოგადაცემები 1927 წლიდან არის. სახელმწიფო მონოპოლიის გაუქმების შემდეგ შეიქმნა მრავალი რადიოსადგური. ქვეყანაში 36 ეროვნული რადიოსადგურია. აქედან 5 სახელმწიფოა, დანარჩენი — კერძო.

გაზეთები
 თურქეთში იბეჭდება 27 ეროვნული და 400-ზე მეტი ადგილობრივი გაზეთი. 12 ეროვნული

გაზეთის მფლობელი ჯგუფია Do ğan Media, ექსისა კი — Medi.

ეროვნული გაზეთების საერთო ტირაჟი ყოველდღიურად 4 035 000-ია.

ჟურნალები

1997 წელს თურქეთში იყო 83 ჟურნალი. ჟურნალები ორგვარია: ყოველკვირეული და ყოველთვიური. ყოველთვიურად მათი საერთო ტირაჟი 1 400 000-ია.

საინფორმაციო სააგენტოები

თურქეთის ძირითადი საინფორმაციო სააგენტოები:

- Anadolu Ajansı (A.A) (შექმნა მუსტაფა ქემალ ათათურქმა 1920 წლის 6 აპრილს)
- Ankara Ajansı (ANKA) (შექმნა 1972 წ.)
- Bağımsız Basın Ajansı (BBA) (1982 წ.)
- Ekonomik Basın Ajansı (EBA) (1969 წ.)
- Hürriyet Haber jansı (HHA) (1963 წ.)
- İktisadi Haber Ajansı (İKA) (1954 წ.)
- Magazin ve Aktüel Haberler Ajansı (MAK-AJANS) (1981 წ.)
- Milliyet Haber Ajansı (MİL-HA) (1980 წ.)
- Türkiye Basın Ajansı (TÜBA) (1973 წ.)
- Ulusal Basın Ajansı (UBA) (1979 წ.) (76)

განათლება და მეცნიერება

კანონი საყოველთაო სავალდებულო უფასო დანყებითი განათლების შესახებ თურქეთში არსებობს 1924 წლიდან.

სავალდებულო დანყებითი განათლება 1997 წლიდან რვანლიანია. წერა-კითხვის მცოდნეა მოსახლეობის 82,8%.

1996 წლისათვის თურქეთის 50 669 დანყებით სკოლაში იყო 6,9 მლნ. მოსწავლე და 230 ათასი მასწავლებელი, 7 078 საშუალო სკოლაში — 2,6 მლნ. მოსწავლე და 69 ათასი მასწავლებელი, 1961 ლიცეუმში — 1,3 მლნ. მოსწავლე და 69 ათასი მასწავლებელი.

პროფტექნიკურ განათლებას იღებენ პროფესიულ და ტექნიკურ ლიცეუმებში. 1996 წელს აქსნავლობდა 946 ათასი მოსწავლე.

ქვეყანაში მოქმედებს ვაჭრობისა და ტურიზმის, რელიგიური, აგრეთვე კერძო სექტორის სკოლები და ლიცეუმები.(8)

1996 წელს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდა 1,1 მლნ სტუდენტი, ლექტორთა რაოდენობა 49 ათასია.

თურქეთის უნივერსიტეტებია:

- ადანა: Çukurova Üniversitesi
- აფიონი: Afyon Kocatepe Üniversitesi
- ანკარა: Ankara Üniversitesi
- Bil-kent Üniversitesi
- Gazi Üniversitesi
- Hacettepe Üniversitesi
- Orta Do ğu Teknik Üniversitesi

- ანთალია: Akdeniz Üniversitesi
- აიდინი: Adnan Menderes Üniversitesi
- ბალიქესირი: Balıkesir Üniversitesi
- ბოლუ: Abant İzzet Baysal Üniversitesi
- ბურსა: Uludağ Üniversitesi
- ჩანაკალე: Çanakkale Onsekiz Mart Üniversitesi
- დენიზლი: Pamukkale Üniversitesi
- დიარბექირი: Dicle Üniversitesi
- ედირნე: Trakya Üniversitesi
- ელაზიდი: Fırat Üniversitesi
- ერზურუმი: Atatürk Üniversitesi
- ესქიშეჰირი: Anadolu Üniversitesi
- Osmangazi Üniversitesi

- გაზიანთეფი: Gaziantep Üniversitesi
- ისპარტა: Süleyman Demirel Üniversitesi
- იჩელი: Mersin Üniversitesi
- სტამბოლი: Boğaziçi Üniversitesi
- İstanbul Üniversitesi
- İstanbul Teknik Üniversitesi
- Marmara Üniversitesi
- Mimar Sinan Üniversitesi
- Yıldız Teknik Üniversitesi
- Kadir Has Üniversitesi
- Koç Üniversitesi
- Fatih Üniversitesi

- იზმირი: Dokuz Eylül Üniversitesi
- Ege Üniversitesi
- İzmir Yüksek Teknoloji Enstitüsü
- Mustafa Kemal Üniversitesi
- მათია: Kahramanmaraş Sütçü İmam Üniversitesi
- ყარსი: Kafkas Üniversitesi
- ეისერვი: Erciyes Üniversitesi
- კირიკალე: Kırıkkale Üniversitesi
- კოჯაელი: Kocaeli Üniversitesi
- კონია: Selçuk Üniversitesi
- ქუთაჰია: Dumlupınar Üniversitesi
- მაღათია: İnönü Üniversitesi
- მანისა: Celal Bayar Üniversitesi
- მუღლა: Muğla Üniversitesi
- ნიღდე: Niğde Üniversitesi
- საკარია: Sakarya Üniversitesi
- სამსუნი: Ondokuz Mayıs Üniversitesi
- სივასი: Cumhuriyet Üniversitesi
- შანლიურფა: Harran Üniversitesi
- თოქათი: Gaziosmanpaşa Üniversitesi
- ტრაპიზონი: Karadeniz Teknik Üniversitesi
- ვანი: Yüzüncü Yıl Üniversitesi
- ზონგულდაქი: Zonguldak Karaelmas Üniversitesi

უცხოელები თურქულ ენას სწავლობენ ანკარის უნივერსიტეტთან არსებულ TÖMER -ში (თურქული ენის შემსწავლელი ცენტრი), რომელსაც მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე აქვს 18 ფილიალი.

თურქეთში სამეცნიერო მუშაობის ძირითადი ცენტრებია უნივერსიტეტები. უნივერსიტეტებთან სამეცნიერო კვლევის მიზნით არსებობს სხვადასხვა

ორგანიზაციები. მათ შორისაა თურქეთის ატომური ენერჯის საზოგადოება (TAEK), თურქეთის მეცნიერული და ტექნიკური კვლევის საზოგადოება (TÜB İTAK), ათათურქის სახელობის კულტურის, ენისა და ისტორიის უმაღლესი საზოგადოება.

ზოგიერთი სამინისტროს გამგებლობაშია სამეცნიერო ჯგუფები, მსხვილ კერძო საწარმოებს აქვთ საკუთარი სამეცნიერო ლაბორატორიები მეცნიერ-მუშაკთა მცირე შტაბით.

ქვეყანაში სამეცნიერო-კვლევით მუშაობას კოორდინაციას უწევს მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უმაღლესი საზოგადოება (დაარსდა 1983 წლის 4 ოქტომბერს, ექვემდებარება მინისტრთა კაბინეტს).(76)

თურქული ენა

თურქული ენა გავრცელებულია ევრაზიის კონტინენტის დიდ ტერიტორიაზე. ის სახელმწიფო ენაა თურქეთის რესპუბლიკასა და კვიპროსზე.

თურქული ენა შედის ალთაურ ენათა ოჯახის დასავლურ ჯგუფში და აზერბაიჯანულთან, თურქმენულთან და გაგაუზურთან ერთად ქმნის ოლუზურ, იგივე სამხრეთულ ქვეჯგუფს.

სხვა მრავალრიცხოვანი თურქული ენებიდან გამოსარჩევად ამჟამად თურქულ ენას ანატოლიურ თურქულს და თურქეთის თურქულსაც ეძახიან. იგი განვითარების მიხედვით შემდეგ პერიოდებად იყოფა:

1. ძველი ანატოლიის თურქული (ძველი ოსმალური, XIII-XV სს. შორის)
2. ოსმალური (XVI-XX სს. შორის)
3. თურქეთის თურქული (XX ს.)(76)

ოსმალეთის იმპერიაში სამწერლობო თურქული ენის განვითარებას ისეთი მიმართულება მიეცა, რომ მან თითქმის დაკარგა ეროვნული ენის სახე. მასში შეიჭრა ბევრი სპარსული და, განსაკუთრებით, არაბული ლექსიკური (80%-ზე მეტი) და გრამატიკული ელემენტი. საერთო სასაუბრო და სამწერლობო ენა დაშორდა ერთმანეთს. შეიქმნა ხელოვნური ენა, რომელიც მხოლოდ მმართველი წრეებისა და საზოგადოების ზედა ფენებისათვის იყო ხელმისაწვდომი. ეს ვითარება საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. ამ პერიოდის ენას ოსმალური (თურქ. Osmanlıca) ერქვა.

რესპუბლიკურმა თურქეთმა ჯერ კიდევ 1928 წელს უკუაგდო თურქული ენისათვის შეუსაბამო არაბული დამწერლობა და შეცვალა იგი ლათინური გრაფიკის საფუძველზე შექმნილი ახალი ანბანით. მუსტაფა ქემალ ათათურქის ინიციატივით 1932 წელს დაასრებული თურქეთის საენათმეცნიერო საზოგადოების მიერ ჩატარებულ გადამჭრელ ღონისძიებათა შედეგად უკვე განხორციელებულია სალიტერატურო ენის ლექსიკის ძირეული რეფორმა, გამოვლენილია ძველ წერილობით ძეგლებსა და დიალექტებში

შემონახული ეროვნული ლექსიკური მარაგი, რომელმაც უკვე თითქმის მთლიანად შეცვალა არაბულ-სპარსული ნასესხობანი. ენის რეფორმა თურქეთში დღესაც გრძელდება.

თურქულ ენას აქვს დიალექტები: სამხრეთ-დასავლური, შუა ანატოლიური, აღმოსავლური, ჩრდილო-აღმოსავლური (შავი ზღვის სანაპიროებისა), რუმელიური, სამხრეთ-აღმოსავლური და კასტამონიური.

თურქული ენისათვის დამახასიათებელია სინჰარმონიზმი, აგლუტინაცია, წინადადებაში ყოველი მეორეხარისხოვანი ელემენტი წინა პლანზეა, მთავარი - მეორეზე.(36)

კულტურა

ზეპირსიტყვიერება და ლიტერატურა

თურქები მემკვიდრენი არიან იმ უდიდესი ფოლკლორული ტრადიციისა, რომელიც შეიქმნა მათ ოდინდელ სამშობლოში და რომლის დიდი ნაწილიც თან მოიტანეს მცირე აზიაში.

თურქული მოდგმის ხალხების ფოლკლორის ნიმუშების ფიქსაცია დიდი ხნის წინათ მოხდა. შუა საუკუნეების გამოჩენილი თურქი პოეტების ქმნილებებში უხვად ვხვდებით თურქული ხალხური ანდაზების, ანეგდოტების ნიმუშებს, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს XIII საუკუნეში ჩანერილ ძეგლს — „ოლუზ-ნამეს“. ეს ეპოსი ოლუზური ტომების ლეგენდარული ეპონიმის ოლუზ-ხაკანის ბრძოლებს ეხება. ეს ეპოსი ოლუზური ტომების ისტორიის ასპერეზზე გამოსვლის მხატვრული ასახვაა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა თურქულენოვანი ხალხების ფოლკლორში აქვს „დედე ქორქუთის წიგნს“, რომლის ჩანერა XV საუკუნეში მომხდარა კავკასიის ტერიტორიაზე. განუზომელია ამ ძეგლის მნიშვნელობა შუა აზიის, აზერბაიჯანის, თურქეთის კულტურისათვის. „დედე ქორქუთის წიგნის“ უზბეკური ვერსია, რომელიც „ალფამიშის“ სახელითაა ცნობილი, მისი შემოქმედი ხალხის ახალ სამშობლოში ახალი სიუჟეტებით შეივსო, გამდიდრდა და დღესაც აგრძელებს არსებობას თურქულ ფოლკლორში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია XVII საუკუნის ეპოსი „ქოროლი“, რომლის 12 ნაციონალური ვერსია არსებობს შუა აზიაში, კავკასიასა და ანატოლაში. ეს ნახევრად ისტორიული ლეგენდა შედეგია იმ მძაფრი სიტუაციებისა, რმოელსაც ადგილი ჰქონდა XVIII საუკუნის ოსმალეთსა და აზერბაიჯანში. ამ ეპოსის წარმოშობას უკავშირებენ ე.წ. „ჯელალების“ აჯანყებას.(38)

განსაკუთრებულ სიმაღლეს თურქულ ფოლკლორში მიაღწია რომანტიკულმა ეპოსმა, რომელმაც აშუღური პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშები მოგვცა. ასეთია: „აშულ-ყარიბი“, „შაჰ ისმაილი“, „ასლი და ქერემი“ და სხვ.

თურქული ფოლკლორის ლირიკული ნიმუშებიდან პოპულარულია ოთხსტრიქონიანი

ლექსი „მანი“, რომელიც ახლავს თურქი ხალხის ცხოვრების ყველა მომენტს.

განსაკუთრებული მხატვრული ღირებულებებით გამოირჩევა თურქული ხალხური ზღაპარი, ე.წ. „დედაბრის ზღაპარი“, რომელსაც თავისი მაღალმხატვრობით ალტაცებაში მოყავს მსმენელი.

აღსანიშნავია, რომ თურქებმა არა მხოლოდ თავიანთი ფოლკლორის ფიქსაციას მიაქციეს ყურადღება ისტორიის ადრინდელ პერიოდში, არამედ მისი შესწავლის ცდაც მოგვცეს. ბევრი ხალხი ვერ დაიკვებნის, რომ მათ XV საუკუნეში თურქებივით ფოლკლორის ჟანრების კლასიფიკაციის მცდელობა ჰქონდათ. დიდი თურქი პოეტის ლამის და მისი შვილის მიერ გაკეთებული პროზაული ჟანრების კლასიფიკაცია დღესაც იპყრობს ფოლკლორისტთა ყურადღებას.

თურქული ფოლკლორის კარდინალურ საკითხებს დღეს წარმატებით სწავლობენ თურქი და ევროპელი ფოლკლორისტები.

თურქების ანატოლიაში დამკვიდრების შემდეგ განვითარდა კლასიკური თურქული ლიტერატურა, იგივე დივანის ლიტერატურა, რომელსაც საფუძვლად ედო არაბულ-სპარსული ტრადიციები.

დივანის ლიტერატურის განვითარებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა დიდი მევლანა ჯელალედინ რუმის შემოქმედებამ. აშუღური და თექეს (დერვიშული) ლიტერატურის განვითარება ბევრად განსაზღვრა იუნუს ემრემ.

XIII საუკუნის სუფიური მიმდინარეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია აზიკ-ფაშა. სუფიური ლიტერატურის მქადაგებლურმა ხასიათმა განაპირობა ამ პერიოდის თურქული ლიტერატურის სპეციფიკურობაც: უბრალო, გასაგები ენა, იგავური სტილი, ფოლკლორული მასალის მოშველიება, მისტიკურ-რელიგიური თემატიკა.

ამ პერიოდის საერო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშია დეჰანის პოეზია. დაახლოებით ამავე დროს იწყება დივანის ლიტერატურის აღმავლობა, რომელმაც დაამყარა რა მჭიდრო კავშირი სპარსულ კლასიკურ ლიტერატურასთან, თანდათან დაშორდა ხალხურ პოეზიას და ეროვნულ ნიადაგს. ლექსში გაბატონდა არაბული ზომა — არუზი. თურქული კლასიკური ლიტერატურა კანონიკური ხასიათისაა, წინასწარაა განსაზღვრული თემა და ლექსთწყობა. მისთვის თითქმის უცხოა გარესამყაროს დამოუკიდებლად აღქმა. დივანის ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლები არიან ბაკი, ფუზული, ნედიმი და ნეფი. ამ პერიოდისთვის იწერებოდა როგორც ლირიკული ხასიათის ლექსები, ასევე დიდტანიანი სამიჯნურო-სარაინდო ხასიათის პოემები, რომლებიც განსაკუთრებით გავრცელდა XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან. ცალკე აღსანიშნავია XV საუკუნის

პოეტის შეიხის მესნევიები „ხოსროვი და შირინი“ და „ხარნამე“ („ვირების წიგნი“), რომელიც თურქულ ლიტერატურაში სატირის პირველი ნიმუშია.

XV-XVI საუკუნეები მიჩნეულია თურქული ლირიკის განვითარების ოქროს ხანად. დაიხვეწა ლექსის არქიტექტონიკა, მუსიკა, მხატვრული სახით მეტყველება. თუმცა ამ პერიოდის დივანის ლიტერატურაშიც სიყვარულის ინტერპრეტაცია მთლიანად ექვემდებარებოდა დაკანონებულ წესებს. მაგრამ ჭეშმარიტი პოეტები მაინც ახერხებდნენ ამ ზოგადსა და დაკანონებულში საკუთარი ხმის წარმოჩენას.

XV საუკუნეში სახელი გაითქვეს აჰმედ-ფაშამ, ისა ნეჯათიმ, ისა მესიჰიმ, ჯაფარ ჩელებიმ და ილიას რევანიმ.

XVI საუკუნის ლირიკოსი პოეტები იყვნენ: ბაკი, ზათი, ჰაიალი, რუჰი ბაღდადი და სხვ. სამიჯნურო-საგმირო ეპოსის განვითარებას დიდად შეუწყვეს ხელი ლამიმ და იაჰია ბეი თაშლიჯალიმ, რომლებმაც შექმნეს ხუთ-ხუთი მესნევი.

XVII საუკუნეში მომძლავრდა სატირული მიმართულება, რამაც ახალი ტენდეციები წარმოშვა დივანის ლიტერატურაში.

ძველი თურქული ლიტერატურის უკანასკნელი წარმომადგენლები არიან: იუსუფ ნაბი, ალაედინ საბითი, აჰმედ ნედიმი და შეიხ გალიბი.

XIX საუკუნის დასაწყისში რეფორმების (თანზიმათის) პერიოდში განვითარდა ახალი თურქული ლიტერატურა, რომელშიც აისახა ევროპული განმანათლებლური იდეები. გაჩნდა და განვითარდა ახალი ჟანრები — ნოველა, რომანი, დრამა. გაძლიერდა ბრძოლა სალიტერატურო ენის ხალხურ სასაუბრო ენასთან დაახლოებისათვის. (36)

1860-80 წლების ლიტერატურას თანზიმათის ლიტერატურის I პერიოდს უწოდებენ. მისი წარმომადგენლები არიან: იბრაჰიმ შინასი, ნამიქ ქემალი, შამსედინ სამი, აჰმედ მიდჰათ-ფენდი, ნაიზადე ნაზიმი, ზია ფაშა და სხვ.

1880-96 წლები თანზიმათის ლიტერატურის II პერიოდია. ამ პერიოდის მწერლები არიან რეჯაიზადე მაჰმუთ ექრემი, აბდულ ჰაკ ჰამითი, სამი ფაშაზადე სეზაი და ნაბიზადე ნაზიმი.

თანზიმათის ლიტერატურა წარმოადგენს გარდამავალ ხანას დივანის ლიტერატურიდან ახალი რეალისტური ლიტერატურისაკენ.

შემდეგ პერიოდს ეწოდება „სერვეთ-ი ფუნუნ“, რომელსაც წარმოადგენენ ჯენაბ შაჰაბეთინი, ჯელალ საჰირი, ფაიქ ალი, ჰუსეინ სუადი, მეჰმეთ რაუფი, ჰუსეინ ჯაჰით იალჩინი, აჰმედ ჰიქმეთ მუფთუოღლუ, თევფიქ ფიქრეთი და სულეიმან ნაზიფი.

„ახალგაზრდა თურქების“ 1908 წლის რევოლუციის შემდეგ შეიქმნა ახალი

ლიტერატურული ნრე „ფეჯრ-ი ათი“ („მომავალი განთიადი“), რომელმაც გააერთიანა ძველი და ახალი თაობების მწერლები: აჰმეთ შაჰიმი, იაკუბ კადრი კარაოსმანოლლუ და რეფიქ ჰალით კარაი.

1911-23 წლებში წარმოიშვა ეროვნული ლიტერატურა, რომელსაც წარმოადგენდნენ ზია გოქალფი, ომერ სეიფეთინი, მეჰმეთ ემინ იურდაკული, იუსუფ ზია ორთაჩი, ფარუკ ნაფიზ ჩამლიბელი, ენის ბეჰიჩ ქორიურეჟი, ქემალეთინ კამუ, აკა გუნდუზი, ჰალიდე ედიფ ადივარი, რეშათ ნური გუნთეჟინი, აჰმეთ ჰიმეჟეთ მუფთოლლუ, ნეჯიფ ჰაზიკ კისაკურეჟი, ჰალიდე ნუსრეთ ზორლუთუნა, შუქუფე ნიჰალი, ფეიაში საფა და აჰმეთ ჰამდი თანფინარი. მათ შემდეგ შეუერთდნენ რეფიქ ჰალით კარაი, იაკუბ კადრი კარაოსმანოლლუ, იაჰია ქემალ ბეიათლი და მეჰმეთ აკიფ ერსოი (თურქეთის ეროვნული ჰიმნის ავტორი)(76,212)

მსოფლიო ომში ოსმალეთის დამარცხების შემდეგ ლიტერატურა დაცემის გზას დაადგა, მაგრამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წლებში კვლავ გამოცოცხლა.

რესპუბლიკის შექმნის შემდეგ თურქული ლიტერატურა აღმავლობას განიცდის. გაფართოვდა თემატიკა, მტკიცედ მოიკიდა ფეხი რეალიზმმა. მწერალთა მთავარი თემა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა. გაჩნდა ე. წ. „ქემალისტური“ ჯგუფი (იაკუბ კადრი, ჰალიდე ედიფი, მეჰმეთ რაუფი). მას დაუპირისპირდა კრიტიკული რეალიზმის მეთოდის მიმდევარი ჯგუფი (სადრი ერთემი, რეშად ენისი, საბაჰათინ ალი, რეშად ნური გუნთეჟინი).(36)

თურქულ ლიტერატურაში ახალი ნაკადი წარმოიშვა 1941 წლის შემდეგ, როდესაც გამოვიდა ლექსთა კრებული „გარიბი“ („უცნაური“). მისი ავტორები არიან ორჰან ველი ქანიქი, მელიჰ ჯევდეთ ანდაი და ოქთაი რიფათ ჰოროზჯუ, რომელთაც კრებულის სახელის მიხედვით შემგომში ეწოდათ „გარიფჩიები“ („უცნაურები“). მათ ლექსში შეიტანეს სიახლეები ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით.

მაჰმუდ მაკალის ნაწარმოებებმა სათავე დაუდო ე. წ. „გლუხურ ლიტერატურას“. ამ თემაზე წერენ იაშარ ქემალი, ორჰან ჰანჩერლიოლლუ, ფაჟირ ბაიქურთი, ორჰან ქემალი.

60-იანი წლების შემდეგ აღმოცენებულ სოციალისტურ მიმდინარეობას სათავე ჩაუყარა ნაზიმ ჰიქმეთმა, რომლის პოეზიაშიც იგრძნობა მაიაკოვსკის გავლენა.

ამ პერიოდის თურქული პროზის წამყვანი უანრია რომანი, ომერ სეიფედინისა და საით ფაიქ აბასიანიქის ტრადიციებს აგრძელებენ ილჰან თარუსი, ოქთაი აკბალი, ნეჯათი ჯუმალი, აზიზ ნესიმი, ჰალდუნ თანერი და სხვ. ამათ გარდა 1950-90 წლების ცნობილი რომანისტი მწერლები არიან: თარიკ დურსუნი, ათილა ილჰანი, ქემალ თაჰირი, თარიკ ბულრა, მუსტაფა ნეჯათი სეფეთიოლლუ,

ფირუზანი, ადალეთ ალაოლლუ, სევი სოისალი, თომრის უიარი, სელიმ ილერი, ჯევათ შაჰირი (ჰალიკარნას ბალიქისი).

ამავე პერიოდის პოეტები არიან: ფაზილ ჰუსნუ დაღლარჯა, ბედრი რაჰმი ეიუბოლლუ, ზია ოსმან საბა, ბაჰჩეთ ქემალ ჩაღლარი, უმით იაშარ ოლუზჯანი, ოქთაი რიფათი, მელიჰ ჯევდეთ ანდაი, ჯემალ სურეია, ედიფ ჯანსევერი, ოზდემირ ინჯე, ათაოლ ბეჰრემოლლუ, ისმეთ ოზელი, ეჯე აიჰანი, თურგუთ უიარი, სეზანი კარაკოჩი, ბაჰაეთინ კარაკოჩი.(76,213-214)

დღეს თურქულ ლიტერატურას მხოლოდ გეოგრაფიული ნიშნით თუ მივაკუთვნებთ აზიურ ლიტერატურას. თავისი თემატიკით, გამომსახველობითი საშუალებებით, დონით იგი თავისუფლად უსწორებს მხარს ევროპულ ლიტერატურას.

არქიტექტურა

თურქები თავიანთ ისტორიულ სამშობლოში — შუა აზიაში იურთებში ცხოვრობდნენ, რომლებსაც ერქვათ „ობა“ ან „თოფაქი“. ამ იურთებმა დიდი გავლენა იქონიეს თურქულ არქიტექტურაზე.

შუა აზიიდან გამოსვლის შემდეგ თურქულ ხელოვნებაზე დიდი გავლენა მოახდინა ბიზანტიურმა, სპარსულმა, ქართულმა და არაბულმა კულტურამ.(36)

XI საუკუნეში ალფარსლანისა და მელიქშაჰის პერიოდში ცნობილი ვეზირის ნიზამულმუჟის მიერ აგებულ იქნა პირველი მედრესეები. მათ შორის გამოირჩევა ნიშაბურის, თუსის, ბაღდადისა და ჰოროსანის მედრესეები.

სელჩუკებმა შექმნეს საფლავის ორი ტიპი — „ქუმბეთები“ და „ქუმელი თურბეები“.(76,227)

თუ სელჩუკები ადრე არქიტექტურაში მხოლოდ აგურს იყენებდნენ, ანატოლიაში მოსვლის შემდეგ ხის გამოყენებაც დაიწყეს.

1300-1453 წლები ადრეოსმალური, იგივე პირველი ოსმალური ხანაა. იგი ოსმალური ხელოვნებისათვის საკუთარი თავის ძიების პერიოდი. ამ დროის არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშია 1333 წელს ქ. იზნიქში აგებული ქუჩუქ ჰაჯი ოზბეჟის მეჩეთი.

კონსტანტინეპოლის ალების შემდეგ აშენდა ფათიჰის მეჩეთი (1470), მაჰმუთფაშას მეჩეთი, ჩინილი კოშკი (1472) და თოფქაფის სასახლე.

ოსმალეთში მეჩეთების გარშემო გაჩნდა მთელი ინფრასტრუქტურა: მედრესე, აბანო, მაჯოლუჟი, საავადმყოფო, სათნოების სახლი.

კლასიკური პერიოდის ჩამოყალიბება დაკავშირებულია არქიტექტორ სინანის (1492-1588) სახელთან. მან საერთო ჯამში ააგო 334 ნაგებობა, რომელთაგან განაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სულეიმანიეს მეჩეთი სტამბოლში და სელიმიეს მეჩეთი ედირნეში.

ოსმალური არქიტექტურის კლასიკური

პერიოდის ნიმუშები — მეჩეთები, ხიდები, წყაროები და მედრესეები მრავლადაა ეგვიპტეში, ტუნისში, ალჟირში, უნგრეთში და ბალკანეთის ქვეყნებში.

1720-1890 წლებში ოსმალური არქიტექტურა დაშორდა კლასიკური პერიოდის პრინციპებს. გაძლიერდა სხვადასხვა ევროპული სტილის (ბაროკო, როკოკო) გავლენა.(84)

1890-1930 წლები თურქული არქიტექტურის ნეოკლასიკური პერიოდია. რესპუბლიკის წლებში აშენდა მოდერნისა და კლასიციზმის სტილის ბევრი საცხოვრებელი სახლი, ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი შენობა. მათ შორის გამოიჩინა სტამბოლის ეთნოგრაფიული მუზეუმი, თურქეთის დიდი ეროვნული კრების ძველი და ახალი შენობები, ეროვნული ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტები, სასტუმროები.(76,228)

მხატვრობა

ძველ თურქულ მეომარ ტომთა ხალიჩებზე, ტყავებზე, მშვილდისრებზე და ხანჯლებზე ამოკვეთილი იყო სხვადასხვა ნახატები.

თურფანის, კარაჰორჩუს და ბეშბალილის გათხრებისას აღმოჩენილ იქნა დაახლოებით IV საუკუნეში მოხატული კედლები და წიგნები.

XVI საუკუნის შუა ხანებში ოსმალეთში ჩამოყალიბდა მინიატურისა და კალიგრაფიის სკოლა. ობიექტური მიზეზების გამო ამ პერიოდში ვერ განვითარდა ფერწერა და ქანდაკება. მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ხალიჩებისა და კერამიკული ნაწარმის დამზადებას.

მხატვრობის განვითარება დაიწყო თანზიმათის პერიოდში, როდესაც სულთანმა მაჰმუდ II-მ დაახატინა საკუთარი პორტრეტი და ჩამოკიდა იგი ყველა სახელმწიფო დანესებულებაში.(76)

1882 წელს გაიხსნა ნატიფი ხელოვნების სკოლა.(36) ამ სკოლის აღსაზრდელები ძირითადად ხატავდნენ პეიზაჟსა და ნატურმორტს. ამ პერიოდის წარმომადგენელი მხატვრები არიან: ოსმან ნური, გირითლი ჰუსეინი, აჰმეთ ბედრი, ფერიდ იბრაჰიმ ფაშა, ჰუსნუ იუსუფი, თევფიქ ფაშა, ნური ფაშა, შექერ აჰმეთ ფაშა, სულეიმან სეიდ ბეი, ოსმან ჰამდი ბეი, სერვილი აჰმეთ ემინი, ჰუსეინ ზეჟაი ფაშა და ჰოჯა ალი რიზა.

1908 წელს დაფუძნდა ოსმალთა მხატვრების საზოგადოება. მისი პირველი წევრები იყვნენ: რუჰი არელი, იბრაჰიმ ჩალი, ჰიქმეთ ონათი, ასაფი, აგაჰი, კაზიმი, ჰუსეინი, ჰაშიმი, აჰმეთ ზია აკბულუთი, ჰოჯა ალი რიზა, მუაზეზი, მაჰმუდი, მესრური და იზეთი. ამავე ჯგუფს მოვგიანებით შეუერთდნენ ჰალილ ფაშა, ჰუსეინ ზეჟაი ფაშა, ნაზმი ზია, ავნი ლიფიჯი და ფეიჰამად დურანი. ჯგუფის აშკარა ლიდერის იბრაჰიმ ჩალის გამო მათ „ჩალის თაობასაც“ უწოდებენ.

„ჩალის თაობამ“ მიაღწია დასავლური და ადგილობრივი ხელოვნების სინთეზს და გავლენა მოახდინა ისეთ მიმდინარეობებზე, როგორებიც იყვნენ „დამოუკიდებლები“, „დე ჯგუფელები“, „მწვანეები“ და ა.შ.

მრავალფეროვნებით გამოირჩეოდნენ „დამოუკიდებლები“: რეფიქ ეფიქმანი, ჰამით გორელე, შერეფ აქდიქი, ნურულა ბერქი, ჰალე ასაფი, მუჰითინ სებათი, ზეჟი ქოჯამეში, ავნი ჩელეზი, მაჰმუთ ჯუდა რათიფ აშირი.

„დე ჯგუფი“ 1933 წელს დააფუძნეს ჯემალ თოლუმ, ნურულა ბერქმა, ზეჟი ფაიქ იზერმა, ელიფ ნაჯიმ, აბიდინ დინომ და ზუჰთუ მურიდოღლუმ.

40-იან წლებში შეიქმნა „მწვანეთა ჯგუფი“: ნური იემი, აკოფ არადი, სელიმ თურანი, ავნი არბაში, ნეჟათ მელიჰ დევრიმი, ქემალ სონმეზლერი, ფარუკ მორელი, იუსუფ კარათაი.

70-იანი წლებიდან წარმოიშვა რამდენიმე მიმდინარეობა:

1. აბსტრაქციონისტები: საბრი ბერქელი. ადნან ჩოქერი, ომერი ულუჩი, ბურჰან დოღანჩაი, ეროლ ეთი, ეროლ ალანთარი, ადნან თურანი, გუნგორი თანერი, ჰალილ აქდენიზი, თომურ ათაგოქი.

2. ფიგურალისტები: გურელ იონთანი, შუქრუ აისანი, ისმაილ სარაი, აჰმეთ ოქთემი, სერჰათ ქირაზი.

3. გააბსტრაქცირებული ფიგურალისტები, რომლებიც აბსტრაქციონისტებად იქცნენ: ოზდემირ ალთანი, თურან ეროლი, ორჰან ფექერი, შადან ბეზეში, მუსტაფა ესირქუში, ნური აბაჩი, ეროლ აქიავაში, დინჩერ ერიმეზი, ბურჰან უიგუნი, ზაჰით ბუიუქიშლეიენი, ბედრი რაჰმი ეიუბოღლუ.

4. ადგილობრივები და სახალხოელები: ოსმან ორალი, ისმაილ ალთინოქი, ჰუსეინ ბილიშიქი, დურან კარაჯა, კაიჰან ქესქინოქი, მეჰმეთ გულერი, იალჩინ გოქჩებალი, ვეისელ გუნაი, მეჰმეთ ბალბუში.

5. გამომხატველები და კრიტიკოსი ფიგურალისტები: ალაეთინ აქსოი, მუსტაფა ათა, ნეშე ერდოქი, მეჰმეთ გულერიუზი, ერგონ ინანი, ქემალ ისქენდერი, ბალკან ნაჯი ისლიმიელი, ოზერ კაბაში, ეროლ კინალი, ჰუსამეთინ კოჩანი, იბრაჰიმ ორსი, კადრი ოზაითენი, გურქან ჯოშკუნი, უთქუ ვარლიქი.(76,216)

მუსიკა

თურქებს უძველესი მუსიკალური ტრადიციები გააჩნიათ. ძველად დიდი იყო არაბულ-სპარსული, შემდეგ კი დასავლური მუსიკის გავლენა. ხალხური მუსიკა შეიცავს თანაბარი რიტმის მცირედიპაზონიანი მელოდის მქონე ნაწარმოებებს — „ქირიქ ჰავას“ („მოკლე მელოდია“) და დიდდიპაზონიანი გარკვეული მეტრორიტმული სქემის ფარგლებს გაცილებულ ნაწარმოებებს — „უზუნ ჰავას“ („გრძელი მელოდია“).(36)

მუსიკალური საკრავებია: საზი, ქამანჩა,

რებაფი, თანბური, უდი, ქოვარი, დუდუკი, დოლი დასხვ.

თურქული მუსიკა ოთხ ძირითად ნაწილად იყოფა:

- 1.საერო;
- 2.სამხედრო;
- 3.სასულიერო;
- 4.დერვიშული ანუ მისტიკური.

1640-1712 წლებში წინაკლასიკურმა ოსმალურმა მუსიკამ განიცადა ბიზანტიური მუსიკის გავლენა.(76,231)

კლასიკური პერიოდის მუსიკის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა XVII საუკუნის მუსიკოსმა ბუჰუზი-ზადე მუსტაფა ითრი-ეფენდიმ.(36) მისი საქმის გამგრძელებლები იყვნენ: ებუბეჟირ ალა, თაბი მუსტაფა ეფენდი, ქუჩუქ მეჰმეთ ალა, სადულა ალა, სულთანი სელიმ III, ისმაილ დედე ეფენდი, დელალზადე ისმაილ ეფენდი და ზეჟაი დედე.

1831-85 წლები თურქული მუსიკის ნეოკლასიკური პერიოდია. ამ დროს იწყება ევროპული ხელოვნების შემოჭრა. სტამბოლში მოღვაწეობდნენ ევროპელი მუსიკოსები. 1828-56 წლებში აქ მუშაობდა ჯ. დონიცეტი (ცნობილი იტალიელი კომპოზიტორის ძმა). მისი მოწაფეები ოსმან იბრაჰიმი, ალი რიზა-ბეი კაფთან-ზადე და ნეჯიფ ვეზირ-ზადე თურქული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებლები არიან.

1880-1955 წლების რომანტიკული პერიოდის წარმომადგენლები არიან: ჰაჯი არიფ ბეი, შეეჟი ბეი, რაჰიმი ბეი, ჰაჯი ფაიქ ბეი, თანბური ალი ეფენდი და თანბური ჯემილ ბეი.(76)

თურქული მუსიკის აღმავლობა იწყება თურქეთში რესპუბლიკის დამყარების შემდეგ. სტამბოლში, იზმირსა და ანკარაში გაიხსნა კონსერვატორები. ამავე ქალაქებში გაიხსნა საოპერო თეატრებიც.

30-40-იან წლებში გამოჩნდნენ კომპოზიტორები: ჯემილ რაშიდ რეი, ჰასან ფარიდ ალნარი, ულვი ჯემილ ერქინი, ამჰმეთ ადნან საიგუნი და სხვ.

1955 წლიდან დღემდე გრძელდება რეფორმისტული პერიოდი. მისი საუკეთესო წარმომადგენლები არიან: კომპოზიტორები ილჰან უსმანბაში და ნევიტ კოდალი, მევიოლინე აილია ერდურანი, პიანისტი ქალი იდილ ბირეთი, მომღერლები ლეილა აიშე გენჯერი, აიჰან ბარანი და სხვ. საოპერო ორკესტრებთან მუშაობს სიმფონიური ორკესტრები, ვოკალურ-საკრავიერი კოლექტივები, თეატრალური და ფილარმონიული საზოგადოებები.(36)

90-იან წლებში განსაკუთრებით განვითარდა დასავლეთიდან შემოსული პოპ-მუსიკა, რომელმაც თურქულ მუსიკალურ ტრადიციებთან ურთიერთკავშირში საოცრად ლამაზი სინთეზი მოგვცა. თანამედროვე თურქული ესტრადის საუკეთესო წარმომადგენლები არიან: იბრაჰიმ

თათლისესი, სეზენ აქსუ, ებრუ გუნდუში, თარქანი, იონჯა ევჯიშეჟი, ნილუფერი, სიბელ ჯანი, ბენდენიზი, ჰულია ავშარი, ბურჯუ გუნეში, მუსტაფა სანდალი, რაფეთ ელ რომანი, ბურაქ ქუთი, დოღუში, სერდარ ორთაჩი, მუჰსინ ქირმიზიგული, იბრაჰიმ ერქალი, გულშენი, ისმაილ თურუთი, ზარა, ემრაჰი, ჩელიქი, აზერ ბულბული, ბულენტ ერსოი, მუსლიმ გურსესი, შალუკ ლევენთი, მუაზეზ ერსოი, ათილა თაში, სედა საიანი, აჰმეთ კაია, სიბელათაში, იბრაჰიმ სადრი, იაშარი, ჰაქან ფეჟერი, თეომანი, ერჯან საათჩი, ბეიაზი, ქუჩუქ იბო, ნადიდე სულთანი, ემელ მუფთუოღლუ, სინან ოზენი, ალიჰანი, ოზჯან დენიზი, აუდა ფეჟანი, ზულფუ ლივანელი, შუქრიე თუთქუნი, ჯგუფები „აინა“, „დესთანი“, „იურთსევენ ქარდეშლერი“ და სხვ.

დრამატული თეატრი

თურქული თეატრი დასავლეთიზაციამდე იყოფოდა ოთხ ძირითად ჯგუფად: მარიონეტული თეატრი (კუკლა), თოჯინებისა და ჩრდილის თეატრები (ყარაგოზი), სამოედნო წარმოგენები (ორთაოიუნუ) და მთქმელ-იმპროვიზატორთა (მედაჰების) გამოსვლები.

თანზიმათის შემდეგ თურქულ თეატრზე გავლენა მოახდინა კლასიციზმმა და რომანტიზმმა.

1840-იან წლებში გამოჩნდნენ პირველი თურქი დრამატურგები: იბრაჰიმ შინასი, თეოდორ კასაბი და ნამიქ ქემალი. მათ მოყვნენ აბდულჰაკ ჰამიდი, აჰმედ მითჰათ ეფენდი, ალი ბეი, ჰასან ბედრეთინი, ფერაიზჯი ზადე და მეჰმედ რიფათი.(76,219)

ევროპულ თეატრს თურქი მაყურებელი XIX საუკუნის II ნახევარში გაეცნო ევროპიდან საგასტროლოდ ჩასული თეატრალური დასების მეშვეობით. ჩამოყალიბდა სცენის მოღვაწეთა წრეები და დასები.

XIX საუკუნის 60-70-იან წლებში შეიქმნა თურქული თეატრები. გამოჩნდნენ ახალი დრამატურგები: სალაჰ ჯიმიჯოზი, ჯელალ ესათი, აკა გუნდუზი, ჯენაფ შაჰაბეთინი, თუნალი ჰილმი, ჰუსეინ სუათი, მეჰმეთ თაუფი, რეშათ ნური და სხვ.

1914 წელს სტამბოლში გაიხსნა ეროვნული თეატრი „დარულბედაი ოსმანი“ („ოსმალური ხელოვნების ტაძარი“, 1934 წლიდან საქალაქო თეატრი). მისი პირველი ხელმძღვანელი იყო ფრანგი ანდრე პ. ანტონი, რომელიც შეცვალა მუჰსინ ერთულრულმა. შეიქმნა სტუდია, სადაც ალიზარდნენ პირველი თურქი პროფესიონალი მსახიობები: ი. გალიფ არჯანი, ბეჰსათ ბუთაქი, რაშიდ რიზა, ვასფი რიზა ზოზუ, ჰაზიმ ქორმუქუ, თალათ ართემელი, ბედია მუვაჰითი, ჯაჰიდე სონქუ, ჰელიდე ფიშქინი, საზიე მორალი და სხვ.

თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ დიდ ქალაქებში გაჩნდა სახელმწიფო და კერძო თეატრები.

1934 წელს შეიქმნა პირველი საბავშვო

თეატრი.(36)

1949 წლის 10 ივნისს გამოვიდა კანონი სახელმწიფო თეატრისა და ოპერის დაფუძნების შესახებ.

ამ პერიოდში ანკარაში გაიხსნა „ბუიუქ თიათრო“ („დიდი თეატრი“), „ქუჩუკ თიათრო“ („მცირე თეატრი“) და „ოდა თიათროსუ“ („კამერული თეატრი“). ამ თეატრებში აღიზარდნენ მსახიობები: ჯუნეით გოქჩერი, შაჰაფ აკალინი, საიმ ალფაგო, ულვი ურაზი, ილდიზ ქენტერი, მუშფიქ ქენტერი, ილდირიმ ონალი, აითენ გოქჩერი და სხვ.

50-60-იან წლებში ახალი თეატრები გაიხსნა ანკარაში, ადანაში, იზმირში, ბურსასა და სტამბოლში.

თურქეთში სახელმწიფო თეატრების გვერდით ფუნქციონირებენ კერძო თეატრებიც.

ამ საუკუნის ცნობილი თურქი დრამატურგები არიან: რეშათ ნური გუნთეჟინი, ნეჯიფ ფაზილი, ნაზიმ ჰიქმეთი, მუსაჰიფ ზადე ჯელალი, ჯევათ ფეჰმი ბაშქეთი, ჰალდუნ თანერი, ს. ქუდრეთ აკსალი, ოქთაი რიფათი, აზიზ ნესინი, მ. ჯევდეთ ანდაი, ჩეთინ ალთანი, თურან ოფლაზოღლუ, გუნგორ დილმენი, ორჰან ასენა, ქაჰით ათაი, თურგუთ ოზაკმანი, ნეჯათი ჯუმალი, რეფიქ ერდურანი, რეჯეფ ბილგინერი, თუნჯერ ჯუჯენოღლუ და სხვ.(76,220-221)

კინო

კინომატოგრაფია თურქეთში შევიდა 1896 წელს, როდესაც სტამბოლის „ილდიზ სარაიში“ განხორციელდა პირველი ჩვენება.(76,223) საკუთრივ თურქული კინოს დასაწყისად კი ითვლება 1914 წელი, როდესაც თადარიგის ოფიცერმა ფუათ უზქინაიმ გადაიღო დოკუმენტური ფილმი „რუსული მონუმენტის ჩამოშლა აიასტეფანოსში“. 1917 წელს რეჟისორმა სედათ სიმავიმ გადაიღო პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმები. ამავე პერიოდში ფილმებს იღებდნენ ფუათ უზქინაი, აჰმეთ ფეჰმი და შადი კარაგოზოღლუ.

1922 წელს შეიქმნა კინოსტუდია „ქემალფილმი“, 1928 წელს კი — „იფეჟფილმი“.

20-30-იან წლებში უცხოეთიდან ახლადდარბუნებულმა მუჰსინ ერთულრულმა გადაიღო მნიშვნელოვანი ფილმები: „ცეცხლოვანი ხალათი“ (1923), „ანკარის საფოსტო ექსპრესი“ (1928), „სტამბოლის ქუჩებში“ (1931 პირველი ხმოვანი ფილმი), „ფეიქარი გოგო“ (1953, პირველი ფერადი ფილმი).(36)

1939-1955 წლებში „გარდამავალი პერიოდის“ რეჟისორებიდან აღსანიშნავია ფარუკ ქენჩის, ბაჰა გელენბევის, შადა კამილის, თურგუთ დემირალის, შაჰირ სირმალის, აიდინ არაკონის და ორჰან მ. არიბურნუს მოღვაწეობა. ამ პერიოდში შემცირდა უცხოური კინოფილმების შეტანა, განვითარდა ადგილობრივი კინომატოგრაფია, შეიქმნა ახალი

კინოსტუდიები და გაერთიანებები.

ამის შემდეგ მოდის „კინემატოგრაფისტთა პერიოდი“, რომელიც დაიწყო რა ომერ ლუთფი აკადმა, ბოლომდე მისი გავლენის ქვეშ დარჩა. ამ წლებში ყველაზე მეტი ფილმები გადაიღეს ოსმან ფ. სედენმა, ათიფ ილმაზმა და მემდუჰ უნამა. ხოლო მეთინ ერქსანის ფილმი „უნყო ზაფხული“ 1964 წლის ბერლინის ფესტივალზე დაჯილდოვდა „ოქროს დათვის“ პრიზით.

60-70-იანი წლების სხვა ცნობილი რეჟისორები არიან: ათიფ ილაზი, ჰალით რეფილი, დუიგუ სალიროღლუ, ნევათ ფესენი, ილმაზ გუნეი, სურეია დურუ და ფეიზი თუნა. ამათგან აღსანიშნავია ილმაზ გუნეის მოღვაწეობა, რომელმაც დიდი როლი ითამაშა თურქული კინემატოგრაფიის განვითარებაში.

80-იან წლებში შემცირდა გადაღებული ფილმების რაოდენობა. სამაგიეროდ, იმატა ხარისხმა. ამ პერიოდში ასპარეზზე გამოსულმა ახალმა თაობამ უარყო ძველი სტერეოტიპები და დაამკვიდრა ახალი ფასეულებები. ამ თაობას განეკუთვნებიან რეჟისორები: ომერ კავური, ზეჰი ოქთენი, შერიფ გორენი, ალი ოზგენტურქი, იავუზ თურგული, ნესლი ჩოლგეჩენი, თუნჩ ბაშარანი და სხვ. მათგან გამოირჩევა ომერ კავურის ფილმი „იღუმალი სახე“ (1991 წ.), რომელმაც დიდი აღიარება მოიპოვა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე უცხოეთში.

1986 წლის 23 იანვარს გამოვიდა კანონი კინოს შესახებ, რომელმაც ახალი იმპულსი შესძინა თურქული კინოს განვითარებას.(76,224)

თურქული კინოპროდუქციის სახეობებიდან განსაკუთრებული გამოყოფის ღირსია მსუბუქი კომედია, რომლის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა მსახიობმა ქემალ სუნალმა.

ქალაქებში სტამბოლში, ანკარაში, იზმირში და ანთალიაში რეგულარულად ტარდება დიდი კინოფესტივალები.

თურქეთ-საქართველოს ურთიერთობა თანამედროვე ეტაპზე

ამ საუკუნის დასაწყისში თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებულ მუსტაფა ქემალ ათათურქს უთქვამს: „თურქეთს სჭირდება ძლიერი მეზობელი აღმოსავლეთში და ასეთ მეზობლად შეიძლება საქართველო იქცეს“. ეს იდეა მაშინ ვერ განხორციელდა.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და ჩვენი ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ თურქეთი იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა.(2)

თურქულ-ქართული ურთიერთობის თანამედროვე ეტაპის დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ 1991 წლის 16 დეკემბერი, როდესაც ანკარამ ცნო თბილისის დამოუკიდებლობა. დიპლომატიური ურთიერთობები კი დამყარდა

1992 წლის 21 მაისს თურქეთის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის ჰიქმეთ ჩეთინის თბილისში ვიზიტისას.

1992 წლის 30 ივლისს საქართველოში თურქეთის მაშინდელი პრემიერ-მინისტრ სულიმან დემირელის ყოფნის დროს ხელი მოეწერა ძირითად ხელშეკრულებას მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლობის შესახებ. ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მოახდინა იმავე წლის 28 სექტემბერს, ხოლო საქართველოს პარლამენტმა უფრო მოგვიანებით, 1993 წლის 25 მარტს.

საქართველომ და თურქეთმა თავიდანვე სწრაფად გამონახეს საერთო ენა. შედგა რამდენიმე უმაღლესი დონის შეხვედრა თბილისსა და ანკარაში. ურთიერთობების 6 წლის მანძილზე ფართო კავშირები დამყარდა და განვითარდა ყველა სფეროში. ამას ადასტურებს მრავალრიცხოვანი შეთანხმების არსებობა. საქართველო აქტიურად მონაწილეობს თურქეთის ინიციატივით შექმნილ შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციისა და ამავე ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეის მუშაობაში (შესაბამისად 1992 წლის 25 ივნისიდან და 1993 წლის 4 თებერვლიდან — დაფუძნების დღეებიდანვე)“(8,21)

თურქეთი თავის საგარეო პოლიტიკაში საქართველოსთან მიმართებაში აღიარებს მის ტერიტორიულ მთლიანობას და საზღვრების ურღვეობას, გმობს სეპარატიზმსა და საშინაო საქმეებში ჩარევას, სავაჭრო კავშირების სფეროში შექმნილია უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი, მხარეები ყოველწლიურად აღრმავებენ ურთიერთობას მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში, დამყარებულია კავშირები როგორც ცალკეულ უწყებებს, ასევე ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულებს შორისაც (იმერეთის მხარე და სამსუნის ილი, სამცხე-ჯავახეთი და არდაჰანის ილი და ა.შ.).(21)

დიდია სარფის სასაზღვრო ჭიშკრის როლი ქვეყანათაშორის ურთიერთობებში. 1988-94 წლებში სარფის კარით 4.911.683 მგზავრმა და 615.541-მა სატრანსპორტო საშუალებამ ისარგებლა(4)

სარფის მნიშვნელობის ზრდაზე ნათლად მეტყველებს მონაცემები, რომელიც წლების განმავლობაში სარფის კარით მოსარგებლე მგზავრთა რაოდენობას გვიჩვენებს:

წელი	შესვლა-გასვლა
1988	808
1989	21.524
1990	285.594
1991	1.026.718
1992	1.400.120
1993	973.448
1994	650.000

1993 წელს გარკვეულ მიზეზთა გამო მგზავრთა რაოდენობა შემცირდა. 1994-ში კი წინა წელთან შედარებით თითქმის განახევრდა. ამის უპირველეს მიზეზად შეიძლება ვიზის ღირებულების გაზრდა მივიჩნიოთ, რომელიც 1994 წელს 30 დოლარამდე ავიდა. სხვა მიზეზებისაგან აღსანიშნავია ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობების ნორმალიზება, რომელსაც ადრე სტიქიური სახე ჰქონდა და სასაზღვრო და პირად მგზავრთა მიერ განხორციელებული ვაჭრობით განისაზღვრებოდა.

ასეთივე შედეგებს ვხედავთ იმ მონაცემებშიც, რომელიც სარფის კარიდან გატარებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობას გვიჩვენებს:

წელი	ავტომობილი-ავტობუსი	სატვირთო ტრაილერი
1988	36	48
1989	2.844	426
1990	38.463	5.834
1991	102.832	13.146
1992	140.336	21.140
1993	152.724	15.277
1994	103.920	18.515

ისევე როგორც მგზავრთა, სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობაც საკმაოდ პატარა ციფრით დაიწყო და გაიზარდა. ავტომობილებისა და ავტობუსებისათვის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 1993 წელს იყო. ხოლო სატვირთო ავტომობილების რიცხვი, რომელმაც 1992-ში 21 ათასს გადააჭარბა, 1993-ში დაეცა. 1994-ში კვლავ აღმასვლა დაიწყო. ამის მიზეზი მხოლოდ საქართველო არაა, ეს დაკავშირებულია კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებთან თურქეთის კავშირების განვითარებით.

სარფის სასაზღვრო კარი დიდ როლს თამაშობს აგრეთვე ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობაშიც.

წელი	საქონლებრუნვის მოცულობა
1988	-
1989	140.000
1990	730.084
1991	1.868.311
1992	7.325.121
1993	11.976.230
1994	55.035.816

ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობები სამი სხვადასხვა მეთოდით ხორციელდება:

ა) ვაჭრობა ექსპორტ-იმპორტის რეჟიმის ჩარჩოებში.

ამ მეთოდის ჩარჩოებში სავაჭრო ურთიერთობები ხორციელდება ბანკებში აკრედიტივის გახსნის საშუალებით.

ბ) სასაზღვრო ვაჭრობა.

საზღვრის მეზობელ 20 კმ-ის რადიუსში

მდებარე საქონლის ერთჯერადი ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 10.000 აშშ დოლარს. ამ შემთხვევაში ყოველგვარი ფორმალური პროცედურების ჩატარების გარეშე განხორციელებული სავაჭრო ოპერაცია ექსპორტი-იმპორტს მიეკუთვნება. იგივე მეთოდი მოქმედებს შავი ზღვის პორტებშიც.

გ) ბარგი, რომელიც გადააქვთ მგზავრებს.

მგზავრებს თავისუფლად შეუძლიათ გადაიტანონ და გადმოიტანონ ხელის ბარგი.(12)

თურქეთ-საქართველოს საგარეო ვაჭრობის მოცულობასწრაფად იზრდება:

1997 წელს თურქეთიდან საქართველოში ძირითადად ექსპორტირებულ იქნა შემდეგი საქონელი: ხორბალი, ფქვილი, საკვები პროდუქტები, ელექტროსაქონელი, ავეჯი, პურის საცხობები და შაქარი.

საქართველოდან კი თურქეთში გაიტანეს ლითონები, ბამბა, მინა, ქალაღი, ტყავი, ქსოვილები და სხვ.

თურქეთ-საქართველოს საგარეო ვაჭრობა (იანვარი-ივნისი 1997 წელი)

ექსპორტი	ღირებულება (ათ. დოლარი)	იმპორტი	ღირებულება (ათ. დოლარი)
კვების მრეწველობის საქონელი	36.925	ქიმიური მრეწველობის პროდუქცია	4.273
ქიმიური მრეწველობის პროდუქცია	5.967	სხვა სამრეწველო საქონელი	3.990
ელექტროსაქონელი	3.132	მძიმე მრეწველობის პროდუქცია	2.229
სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის საქონელი	3.063	სატრანსპორტო საშუალებების ნაწილები	2.075
სხვა სამრეწველო საქონელი	2.440	მზესუმზირა	1.115
სამშენებლო მასალა	2.437	მეტალის მრეწველობის ნაწარმი რკინის გარდა	844
მანქანა-მონწყობილობები	2.382	დამუშავებული ხე-ტყე	697
ბოსტნეული	1.883	მანქანა-მონწყობილობები	542
მძიმე მრეწველობის პროდუქცია	1.803	ქსოვილები	137
რეზინისა და პლასტმასის ნაწარმი	1.644	დასამუშავებელი ტყავი	137
დანარჩენი	3.075	დანარჩენი	333
ჯამი	64.751	ჯამი	16.376

ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას ხელი შეუწყო 1992 წლის 30 ივლისს ხელმოწერილი ინვესტიციების ურთიერთნახაღისებისა და ორმხრივი დაცვის შესახებ ხელშეკრულებამ, აგრეთვე იმავე წლის 8-10 დეკემბერს ანკარაში ჩატარებულმა მოლაპარაკებამ, რომლის თანახმად განისაზღვრა თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები, კერძოდ: სოფლის მეურნეობის პროდუქტების, მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების გადამუშავება, ბაგირგზების მშენებლობა და ექსპლოატაცია, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების ქსელის განვითარება, გარემოსა და ზღვისპირა ზოლის დაცვა, ენერგეტიკული და წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება, ერთობლივი ტურისტული ბიზნესი.

ცალკეული შეთანხმებების საფუძველზე ამჟამად გახსნილია და მოქმედებს საჰაერო და საავტომობილო მიმოსვლის ხაზები ორ ქვეყანას შორის (თურქეთი ძლიერაა დაინტერესებული აგრეთვე სქაართველოზე გამავალი ევრაზიის სატრანსპორტო მაგისტრალის გამოყენებით). განზრახულია სამსუნში მეტროპოლიტენის მშენებლობაში ქართველი სპეციალისტების მონაწილეობა, ქ. ართვინში ბაგირგზის ერთობლივი მშენებლობა და ა.შ.(21)

1992 წლის 22 ივლისს შეიქმნა თურქულ-ქართული ბიზნეს საბჭო, რომლის თურქული მხარის თავმჯდომარეა თურგუთ ერქინი. ქართულ მხარეს კი ხელმძღვანელობს სიმონ მეფარიძე.(49)

ბოლო პერიოდის განმავლობაში 36-მა თურქულმა ფირმამ 30 მლნ. აშშ დოლარი დააბანდა ქართულ ეკონომიკაში, ხოლო საქართველოს მხრიდან თურქეთში მოქმედმა 12 ფირმამ ამ ქვეყნის ეკონომიკაში ჩადო 35,8 მლრდ. თურქული ლირა.(42)

ქართველი ბიზნესმენები განსაკუთრებით აქტიურად მონაწილეობენ თურქეთის თავისაფალი ეკონომიკური ზონების ცხოვრებაში. ამ მხრივ აღსანიშნავია ტრაპიზონის ზონა.

ბოლო სამი წლის მანძილზე თურქეთ-საქართველოს ურთიერთობებში მომხდარი მოვლენებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ანკარის ძალისხმევა აზერბაიჯანული ნავთობის ექსპორტის ერთ-ერთი ძირითადი მარშრუტის საქართველოს ტერიტორიაზე გატარების მიზნით, რაც თავის მხრივ ორივე ქვეყნისათვის მომგებიანი უნდა იყოს.(5) თურქეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბუნებრივი გაზსადენის პროექტის განხორციელებასაც.

თურქეთსა და საქართველოს ინტერესებში შედის რკინიგზის, სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო გადაზიდვების ქსელის მეტად განვითარება, მნიშვნელოვანი წარმატებები

მიღწეული რეგიონის სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების განმტკიცებისა და ტრანსპორტრების ინფრასტრუქტურის შექმნის საქმეში.(16)

ქვეყანათა შორისი ურთიერთობების განვითარებას ახალი იმპულსი შესძინა 1995 წლის 31 ივლისს ვალე-თურქგოზუს საკონტროლო-გამშვები პუნქტის გახსნამ.(30) მალე ტბა არნახთან (აქთაში) გაიხსნება მესამე სასაზღვრო ჭიშკარი, საუბარია ხოფა-ბათუმის დამაკავშირებელი რკინიგზის მშენებლობაზე, გამოცხადებულია ტენდერი ყარსი-ახალქალაქის 120 კმ-იანი სარკინიგზო ხაზის დაფინანსებასა და მშენებლობაზე, რომელიც 3 წელიწადში უნდა ამოქმედდეს.(51) ნათელია, რომ სარკინიგზო მაგისტრალის პროექტს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ეს პროექტი არის აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი გზა და „ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის“ ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი.(48)

თურქეთ-საქართველოს ეკონომიკური კავშირების განმტკიცების მიზნით 1998 წლის 14 მარტს თბილისში გაიხსნა „ემლაქ ბანკის“ ფილიალი.(41)

90-იანი წლებს დასაწყისში ჩამოყალიბდა საქართველო-თურქეთის საქმიანი ურთიერთობების ასოციაცია.

1997 წლის 27 აგვისტოს კი შეიქმნა საქართველო-თურქეთის სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობის საზოგადოება (თავმჯდომარე ლია ჩლაიძე), რომელიც გააღრმავებს ჩვენს ხალხებს შორის არსებულ კავშირებს კულტურისა და მეცნიერების ყველა სფეროში.(8,23)

საზოგადოების მიზანია კანონით დადგენილი წესით ხელი შეუწყოს:

ა) ჩვენს ქვეყანასა და თურქეთს შორის მეცნიერული კონტაქტების გაფართოებას. ამ მიზნით ითანამშრომლოს თურქეთის სამეცნიერო ცენტრებთან. სამეცნიერო პერიოდულ გამოცემლობებთან;

ბ) სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლას საქართველოსა და თურქეთის სამეცნიერო

ცენტრებს შორის;

გ) ქართველ მეცნიერთა შრომების თარგმნასა და გამოცემას თურქეთში;

დ) ერთობლივი სამეცნიერო სესიების, სემინარების, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული ექსპედიციების მოწყობას საქართველოსა და თურქეთში;

ე) ორივე ქვეყნის სიძველეთსაცავებში დაცული ისტორიული მასალის გამომზეურებასა და შესწავლას — კატალოგების, დოკუმენტების, ხელნაწერების გამოქვეყნებას;

ვ) ქართული ენის, ლიტერატურის, ხელოვნების პოპულარიზაციას თურქეთში, თურქული ენის — საქართველოში (ქართული და თურქული ენების სახელმძღვანელოების, თვითმასწავლებლების, ლექსიკონების შედგენა, ქართველ და თურქ მწერალთა ნაწარმოებების თარგმნა და გამოცემა);

ზ) ლიტერატურისა და კულტურის მოღვაწეთა შორის კონტაქტების დამყარებას;

თ) ქართული და თურქული კულტურის ამსახველი ბუკლეტების, ბროშურების გამოცემას;

ი) ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენების მოწყობას თურქეთში, თურქი მხატვრებისას — საქართველოში;

კ) საქართველოს შესახებ ტელე-რადიო გადაცემების მოწყობას თურქეთში, თურქეთის შესახებ — საქართველოში.

საზოგადოება მიზნად ისახავს გააცნოს ქართული კულტურა, საქართველო თურქ ახალგაზრდებს, რომლებიც სწავლობენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. საზოგადოება ზრუნავს ბუნების, კულტურის ძეგლთა დაცვაზე, ამყარებს კონტაქტებს შემოქმედებით და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან როგორც საქართველოში, ისე თურქეთში, თანამშრომლობს მათ პერიოდულ ორგანოებთან.

ამრიგად, ფაქტები მეტყველებენ, რომ საქართველო და თურქეთი ერთმანეთის მიმართ აშკარად გამოხატული კეთილმეზობლური და მეგობრული ქვეყნებია და ასეთი ურთიერთობა მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება.(8,23)